# არსენალი

№ 9 (26). სექტემბერი. 2006. „კვირის პალიტრა". სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი



## დაუწყებელი ომის გაუთავებელ მოლოდინში...

1425/2
2006

## მსტოვრობის ისტორია საქართველოში

## კამიკაძე — ფრენა ერთი მიმართულებით

## ფოტოფაქტი — კიდევ ერთი ვანდალური აქტი რუსი სამშვიდობოების შესრულებით

## როგორ ვყიდულობდით ქართველები „შავ ზვიგენს"

ეროვნული ბიბლიოთეკა




დაუწყებელი ომის გაუთავებელ მოლოდინში 4





ისრაელის სპეცსამსახურები ზღვასა და ხმელეთზე 11





„შავი ზვიგენის“ უიღბლო ისტორია 30

ინგლისელი მეიარაღის შეგონებანი როგორ ვესროლოთ ფრინველს... 34







კამიკაძე ფრენა ერთი მიმართულებით 22





„არსენალი“ ცდის MP5-ს 54

# სარჩევი


თვალსაზრისი

4 უცხოეთის ამბები

კალეიდოსკოპი

6 დაუწყებელი ომის გაუთავებელ მოლოდინში

საფრთხე

8 რა საფრთხის მატარებელია ჭინვალჰესი

ფოტოფაქტი

10 კიდევ ერთი ვანდალური აქტი რუსი სამხედროების შესრულებით

სპეცოპერაცია

11 ისრაელის სპეცსამსახურები ზღვასა და ხმელეთზე

სპეცსამსახურები

15 მსტოვრობის ისტორია საქართველოში (ნაწილი II)

ექსპონატები

19 ბრიუსელის სამხედრო მუზეუმი

ცხოვრების წესი

22 კამიკაძე _ ფრენა ერთი მიმართულებით

იარაღი

30 უიღბლო **KA-50**

ნადირობის მოყვარულთათვის

34 იგლისელი მეიარაღის შეგონებანი

ფლოტის ისტორიიდან

38 რითი იბრძოდნენ შუა საუკუნეებში ზღვაზე

არქივი

42 1939 წლის 1 სექტემბერი _ ომის დაწყების ნამდვილი თარიღი

კონსულტაცია

46 კვალიფიციური რჩევები

კროსვორდი

47 არსენალკვორდი

ისტორიული ექსკურსი

48 „არსენალის" თვის კალენდარი

სუპერმობილი

50 ამერიკელი ინდიელთა ტომიდან

სამხრეებიანი პრეზიდენტები

52 უკვდავი კომანდანტე

„არსენალის" იარაღის მაღაზია

54 **MP5** _ ტერორისტების რისხვა


## რედაქტორის სვეტი

პრეზიდენტი სააკაშვილი აგვისტოს ბოლოს კიდევ ერთი სამხედრო ბაზის გახსნას დაესწრო. ამჯერად მან ცნობილ ამერიკელ სენატორსა და საფრანგეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილესთან ერთად საქართველოს შეიარაღებული ძალების საჩხერის სამთო მომზადების სკოლა გახსნა.

სამთო მომზადება აუცილებელი ატრიბუტია ისეთი ქვეყნების საარმიო დანაყოფებისთვის, რომლებსაც მოქმედება მთაგორიან რელიეფზე მოუწევთ. ქართული არმიაც მათ რიგშია.

როდესაც მოწინააღმდეგე გადაულახავი მთების იმედზეა და ამ მიმართულების დაცვაზე ყურადღებას შედარებით აღუნებს, შენს სამთო ჯგუფებს კარგი შანსი ეძლევათ, მტერს ფლანგიდან შეუტიონ ან სულაც ზურგში მოექცნენ.

იმედია, განახლებული ქართული არმიის მებრძოლები საჩხერის სამთო მომზადების სამხედრო სკოლაში მაღალპროფესიულ მომზადებას გაივლიან. და მზად იქნებიან ნებისმიერი ამოცანის შესასრულებლად.

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ქორქოლიანი*

ყურადღება!
ხშირია შემთხვევა,
როდესაც ჩვენი მკითხველი
სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ
ასწრებს ჟურნალის ყიდვას
პრესის ჯიხურებში. ამიტომ
გირჩევთ, გამოიწეროთ
„არსენალი" და მიიღოთ შინ,
ყოველი თვის დასაწყისში.
ტელ: 42-43-40


რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია


ჟურნალ „არსენალის" ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში


გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47
**email: arsenali@kvirispalitra.com**
ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

# დაუწყებელი ომის გაუთავებელ მოლოდინში

## სად გავარდება თოფი პირველად — ცხინვალში თუ კოდორში?

რამდენიმეთვიანი ისტერიული დაძაბულობის პერიოდში თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ ცხინვალის რეგიონში შეიარაღებული დაპირისპირების განახლება გარდაუვალი იქნებოდა. მიუხედავად ამისა, კვიციანის დაუმორჩილებლობის მცდელობამ დაძაბულობის ეპიცენტრი ცხინვალიდან კოდორის ხეობისკენ და საერთოდ, აფხაზეთისკენ გადაიტანა.

ცხინვალის რეგიონი დროებით ჩრდილში მოექცა, სამაგიეროდ დღეს იმაზე მკითხაობენ, ქართველები დაარტყამენ კოდორის ხეობიდან სოხუმს თუ პირიქით, სოხუმელი სეპარატისტები ეცდებიან ამ ზამთარს შეუტიონ ხეობის ზემო ზონას.




სანამ საქმე შეიარაღებულ დაპირისპირებამდე მისულა, დიპლომატიური ომია გაჩაღებული საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის. დიპლომატთა ოფიციალური განცხადებები, ძირითადად, ბრალდებებია.

სეპარატისტული სოხუმის აშკარად მხარდამჭერი რუსული მხარე დაჟინებით ითხოვს კოდორის ხეობის ზემო ზონის მონიტორინგს. ოფიციალური თბილისი თანახმაა, ოღონდ მხოლოდ გაეროს სამხედრო დამკვირვებლების მონაწილეობით. „რუს ცისფერჩაფხუტიანებს კოდორის ქართული სოფლების შესამოწმებლად არ დავუშვებთ“, — აცხადებენ საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლები.

თავის მხრივ, თბილისი დაჟინებით მოითხოვს, რომ სეპარატისტულმა სოხუმმა და რუსეთმაც, ხელი შეუწყონ ქართველ და უცხოელ სამხედრო ვერიფიკატორებს, შეამოწმონ გუდაუთის რუსული სამხედრო ბაზის ტერიტორია, რათა ოფიციალურად დადგინდეს, მართლაც გაუქმდა თუ არა რუსული სამხედრო ბაზა, როგორც ამას 1999 წლის სტამბოლის ხელშეკრულება მოითხოვდა.

ქართველი დიპლომატები ასევე მოითხოვენ მონიტორინგის ჩატარებას კოდორის ხეობის ქვემო ზონაში, რადგან არსებული ინფორმაციით, იქ თავმოყრილია აფხაზებისა და ჩრდილოკავკასიელების შეიარაღებული რაზმები, რომლებმაც, შესაძლოა, კოდორის ქართულ სოფლებზე მიიტანონ იერიში.

კოდორის სპეცოპერაცია ერთგვარი სწავლება გახდა...



სეპარატისტული სოხუმი ქართულ მხარეს ბრალს დებს კოდორის ხეობაში ტერიტორიების ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებით დანაღმვაში.

ეს ასეც რომ იყოს, გამოდის, თბილისი კოდორის ხეობიდან სოხუმზე შეტევისთვის კი არ ემზადება, პირიქით, თავდაცვითი ბრძოლებისთვის აწყობს პოზიციებს, რაც გასცემს პასუხს მთავარ კითხვას — ვინ აპირებს ომის დაწყებას კოდორის ხეობაში?!

არსებობს ბევრი საიმისო ნიშანი, რომ საქართველოს ჩათრევა სურთ ახალ შეი-

არაღებულ კონფლიქტში ან სულაც კონფლიქტებში.

სავსებით შესაძლებელია, რომ კოდორის ხეობაში სიტუაციის უკიდურესად დაძაბვის პარალელურად თოფი ცხინვალთანაც გავარდეს და რეალურად შეიქმნება ორი ფრონტის გახსნის საშიშროება. დაახლოებით ასეთივე სიტუაციაში ამას წინათ ისრაელი იყო, როდესაც შეტევებს გეგმავდა როგორც სამხრეთით, ღაზას სექტორში, ისე ჩრდილოეთით, ლიბანის ტერიტორიაზე. შესაბამისად, „ჰამასისა“ და „ჰეზბოლაჰის“ შეიარაღებული ჯგუფები „კასამისა“ და „გრადის“ რაკეტებს ორივე მხრიდან აყრიდნენ ებრაულ ქალაქებს.

პრეზიდენტ სააკაშვილისა და მისი გუნდის პოლიტიკური ალღო და გამჭრიახობა მაშინ გამოჩნდება, თუკი არ მისცემენ კრემლს საშუალებას, საქართველო ერთდროულად ორ ფრონტზე ჩაითრიონ შეიარაღებულ კონფლიქტში.

კონფლიქტების განახლების საქმეში მაპროვოცირებელ ძალად ისევ ქართველი მხარის წარმოჩენა სურს მოსკოვს. ეს ერთხელ უკვე შეძლეს აფხაზეთის ომის დაწყების დროს. დღეს თბილისმა ანალოგიური შეცდომები აღარ უნდა გაიმეოროს.

რუსეთის ხელისუფლება არც იმაზე იტყვის უარს, რომ მაპროვოცირებელ ძალად სეპარატისტული ცხინვალი და სოხუმი გამოიყენოს. ოსებისა და აფხაზების უმეტესობა იმედია, დიდი ხანია მიხვდა, რომ კრემლისთვის ისინი იარაღია, რომლის საშუალებითაც 15 წელიწადზე მეტია ურჩი ქართველების ჭკუის სწავლებას ცდილობს.

მოსკოვისა და შესაბამისად, რუსეთის ე. წ. სამშვიდობო ძალების პროვოკაციულ ქმედებებზე დიდ ყურადღებას აშშ-იც ამახვილებენ.



აღლუმი სოხუმში

ამას წინათ თბილისში მყოფმა ცნობილმა ამერიკელმა სენატორმა რიჩარდ ლეგანმა მიკიბ-მოუკიბავად განაცხადა, რომ აშშ-ის ხელისუფლების აზრით, სასწრაფოდ უნდა ჩაენაცვლონ საერთაშორისო სამშვიდობო დანაყოფები აფხაზეთში დღეს მდგარ რუს ცისფერჩაფხუტიანებს და დევნილებიც დაბრუნდნენ.

ვაშინგტონი ბოლო დღეებში ინტენსიურად ლაპარაკობს საერთაშორისო პოლიციური ძალების შეყვანაზე აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში. თუ ეს მართლაც მოხდა, მაშინ შესაძლოა, თავიდან ავიცილოთ შეიარაღებული კონფლიქტის განახლების პერსპექტივა.

სხვადასხვა ქვეყნებში შეგროვილი პოლიციელები, რომელთა უმეტესობას კონფლიქტურ ზონებში მოქმედების მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ, ბევრად უკეთესად უზრუნველყოფენ ქართველი დევნილების მშვიდობიანად დაბრუნებას კონფლიქტის ზონაში.

მართალია, პროცესი გაჭიანურდება, მაგრამ ეს მაინც ბევრად სჯობია იმას, რასაც დღეს კონფლიქტების ზონებში რუსი ცისფერჩაფხუტიანები სჩადიან.

დაიწყება თუ არა ომი კოდორის ხეობაში თუ ცხინვალის რეგიონში, ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. მათ შორის ერთ-ერთი მთავარია, — რა პოზიციას დაიკავებენ მოსკოვსა და ვაშინგტონში. მოსალოდნელია, რომ კრემლმა ისარგებლოს ვეტოს უფლებით გაეროს უშიშროების საბჭოს მოსალოდნელ დადგენილებაზე აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო პოლიციური ძალების გამოგზავნაზე.

თავის მხრივ, თეთრი სახლი, რომლისთვისაც სულერთი არ არის, როგორ წარიმართება „ვარდების რევოლუციის“ მომავალი საქართველოში, ალბათ, ძალღონეს არ დაიშურებს, რომ კრემლმა თბილისი ახალ ომში არ ჩაითრიოს.

**ირაკლი ალადაშვილი**

**საინტერესოა რას უმიზნებს კოკოითი და... რას გაარტყამს?**





სწავლებები ცხინვალში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# C-400-ს ახალ წლამდე აითვისებენ



პირველი პოლკი, რომელიც აღჭურვილია საზენიტო-სარაკეტო სისტემა C-400 „ტრიუმფით“, საბრძოლო მორიგეობას მოსკოვის მახლობლად 2006 წლის დამლევს ჩაიბარებს.

საზენიტო-სარაკეტო სისტემა C-400 შეცვლის სერია П და В C-300-ს, რომლის დანიშნულებაა ჰაერსაწინააღმდეგო და შესაბამისად, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის უზრუნველყოფა. სისტემა C-400 შეიქმნა როგორც აეროდინამიკური სამიზნეების (თვითმფრინავების, ფრთოსანი რაკეტების, უპილოტო საფრენი აპარატების), ასევე ბალისტიკური რაკეტების ეფექტიანად გზის გადასაჭრელად და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სახმელეთო ჯარებისა და ქვეყნის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ნაწილების შეიარაღებაში შევა.

C-400 მოქმედების შორი რადიუსის საზენიტო-სარაკეტო სისტემაა. სისტემის არსენალში შედის უკვე არსებული რაკეტები 48H6E და 48H6E2, რომლებიც C-300-ში გამოიყენება, ასევე, 9V96T და 9V96T2 ახალი თაობის რაკეტები. ამასთან, C-400-სთვის შემუშავებულია ზედიდი სიშორის (400 კილომეტრამდე) რაკეტა, რომლის ინდექსი ჯერჯერობით გასაიდუმლოებულია.

რაკეტა 9V96-ს შეუძლია 150 კილომეტრის რადიუსზე და 35 კილომეტრის სიმაღლეზე გაანადგუროს სამიზნე.

# სამხრეთ კორეის საზღვრებს საბრძოლო რობოტები დაიცავენ

სამხრეთ კორეის არმიამ დაიწყო მობილური ტაქტიკური რობოტების დამუშავება. კორეის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მომავლის ომებისათვის მომზადების გეგმა 15 წლის განმავლობაში რობოტების სამი ტიპის შექმნას ითვალისწინებს. სავარაუდოდ, რობოტს ექნება სასროლი იარაღი, ვიზუალური თვალთვალის საშუალებანი, ქიმიური ნივთიერებებისა და რადიაციული გამოსხივების დეტექტორები, ასევე რადარ-დეტექტორები. რობოტს უნდა შეეძლოს დამალული ასაფეთქებელი ნივთიერებების პოვნაც. მას დისტანციური მართვა ექნება. რობოტ-მზვერავის გარდა, კორეის შეიარაღებული ძალები ამუშავებენ უნივერსალურ საბრძოლო რობოტს, რომელიც იმართება როგორც დისტანციურად, ასევე საკუთარი ალგორითმითაც. ის აღიჭურვება სხვადასხვაგვარი შეიარაღებით და მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებით. რობოტს ექვსი ან რვა ფეხი ექნება და რთულ რელიეფზე მწერივით გადაადგილდება.

უკანასკნელ ეტაპზე, 2020 წელს, სამხრეთ კორეის შეიარაღებული ძალები შეიარაღებაში მიიღებენ მძიმე საბრძოლო რობოტებსაც, რომელთაც საბრძოლო მოქმედებების დამოუკიდებლად წარმართვა შეეძლებათ. საარტილერიო შეიარაღებით აღჭურვილი საბრძოლო რობოტები ძირეულად შეცვლიან ბრძოლის ველის თანამედროვე სურათს.

# თურქეთი აშშ-სგან ფრთოსან რაკეტებს იყიდის



„თურქეთი აშშ-სგან 50 ერთეულ საავიაციო ფრთოსან რაკეტა SLAM-ER-ს იყიდის, რომლის დანიშნულებაა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ზონის მიღმა სამიზნეების განადგურება“, – განაცხადა თურქეთის სამხედრო უწყების მეთაურმა ვეჯდი გონულმა. გარიგების ღირებულება 139 მილიონი დოლარია. „თურქეთმა და აშშ-მა კონტრაქტის დადების შესახებ მიაღწიეს შეთანხმებას. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება რაკეტების საფასურის გადახდის პირობებზე“, – ამბობს თურქეთის თავდაცვის მინისტრი. მისი თქმით, „სამხედრო-საჰაერო ძალების გაზრდილი სიშორის ფრთოსანი რაკეტებით აღჭურვა აამაღლებს საჰაერო და სახმელეთო სამიზნეების განადგურების ეფექტიანობას, მიანიჭებს თურქეთს სტრატეგიულ უპირატესობას“. აშშ-ის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის სააგენტომ (DSCA) უკვე მიმართა კონგრესს თურქეთისთვის ფრთოსანი რაკეტების მიყიდვის თაობაზე ნებართვისათვის. ორმხრივი შეთანხმების ხელმოწერის შემთხვევაში თურქეთისთვის რაკეტების მწარმოებელი კორპორაცია BOEING-ი იქნება. საავიაციო ფრთოსანი რაკეტები AGM-84K SLAM-ER-ები, რომლებიც აშშ-მა შეიარაღებაში 1999 წელს მიიღო, განკუთვნილია ზღვაში წყალზედა ხომალდებისა და მათი გაჩერების ადგილებში, ასევე სახმელეთო ნაკლებდაცული სამიზნეების მოწინააღმდეგის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მოქმედების ზონაში შეუსვლელად განადგურება. რაკეტებს საგემბანო ავიაციის, ასევე მიწისზედა ბაზირების თვითმფრინავები გადაიტანენ.



# აშშ-ის არმიამ რადარიანი ნაღმსაძებნი შეიძინა



აშშ-ის შეიარაღებულმა ძალებმა ნაღმსაძებნის დიდი პარტია შეიძინა. 17 ათასი AN/PSS-14 აპარატები კომპანია ცყტერრა-ს წარმოებულია და 300 მლნ დოლარი ღირს. ნაღმსაძებნებით საზღვაო ქვეითთა არმიის ქვედანაყოფები და კორპუსები აღიჭურვებიან.

AN/PSS-14 ნაღმსაძებნი ამ კლასის ერთ-ერთი საუკეთესო ხელსაწყოა. მას აქვს თანამედროვე მეტალდეტექტორი და რადარი, რომელსაც მიწისქვეშა ობიექტების აღმოჩენა შეუძლია.

ნაღმსაძებნს აქვს მართვის მრავალპროცესორული სისტემა განვითარებული პროგრამული უზრუნველყოფით, რაც ნაღმის მოძებნის ალბათობას 95%-მდე ზრდის. ამავდროულად, კონსტრუქტორებმა ცრუჩართვის ალბათობა შეამცირეს. აპარატი ნაღმის ყველა ტიპს — მეტალის, ხის და პლასტიკატისკორპუსიანს, ტანკსაწინააღმდეგოსა და ქვეითსაწინააღმდეგოს — პოულობს. ნაღმის პოვნისთანავე ხმოვანი სიგნალი ამუშავდება.

აპარატი ჩვეულებრივი ბატარეებით მუშაობს, დაახლოებით 3,7 კილოგრამს იწონის, გადასატანად მომცრო ჩემოდანში თავსდება და მისი გამოყენება ერთ ოპერატორს შეუძლია. ამჟამად საჰაერო-სადესანტო ქვედანაყოფებისათვის ნაღმსაძებნის უფრო მსუბუქ ვერსიას ამუშავებენ.

ნაღმის პოვნის გარდა, ხელსაწყო შეიძლება გამოიყენონ მიწის ქვემოთ გაყვანილი მილების, სამალავებისა და ბუნებრივი სიცარიელეების მოსაძებნად, რაც შეუცვლელს ხდის მას საქალაქო ბრძოლების პირობებში. აპარატის გამოყენება შეიძლება სამოქალაქო სფეროშიც. მაგალითად, გაზსადენებისა ან განძის საპოვნელად.



# გამოსცადეს ლაზერული იარაღი

კომპანია BOEING-ის სპეციალისტებმა და აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებმა შეიმუშავეს და გამოსცადეს პრინციპულად ახალი ლაზერული საბრძოლო სისტემები, რომელთაც პლანეტის ნებისმიერ წერტილსა და მიწის ახლო სივრცეში სამიზნის განადგურება შეუძლია. სისტემა ARMS-ს აქვს საზღვაო ან მიწისზედა ბაზირების ზემძლავრი სტაციონარული ლაზერები და სარკეების სისტემა, რომლებიც განთავსებულია დირიჟაბლებსა და უპილოტო თვითმფრინავებში, პერსპექტივაში კი კოსმოსურ თანამგზავრებშიც იქნება. პროექტის ოფიციალური მიზანია რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნა. გარდა ამისა, სარკეების სისტემა საშუალებას იძლევა ლაზერების ზემძლავრი სხივები პრაქტიკულად დედამიწის ნებისმიერ კუთხისკენ მიმართოს.

# ამერიკელ ჯარისკაცებს რევოლუციურ „თხევად ჯავშანს“ ჩააცმევენ



ამერიკული კომპანია ARMOR HOLDINGS-ის სამხედრო სპეციალისტებმა ,,თხევადი ჯავშანი“ შექმნეს. თავისი კონცეფციით რევოლუციური ჯავშანი ჯავშანჟილეტების იმ ახალ თაობაში გამოიყენება, რომლებსაც ერაყში აშშ-ის სამხედრო ქვედანაყოფებში მომავალი წლიდან მიიღებენ.

ჯავშანი ნანოტექნოლოგიის გამოყენებითა და უახლესი მასალებით დამზადდა. დამცავი მასალა სითხეა, რომელიც ტრადიციული ჯავშანჟილეტის ფენებს შორის არის მოქცეული. ტყვიის ან ჭურვის ნამსხვრევების მოხვედრისას დარტყმის ზემოქმედებით სითხე მომენტალურად იქცევა ზემყარ ნივთიერებად. გარეგანი ენერგეტიკული წნევის მოხსნისთანავე იგი ისევ თხევად მდგომარეობაში გადადის.

ეს აღმოჩენა ჯავშანჟილეტს სამმაგად შეუმცირებს წონას და იმავდროულად გაზრდის მის დაცვისუნარიანობასა და საიმედოობას. როგორც ცნობილია, ჯარისკაცს ყველაზე ნაკლებდაცული აქვს ხელები, კისრის, მუხლისა და იდაყვის არეები, ამ ნაწილების დაცვა ტრადიციული ჯავშანჟილეტით თითქმის შეუძლებელია. ახალი ,,თხევადი ჯავშანი“ სხეულის ნებისმიერ ნაწილს დაიცავს და ჯარისკაცს დაუბრკოლებლად შეუძლია იმოძრაოს.

როგორც ევროპული პრესა წერს, ტყვიაგაუმტარი ჯავშანჟილეტი სავაჭრო ქსელში მომავალ წელს გამოჩნდება. თითოეულის ფასი 500-600 დოლარი იქნება. შესაძლოა, ახალი ტექნოლოგია სამოქალაქო მიზნითაც გამოიყენონ — სამაშველო სამსახურებმა, ასევე, კასკადიორებისა და ავტომობილების მძღოლების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

# რა საფრთხის მატარებელია ჟინვალჰესი

შეიძლება თუ არა სამხედრო არსენალის გამოყენების გარეშე ომი მოიგო და თუ მილიონობით არა, ასიათასობით მოწინააღმდეგე ერთი ხელის მოსმით გაანადგურო? ეს კითხვა აწუხებდათ მსოფლიოზე გაბატონების სურვილით შეპყრობილ ნაცისტებს. ამიტომაც ცეცხლსასროლი და ასაფეთქებელი იარაღის გარდა აქტიურად მუშაობდნენ მასშტაბური მოქმედების ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გამოგონებაზე; ამავე დროს ცდილობდნენ, დაემზადებინათ ისეთი ბომბები, რომელთა საშუალებით ჰიდროელექტროსადგურებსა და წყალსაცავებს აფეთქებდნენ. საბედნიეროდ, ფაშისტების ცდა ამაო აღმოჩნდა. როგორც ჩანს, კრემატორიუმებში მოხვედრას გადარჩენილი კაცობრიობა განგებამ დაიფარა, მაგრამ საფრთხე ჯერ კიდევ არსებობს. ცხადია, ნაცისტების ბომბები ბევრად ჩამოუვარდება დღევანდელ ასაფეთქებელ საშუალებებს. ეგეც არ იყოს, არავინ იცის, რომელ ქვეყანას საიდან შემოუტევს 21-ე საუკუნის ჭირი — ტერორიზმი; არავინ იცის, რას მოიმოქმედებენ ფანატიკოსი მკვლელები, რომლებისთვისაც სულერთია, თვითმფრინავების მაღლივ შენობებთან შეჯახებით გაწყვეტენ ათიათასობით კაცს, მეტროსადგურებს აფეთქებენ, რკინიგზაზე მიიტანენ იერიშს, საფოსტო კონვერტით გაუგზავნიან მომწამვლელ ვირუსებს თუ წყალსაცავებისა და კაშხლების აფეთქების შედეგად გამოწვეული ტალღით გაანადგურებენ. ამ რეალური საფრთხის თავიდან აცილება ტერორიზმთან ბრძოლის მსოფლიო პროგრამის ერთ-ერთი ნაწილია. ასეთ პროგრამებში საქართველოც მონაწილეობს, რომელიც არაფრისგან არის დაზღვეული, თუნდაც გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო. მით უფრო მაშინ, როდესაც არც მტრის სიმცირეს ვუჩივით და არც ჰიდროელექტროსადგურები თუ წყალსაცავები გვაქვს თითზე ჩამოსათვლელი და მცირე მოცულობის. რამდენად რეალურია საფრთხე, ამის შესახებ თბილისის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორი გივი გავარდაშვილი გვესაუბრა:



წყალსაცავის მოცულობა 520 მლნ კუბ/მეტრია

— თანამედროვე მსოფლიოსთვის პრობლემატურია ორი საკითხი, — ბუნებრივი სტიქიების რეგულირება და სახელმწიფოსა და მოსახლეობის დაცვა ტექნოგენური კატასტროფებისგან. შესაძლოა, ეს გამოვლინდეს ჰიდროკვანძების სიბერით ან ობიექტებზე ტერორისტული აქტების შემდგომი ავარიებით.

საქართველოს ძირითად ჰიდროკვანძებზე ტექნოგენური კატასტროფის შემთხვევაში მოსახლეობას საფრთხე დაემუქრება ჟინვალის, შაორის, ლაჯანურისა და ენგურის კაშხლებიდან. განსაკუთრებით საშიშია ჟინვალის კაშხალი, რომელიც უძლიერეს დარტყმას მიაყენებს დედაქალაქს.

შესაძლოა, არც არაფერი მოხდეს, მაგრამ ყველაფერი წინასწარ გათვლილი უნდა გვქონდეს. ყველა ნაგებობას ექსპლუატაციის თავისი ვადა აქვს. როგორც კი სიბერე შეეპარება, მაშინვე სჭირდება მიშველება. ჩვენი ჰიდრონაგებობების ასაკი ასწლიან საექსპლუატაციო ვადაზეა გათვლილი. მსოფლიო ბანკი ითხოვს, რეკონსტრუქცია ჩაუტარდეს ჰიდროკვანძების საყრდენებს, ავარიულ წყალგადამგდებებს, რომელთაც ათასწლიანი საექსპლუატაციო ვადა ექნება.

**— რა მდგომარეობაშია დღეს ჟინვალი, რა საშიშროების წინაშე ვდგავართ — დაბერების თუ ტექნოგენური კატასტროფის?**

— ჟინვალჰესს თავიდანვე ორი დანიშნულება ჰქონდა: თბილისი უნდა მოემარაგებინა სასმელი წყლით და წყალსაცავის საშუალებით დარეგულირებულიყო წყალმოვარდნები არაგვის ხეობაში. წყალდიდობებისგან დაცული იქნებოდა დუშეთის, მცხეთისა და თბილისის მოსახლეობა. მოკლედ, ჟინვალჰესი, როგორც ბუნებრივი კატასტროფებისგან დამცავი საშუალება, ხალხის სამსახურში ჩადგა.

დაბერების პრობლემა არც ერთ ზემოჩამოთვლილ კაშხალს არ უდგას; საფრთხე ამ მხრივ გამორიცხულია. რაც შეეხება ტექნოგენურ კატასტროფებს, ტერაქტს ან მიწისძვრას, მოგეხსენებათ, პროგნოზირება რთულია. კატასტროფის შემთხვევაში სად რა ძალის დარტყმა ემუქრება მოსახლეობას, გამოვთვალეთ. შევარჩიეთ რამდენიმე კვანძი: სოფელი ჟინვალთან, რომელიც კაშხლიდან 30 კმ-ით არის დაცილებული; ავჭალის დასახლება 35 კმ-ში; დიღმის ხიდი 44 კმ-ში; ჩელუსკინელების ხიდი 48 კმ-ში, შემდეგ ორთაჭალის ხიდი და ბოლოს რუსთავის ახალი დასახლება. გამოვთვალეთ, ჟინვალზე ავარიის შემთხ-

**ოფიციალური მონაცემებით წყალსაცავის მაქსიმალური სიღრმე 96 მეტრამდე აღწევს, კაშხლის სიმაღლე კი 102 მეტრია**



ვევაში წყალი რა სიღრმესა და რა სიგანეზე გაიშლება. შედეგი ძალზე საინტერესოა. ჟინვალის კაშხალზე ავარიის შემთხვევაში სოფელ მისაქციელში წყლის ტალღა 47 წუთში ჩავა. წყლის სიღრმე 21 მეტრი, ტალღის სიჩქარე კი წამში 11 მეტრი იქნება. წყალი მარჯვნივ, მდინარის მიმართულებით 319 მეტრზე გაიშლება, მარცხნივ კი – 322 მეტრზე; ასე რომ, სოფელი მთლიანად წყლის ქვეშ აღმოჩნდება. თუ 47 წუთში დროულად ჩატარდება გამაფრთხილებელი ღონისძიება და მოსახლეობა გაიხიზნება, მსხვერპლს ავიცილებთ. სამაშველო სამსახურებმა დროულად უნდა გაავრცელონ გამაფრთხილებელი სიგნალები.

ავჭალის მოსახლეობაში ტალღის ჩასვლას 57 წუთი დასჭირდება. ამიტომაც დროული გაფრთხილების შემთხვევაში, მოსახლეობა თავისუფლად დააღწევს თავს საფრთხეს. ტალღა დიღომში საათსა და 15 წუთში იქნება, ეს ცოტა დრო არ არის, გააჩნია, რამდენად მობილიზებული იქნება სამაშველო სამსახური.

**— თბილისში სად და რა მანძილზე გაიშლება ტალღა?**

– ჩელუსკინელების ხიდთან მტკვარი 85 მეტრის სიმაღლეზე აიწევს და გმირთა მოედანზე ამოვა; მარცხენა სანაპიროზე ტალღა 614 მეტრამდე ამაღლდება და „ნახალოვკის" გადასასვლელ ხიდამდე მივა; დიღმის ხიდიდან, მარცხენა ნაპირიდან გადმოსული წყალი დავით აღმაშენებლის ძეგლამდე დაფარავს ტერიტორიას. ტალღა 5 მეტრი წამში სიჩქარით იმოძრავებს.

**— შემაძრწუნებელი პროგნოზია. გამოდის, თბილისი მიწასთან გასწორდება.**

– ღმერთმა ნუ ქნას. ისე კი, ტერორისტულმა აქტმა შესაძლოა ობიექტის ნაწილი დაანგრიოს, ნაწილი – ვერა. შესაბამისად, დარტყმაც ნაკლები იქნება. კაშხალზე მასშტაბური კატასტროფის გამომწვევი ტერორისტული აქტის ჩატარება იოლი არ არის. ამისთვის დაინტერესებულ ძალას სჭირდება მაღალი დონის ჰიდროინჟინერი ტერორისტი, რომელმაც ზუსტად უნდა გათვალოს ასაფეთქებელი მოწყობილობის ჩასადები ადგილი. ეს კი იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თუ უსაფრთხოებისა და სამაშველო სამსახურებში ყველას დახოცავენ და სიგნალის გადამცემი აღარავინ დარჩება. შეუძლებელია ასეთი რამ მოხდეს...

საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე *ფრიდონ სადუნიშვილიც* ეჭვობს, რომ ვინმემ შეძლოს ჟინვალზე ტერაქტის მოწყობა. მიუხედავად ამისა, საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტი ყველაფრისთვის მზად არის.

– ასეთ კვანძებზე ტერაქტის მოწყობა არ არის იოლი. ძნელი ასაფეთქებელია. ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ფაშისტებიც გაულეტდნენ ხალხს წყლით; მსოფლიო უარს იტყოდა შეიარაღებულ დაპირისპირებაზე და მოწინააღმდეგის გასანადგურებლად კაშხლებზე ნადირობა გაჩაღდებოდა.

აფეთქების შედეგად შესაძლოა ნაწილობრივ დააზიანონ დამბის კედლები, რაც წყალდიდობას, წყალმოვარდნას გამოიწვევს.

**— შესაძლოა, წყალმოვარდნაც ტრაგიკულად დამთავრდეს მათთვის, რომლებსაც შესაძლოა, იმ მომენტში მშვიდად ეძინოთ?**

– რა თქმა უნდა, ამიტომაც მერწმუნეთ, ყველანაირი მოვლენისთვის ვართ მზად. მაქსიმალურად მოწესრიგებულია შეტყობინების სისტემა. ვმუშაობთ იმაზე, როგორ უნდა ჩამოყალიბდეს საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სრულყოფილი სისტემა. გვეცოდინება, როდის რა და როგორ ხდება ქვეყნის ნებისმიერ წერტილში. შესაბამისად, მოვლენის მართვა მისი მასშტაბების მიხედვით იქნება შესაძლებელი. თუ პრობლემა რაიონული მასშტაბის იქნება, კონკრეტული რაიონის გამგებელს შეუძლია მოაგვაროს. თუ გლობალური მასშტაბის იქნება, მას ცენტრიდან ვმართავთ. თუ ცენტრიც ვერაფერს გახდება, საერთაშორისო ორგანიზაციებს ჩავრთავთ ღონისძიებაში. ეს მექანიზმი უკვე შესანიშნავად მუშაობს, ამის თქმა შემიძლია სხვა ქვეყნების მაგალითზე. 24-საათიან რეჟიმში ხდება ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა ქვეყნისათვის. ასე რომ, ინფორმაციის გავრცელებისათვის და სამაშველო ოპერაციის დროულად დასაგეგმად ტექნიკური პრობლემა არ გვაქვს.

**— რამდენად სწრაფად შეგიძლიათ ტექნიკის მობილიზება მოსახლეობის საევაკუაციოდ?**

– როგორც ომს, ასევე ნებისმიერ სტიქიას ან კატასტროფას წინ უძღვის რაღაც ნიშანი. ამიტომაც აუცილებელია მუდმივი მზადყოფნა. მოსახლეობის ევაკუაციას იოლად შევძლებთ.

**— დავუშვათ, განვითარდა ფორსმაჟორული სიტუაცია, გყავთ თუ არა შვეულმფრენები და მაშველები?**

– გვყავს არა მარტო 24-საათიანი ტელეფონზე მოპასუხე სამორიგეო ჯგუფი, არამედ სწრაფი რეაგირების რაზმიც, რომელიც განთავსებულია თბილისის ზღვაზე. უკვე მოგახსენეთ, რომ დღეისთვის ქვეყანაში ყალიბდება საგანგებო მართვის ერთიანი სისტემა, სადაც მეხანძრეებიც კი მეხანძრე-მაშველები იქნებიან. ყველა რაიონს ეყოლება სამაშველო რაზმი, რომლებიც ჩვენს ტრენინგცენტრში მომზადდებიან. შვეიცარიელებთან ერთად ვამუშავებთ მაშველების მოსამზადებელ პროგრამას; მაშველები მომზადდებიან არა მარტო ერთი კონკრეტული სიტუაციისთვის, თუნდაც წყალდიდობისთვის, არამედ ყველა პრობლემისთვის, იქნება ეს ქიმიური ავარიები თუ კატასტროფები. გვეყოლება საგანგებო სიტუაციისთვის საუკეთესოდ გაწვრთნილი 6000 კაცი. უკვე შედგენილია ეროვნული რეაგირების გეგმა, რომელსაც სავარაუდოდ ამ თვეში მოაწერს ხელს საქართველოს პრეზიდენტი. ასევე მომზადებულია კანონპროექტი მოსახლეობისა და ტერიტორიების დაცვის შესახებ. ამ დოკუმენტების ამოქმედების შემდეგ ზუსტად იქნება განსაზღვრული, რა შემთხვევაში და ვინ უნდა ჩაატაროს სამაშველო ოპერაციები; ვის რა ფუნქციები დაეკისრება. მაგალითად, ქიმიურ და რადიაციულ ავარიებზე პასუხისმგებლობა ეკისრება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს; საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი მოვლენებზე რეაგირების მთლიან გეგმას ადგენს, ამიტომაც ნებისმიერი სამინისტრო თავის გეგმას ჩვენთან ათანხმებს. ვიცით, ვის სად რა ძალები ჰყავს და რა ფუნქციას შეასრულებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისა და მოსახლეობის უსაფრთხოების თვალსაზრისით. როცა თავისი საქმე იცის კაცმა, მისი ნებისმიერ ცხელ წერტილში გადასროლა იოლი და შედეგიანია.

**P.S.** ნათქვამია, არასოდეს თქვა არასოდესო, ამიტომ ჩვენი რესპონდენტების ოპტიმიზმს მხოლოდ ნაწილობრივ გავიზიარებთ. სამყაროში, სადაც ყოველ ნაბიჯზე ომი და ნგრევა მეფობს, შეუძლებელია მშვიდად იყო. ისე, 6000 საუკეთესოდ გაწვრთნილი მაშველი სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის ცუდი მაჩვენებელი არ უნდა იყოს. რაღა თქმა უნდა, თუ ყველანი პროფესიონალები არიან.

*ეკა ლომიძე*

**კაშხლის სიგანე 415 მეტრია**



# კიდევ ერთი ვანდალური აქტი რუსი სამხედროების შესრულებით



ციხის ეზოს ხედი

ანაკლია XV-XVII საუკუნეებში ოდიშის სამთავროს მნიშვნელოვანი ნავსადგური იყო.

XVIII საუკუნის დამდეგს ოსმალებმა მიიტაცეს ანაკლია და ციხესიმაგრე ააგეს, რომელიც ტყვეთა ვაჭრობის კერად იქცა.

ბუქარესტის საზავო ხელშეკრულებით (1812 წელი) რუსეთის მფლობელობაში გადავიდა, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა აკერმანის კონვენციამ (1826 წელი).

გეგმით კვადრატული ციხის კუთხეებში თითო კოშკი იდგა, მათგან ჩრდილო-დასავლეთისა აღარ არსებობს (მდინარე ენგურს წაულეკავს). კოშკებს პირველ და მეორე სართულზე შესასვლელი ცალ-ცალკე ჰქონდა ეზოდან, კედლებში დატანებული იყო სათოფურები. საზარბაზნე მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთის სწორკუთხა კოშკის გარე კედელშია შემონახული.



ციხის გალავნიდან მორღვეულ ქვებს რუსები სანგრების გასამაგრებლად იყენებენ

ციხეს გარს არტყია გალავანი, რომლის ქვედა იარუსი ყრუა, ზედას კი ბილიკის დონეზე სათოფურები აქვს დატანებული. შესასვლელი აქვს დასავლეთით, მდინარე ენგურის მხრიდან (გალავანიც და ჭიშკარიც წყალმა წალეკა).

1994 წლიდან ციხესიმაგრის ტერიტორიაზე განლაგებულნი არიან რუსეთის სამშვიდობო ძალები, რომლებიც 12 წლის განმავლობაში ანადგურებენ ამ ისტორიულ ძეგლს.





მის ტერიტორიაზე აშენებულია აბანო, საპირფარეშო, სხვადასხვა დანიშნულების სათავსები, საწყობები, მოშლილია დამცავი კედლები სხვადასხვა მონაკვეთზე.

ციხესიმაგრის ერთ-ერთ კედელზე ფერადი სალებავებით მოწყობილია დაღუპულ რუს მეომართა მემორიალი (და დახატულია რუსეთის ფედერაციის დროშა).

*ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, პოლკოვნიკი*
*მამუკა გოგიტიძე*

**„არსენალი“ მიმართავს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტსა და სათანადო სტრუქტურებს თხოვნით, — სანამ არ არის გვიან, უშველონ ისტორიულ ძეგლს, გადაარჩინონ საბოლოოდ განადგურებას და შეუნარჩუნონ შთამომავლობას.**



საპირფარეშო პირდაპირ გალავანთან მოუწყვიათ...




ამ აბანოში მარტო 31 დეკემბერს არ დადიან...



ისრაელის ფლოტის საგანგებო დანიშნულების რაზმ „შაიეტეტ-13“-ის საბრძოლო ისტორია ნახევარ საუკუნეზე მეტს მოიცავს.

1950-69 წლების ომებში რაზმი მიზეზთა გამო ისრაელს არ გამოუყენებია.

1969 წელს დაიწყო ე. წ. „ომი დაუძლურება-გამოფიტვამდე“, რომელიც ისრაელის სახელმწიფოს ეგვიპტემ გამოუცხადა. სწორედ ამ წელს მიაღწიეს პირველ წარმატებას ისრაელის საგანგებო დანიშნულების საზღვაო ნაწილებმა. სწორედ ამ პერიოდში „შ-13“-მა (შემოკლებით ასე უწოდებენ ამ სპეცრაზმს) პირველი რეიდები და შედეგიანი თავდასხმები ჩაატარა მტრის ღრმა ზურგში. ფლოტის კომანდოსებმა მწვანე კუნძულზე თავდასხმების დროს, სუეცის არხის ჩრდილოეთით, რას სადათში ორი სატორპედო კატარღა ააფეთქეს.

# ისრაელის სპეცსამსახურეში

## ზღვასა და ხმელეთზე

### ადაბია

1969 წლის სპეცოპერაციებიდან ყველაზე შედეგიანი ადაბიაში რადიოსალოკაციო სადგურზე თავდასხმა გამოდგა. ეს იყო რაზმის პირველი დამოუკიდებელი ოპერაცია ხმელეთზე. მანამდე რაზმის მებრძოლებს გამცილებლებად და ჩასაფრებითი მოქმედებებისთვის იყენებდნენ. ოპერაციის სამიზნე იყო მცირერიცხოვანი გარნიზონი, რომელიც სუეცის უბის ნავსადგურთა ქსელის სამხრეთით იყო განლაგებული. დაზვერვის მონაცემებით, გარნიზონში 20-30 ჯარისკაცი, რადიოსალოკაციო სადგური, გენერატორი, შუქურა და ჯარისკაცთა ყაზარმა იყო. გარნიზონის ჩრდილოეთით მუდმივად მორიგეობდნენ ეგვიპტელთა საპატრულო კატარღები, რომლებსაც გარნიზონის მეომართა დასახმარებლად მისვლა ნებისმიერ დროს შეეძლოთ. ამოცანა რადიოსალოკაციო სადგურის განადგურებას ისახავდა მიზნად, რომლის მისაღწევადაც ოპერაციაში 150 პარაშუტისტის მონაწილეობა დაიგეგმა. მოგვიანებით ოპერაციის გეგმა შეიცვალა და მისი შესრულება „შ-13“-ს და სადესანტო სპეცრაზმ „სეიერეტ ცანხანიმ“-ს დაევალა. ოპერაციაში „შ-13“-ს მხოლოდ დამხმარის ფუნქცია უნდა შეესრულებინა, მედესანტეები ტრანსპორტით უნდა უზრუნველეყო.

ფლოტის ხელმძღვანელობას სურდა სპეცრაზმის ქმედუნარიანობა დაემტკიცებინა, რის გამოც მუდმივ ზეწოლას ახდენდა არმიის ხელმძღვანელობაზე. საბოლოოდ, ოპერაციის დაგეგმვაცა და მისი ჩატარებაც „შ-13“-ს დაევალა.

დაიწყო გულმოდგინე მზადება. გადაიღეს ობიექტის სურათები ხმელეთიდან და ზღვიდან, ორმა წყვილმა მოცურავემ სამოქმედო არე რამდენჯერმე დაზვერა წყალქვეშ. გაირკვა, რომ დესანტის სავარაუდო გადასხმის ადგილას ძლიერი დინება იყო, რის გამოც ოპერაციას ნავარაუდევზე მეტი დრო დასჭირდებოდა.

რაზმის ერთ-ერთ ბაზაზე გაკეთდა თავდასხმის ობიექტის მაკეტი, რომელზეც სპეცრაზმელებმა ოპერაციის დეტალების დამუშავება დაიწყეს. 20 ივნისს ისრაელის არმიის ერთ-ერთ სანაპირო ბაზაზე, რომელიც სინას ნახევარკუნძულზეა განლაგებული, 40 სპეცრაზმელი ჩაიყვანეს. აქედან ადაბიამდე 6 კილომეტრი იყო. ერთი დღის განმავლობაში სპეცრაზმელებმა შეამოწმეს და მოამზადეს მთელი საომარი აღჭურვილობა. გეგმა მარტივი იყო. სპეცრაზმელები 5 ქვეჯგუფად დაიყვნენ: 4 მოიერიშედ და ერთ შემაფერხებლად. ამ უკანასკნელს მტრის ბაზასთან მისასვლელი გზა უნდა გადაეკეტა და ჩასაფრებულიყო ეგვიპტელთა დამხმარე ძალების გასანადგურებლად.

21 ივნისს, 20 საათსა და 30 წუთზე, დამარტყმელი ჯგუფის ოცდახუთმა სპეცრაზმელმა და საომარი ნავების თოთხმეტმა ოპერატორმა ადაბიისკენ აიღეს გეზი. სპეცრაზმელებიდან თექვსმეტი ახალბედა იყო. მათ ახალი გავლილი ჰქონდათ მოსამზადებელი კურსები. ეს ოპერაცია მათი საომარი ნათლობა გამოდგა. იმის გამო, რომ რაზმის მეთაური ზედმეტად ფრთხილობდა და ხშირად აჩერებდა ნავებს, ოპერაციის დაწყება დაგვიანდა. სპეცრაზმელები ნაპირიდან ექვსასი მეტრის მოშორებით ჩაეშვნენ ზღვაში. როცა ნაპირამდე 150 მეტრი რჩებოდა, მტრის ორი მოდარაჯე ჯარისკაცი შენიშნეს და ნაპირისაკენ ცურვა შეანელეს. ამ დროს გაირკვა, რომ რაცია გამართულად ვერ მუშაობდა და იგი გათიშეს. როცა ნაპირს მიაღწიეს, მათ შემაფერხებელი ჯგუფი გამოეყო, რომელიც შეუმჩნევლად გავიდა გზაზე, გადაჭრა სატელეფონო სადენები, დანაღმა, მასზე ლურსმნები მოაბნია და ჩასაფრდა.

დანარჩენები უკვე ხმელეთზე მიცოცავდნენ. როცა სპეცრაზმელები ეგვიპტელ მოდარაჯეებს ოცდახუთი მეტრის მანძილზე მიუახლოვდნენ, ცეცხლი გახსნეს...

ერთ-ერთმა ჯგუფმა აგურის შენობას შეუტია. სამი ეგვიპტელი მეომარი სროლის დაწყებისთანავე მოკლეს, სამიც — შენობის ჩხრეკისას; მეორე შენობასთან ოთხი არაბი ყარაული მოკლეს და შიგნით შეიჭრნენ...

ამ დროს ებრაელი მეომრები დილემის წინაშე აღმოჩნდნენ — ზღვის წყლით გაჟღენთილი და სილით დაბინძურებული პისტოლეტ-ტყვიამფრქვევები დადუმდნენ, ამიტომ ხელყუმბარები გამოიყენეს და შენობა მტრისგან ისე გაწმინდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სადაზვერვო ჯგუფი მდინარის დელტაში გასაბერი ნავით შედის

მესამე ჯგუფი იმ შენობაში შეიჭრა, რომელშიც რადიოსალოკაციო სადგური უნდა ყოფილიყო. ბრძოლისას სპეცრაზმელებმა შვიდი მოწინააღმდეგე გაანადგურეს, მაგრამ რადიოსალოკაციო სადგური ვერ აღმოაჩინეს, მის მაგივრად შენობაში უზარმაზარი პროჟექტორი იდგა.

მეოთხე ჯგუფმა სხვადასხვა შენობაზე მიიტანა იერიში, რომლის დროსაც მსუბუქად დაიჭრნენ რაზმის მეთაური და ერთი მეომარი. ამ დროისთვის პირველმა რაზმმა ეგვიპტელების პატრულთა სამკაციანი ჯგუფი გაანადგურა.

როცა შენობები ასაფეთქებლად მოამზადეს, სპეცრაზმმა უკან დახევა დაიწყო, მაგრამ იმის გამო, რომ პირველ ჯგუფთან რადიოკავშირი გაწყვეტილი იყო, ეს უკანასკნელი ბრძოლის ველზე შეყოვნდა და ლამის საკუთარი არტილერიის მსხვერპლი შეიქნა, რადგან როგორც დაგეგმილი იყო, არტილერისტებმა მათი უსაფრთხოდ უკან დახევის უზრუნველსაყოფად ცეცხლი გახსნეს. ოპერაციის შედეგად 32 ეგვიპტელი ჯარისკაცი და ოფიცერი განადგურდა.

მაშინვე აღინიშნა, რომ ეს იყო წარმატებული ოპერაცია, რომლის დროსაც არც ერთი ებრაელი სპეცრაზმელი არ დაღუპულა. დიდი ყურადღება დაეთმო შეცდომებსაც, სერიოზულ ხარვეზად ჩაითვალა რაციის მწყობრიდან გამოსვლა, რომელმაც ლამის სავალალო შედეგი მოიტანა; გარდა ამისა, ჯარისკაცებმა არასაკმარისი ყურადღება დაუთმეს იარაღის ჰერმეტულად შეფუთვას, რის გამოც მებრძოლებს ავტომატურმა იარაღმა ყველაზე საჭირო დროს უმტყუნა.

სახმელეთო და სადესანტო ჯარების სარდალმა რაფაელ ეიტანმა განაცხადა, რომ სპეცრაზმელებმა ოპერაციის დროს იმაზე გაცილებით მეტი ტყვია დახარჯეს, ვიდრე საჭიროება მოითხოვდა და რომ მატრასირებელი ტყვიები მიზნის მისათითებლად უნდა გამოიყენებოდეს და არა საბრძოლველად. სამწუხაროდ, ოპერაციის დროს დაშვებული შეცდომებიდან შესაბამისი დასკვნა არავის გამოუტანია, რამაც მწვანე კუნძულზე თავდასხმის დროს ებრაელებს შორის ცოცხალი ძალის დანაკარგი გამოიწვია.

მხოლოდ ამის შემდეგ შეიცვალა საქმისადმი მიდგომა და შედეგიც გაუმჯობესდა. 1971 წელს „შ-13“-მა მედესანტეებთან ერთად მიიღო მონაწილეობა სპეცოპერაციაში, რომლის კოდური სახელწოდება „ბარდეს-2-“ იყო. ოპერაციისას „შ-13“-ის სპეცრაზმელებმა მაღალი პროფესიონალიზმი და ორგანიზაციის კარგი უნარი გამოავლინეს. ისრაელის მეომრებმა უდანაკარგოდ გაანადგურეს მოწინააღმდეგის ათეულობით მეომარი.

თუ აღაბიაში ჩატარებული ოპერაცია პირველი იყო და ბევრი სერიოზული შეცდომა გამოავლინა როგორც დაგეგმვაში, ასევე საომარი მოქმედებების დროს, 1980 წელს ჩატარებული ოპერაცია „მაღალი ძაბვა“ ერთ-ერთ საუკეთესოდაა მიჩნეული სპეცრაზმის საომარ ისტორიაში.

მისი დაგეგმვა მას შემდეგ დაიწყო, რაც დაზვერვამ ოპერატიული მონაცემები მოიპოვა. ტერორისტები ისრაელის ჩრდილოეთით მსხვილმასშტაბიანი ტერორისტული აქტის ჩატარებას აპირებდნენ, რომლის დროსაც ებრაელთა მძევლად აყვანა იყო დაგეგმილი. ტერორისტები გადმოსხდომას ზღვის მხრიდან აპირებდნენ. სპეცსამსახურებმა მათი ადგილსამყოფლისა და რაოდენობის შესახებ ზუსტი ცნობები მოიპოვეს. რადგან ტერორისტთა ბაზა ზღვის სანაპიროს ახლოს მდებარეობდა, ოპერაციის ჩატარება „შ-13“-ს მიანდვეს, მით უმეტეს, რომ ამ დროისთვის მას მდიდარი საომარი გამოცდილება ჰქონდა.

ოპერაციის მოსამზადებლად სპეცრაზმს რამდენიმე კვირა მისცეს. ტერორისტების ბაზა ზღვიდან სულ რაღაც 50 მეტრის მოშორებით ნაპირსა და რკინიგზას შორის მდებარეობდა. იგი რამდენიმე ორსართულიან და ერთსართულიან შენობას, აგრეთვე კარვებსა და ბუნკერებს წარმოადგენდა, რომელთა გარშემო ტყვიამფრქვევთა საცეცხლე წერტილები იყო განლაგებული. ტერორისტები ზღვის მხრიდან თავდასხმას არ მოელოდნენ და სანაპირო ზოლი არ დაუნაღმავთ. სხვადასხვა წყაროს მონაცემებით, ბაზაზე მუდმივად 30 შეიარაღებული ტერორისტი იმყოფებოდა.

სარდალმა ოპერაცია ყველაზე ზუსტი ინფორმაციის საფუძველზე დაგეგმა, „შ-13“-ის მეომრებმა კი მომავალი სამხედრო მოქმედებები ვარჯიშისას ბოლომდე გაითავისეს.

ოპერაციის ძირითადი ამოცანა არა ბაზის განადგურება, არამედ იმ რვა ტერორისტის ლიკვიდაცია იყო, რომლებიც მძევლების აყვანას აპირებდნენ.

16 აპრილს გაიცა ბრძანება ყველა ძალისა და სამხედრო საშუალების, უმაღლესი საომარი მზადყოფნის შესახებ.

1980 წლის 17 აპრილის ღამით კი სარაკეტო კატარღების დაცვის ქვეშ მყოფი „შ-13“ ობიექტისკენ დაიძრა.

ტრადიციულად, მებრძოლები რამდენიმე მცირე ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი: მოიერიშე, დამხმარე და ცეცხლით მხარდაჭერის. ოპერაციას ხელმძღვანელობდა რაზმის მეთაური, პოლკოვნიკი ამი. ნაპირზე გადმომსხდარმა სპეცრაზმელებმა აღმოაჩინეს, რომ შეცდომა დაუშვეს, რადგან ნაპირზე მდებარე რამდენიმე ვილის შუქი ტერორისტების ბაზაში აერიათ და უკან დაბრუნებამ მოუწიათ. ამის გამო ოპერაციის გრაფიკმა 40 წუთით გადაიწია.

სპეცრაზმელებმა პატარა ყურე გადაცურეს და ამჯერად ზუსტად მიაღწნენ ბაზას. ნაპირზე ამოსულები მოულოდნელად 2,5 მეტრის სიმაღლის რკინის ბადის ღობეს წააწყდნენ, რომელიც ბაზას ზღვის მხრიდან ჰქონდა შემოვლებული. ღობის გადალახვა სახიფათო იყო, რადგან ტერორისტები ხმაურს გაიგონებდნენ. სპეცრაზმელებმა ღობეს შემოუარეს. საბოლოოდ, ყველა ჯგუფი დათქმულ მიზანს შეუმჩნევლად მიუახლოვდა.

ერთ ჯგუფს ორსართულიან სახლზე უნდა მიეტანა იერიში. მისი მეთაური ხოხვით მიუახლოვდა შენობას და ორი ყარაული მოკლა, რის შემდეგაც რაზმის წევრებმა შენობის პირველ სართულზე ხელყუმბარები შეყარეს და შიგ ორი მსხვილი ნაღმი დატოვეს, რომელთა აფეთქებამაც შენობა მთლიანად დაანგრია. დაიღუპნენ შენობაში დარჩენილი ტერორისტები. ამ დროს ჯგუფის ერთ-ერთი ოფიცერი დაიჭრა, მას აფეთქებული შენობის ნანგრევი დაეცა.

ამ დროს მეორე ჯგუფი, რომელმაც ბანანების პლანტაციიდან შემოუარა და ღობეში გაძვრა, რკინიგზის მიწაყრილთან მდებარე ერთსართულიან სახლს მიუახლოვდა.

სპეცრაზმელებმა ისიც ისევე გაანადგურეს, როგორც ორსართულიანი შენობა პირველმა ჯგუფმა. გონივრულად შერჩეული პოზიციის წყალობით, მხარდაჭერის ჯგუფმა მთლიანად გადაკეტა ბაზისკენ მიმავალი ყველა შესაძლო გზა. შემდეგ სპეცრაზმელებმა გაანადგურეს ბაზის ეზოში მდგარი ჯიპი, რომელზეც მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევი იდგა და რამდენიმე ტერორისტი, რომელთა შორის იყვნენ ნაღმმტყორცნელები.

ერთი ჯგუფი ბუნკერებისა და მიწურების ძებნას განაგრძობდა, რომლებიც მაღალი

ბლახით იყვნენ შენიღბულნი. მალე ყველა მათგანი აღმოაჩინეს და გაანადგურეს.

ოპერაციის დაწყებიდან დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ „შ-13“-მა წინასწარ გაწმინდა პოზიციები, შეაგროვა მოწინააღმდეგის იარაღი, ააფეთქა დარჩენილი ნაგებობები და ბრძოლის ველიდან გასვლა დაიწყო.

სპეცრაზმის ევაკუაციის დამთავრებისთანავე ისრაელის სამხედრო გემებმა მძლავრი ცეცხლი გაუხსნეს სანაპირო ზონას.

ოპერაციის შედეგად განადგურდა 15 ტერორისტი, მათ შორის მეთაური და მისი ორი თანაშემწე. ებრაელთაგან მსუბუქად დაიჭრა ორი მებრძოლი.

## ბეირუთსა და დამურს შორის

1988 წელს „შაიტეტ-13“ მონაწილეობდა პალესტინის გათავისუფლების ფრონტის ბაზაზე თავდასხმაში. ფრონტის ბაზა პატარა ქალაქ ნაამის მახლობლად, ბეირუთსა და დამურს შორის მდებარეობდა. იგი კარგად გამაგრებული ბუნკერებისა და გამოქვაბულებისგან შედგებოდა.

ოპერაციაში გათვალისწინებული იყო „შ-13“-ის, „საიერეტ გოლანისა“ და „გოლანის“ ბრიგადების მონაწილეობა. ოპერაციის დაგეგმვის დროს გაირკვა, რომ დაზვერვის მონაცემები ზედმიწევნით ზუსტი არ იყო. ეს შეეხებოდა ინფორმაციას ობიექტთან მისასვლელი გზების შესახებ, აგრეთვე, ობიექტზე მყოფ მოწინააღმდეგეთა რაოდენობას.

ამის შესახებ მე-13 ფლოტის ხელმძღვანელობამ არმიის სარდლობას მოახსენა, მაგრამ ამის მიუხედავად, მდგომარეობის გამოსასწორებლად არაფერი გაკეთებულა. ოპერაცია არსებულ ცნობებზე დაყრდნობით დაიგეგმა და მის შესასრულებლად ბრძანებაც გაიცა.

ბრძანების თანახმად, საომარი მოქმედებისთვის, მისი დაწყებიდან დამთავრებამდე, გამოყოფილი იყო ორი საათი, მათგან ბაზისა და ცოცხალი ძალის გასანადგურებლად მხოლოდ 30 წუთი.

ღამით, 8 დეკემბერს, მეომრები მიზნისკენ გაემართნენ და დაუბრკოლებლად გადავიდნენ ნაპირზე. პრობლემა ციცაბო დაღმართის გადალახვის დროს შეიქმნა — ქვეითთაგან ყველა არ აღმოჩნდა ფიზიკურად მზად და გრაფიკიდან ჩამორჩენა დაიწყო.

„საიერეტ გოლანის“ მეთაურმა, რომელიც ოპერაციას ხელმძღვანელობდა, მისი გადადება მოითხოვა, მაგრამ სარდლობისგან უარი მიიღო. დაახლოებით ღამის ორი საათისთვის სპეცრაზმელები დაიყვნენ და თითოეული რაზმი საკუთარი მიზნისკენ დაიძრა. პირველი რაზმი „საიერეტ გოლანისა“ იყო, მეორე — ქვეითების, მესამე კი — „შ-13“.

2 საათსა და 20 წუთზე „საიერეტ გოლანის“ მეომრებმა ცეცხლი გახსნეს და გაანადგურეს ერთ-ერთი ბუნკერის მცველები. ბუნკერში შესვლის ბრძანება მეთაურმა არ გასცა, რადგან ბუნკერების ასაფეთქებლად გათვლილი იყო საგანგებოდ გაწვრთნილი ძაღლების, როტვეილერების გამოყენება. ამ დროს „საიერეტის“ მებრძოლები მზად იყვნენ, გაენადგურებინათ ყველა, ვინც ბუნკერიდან გამოვიდოდა, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ, — ძაღლები მოწინააღმდეგემ დახოცა, სპეცრაზმელებმა კი მხოლოდ ერთი ჯიპის აფეთქება მოასწრეს. ამ დროისთვის დიდ გასაჭირში ჩაცვივდნენ ქვეითები, დაიღუპა მათი ერთ-ერთი მეთაური ამირ მეიტელი, დაბნეულმა მისმა ჯგუფმა უთავბოლო სროლა დაიწყო. მდგომარეობა „შ-13“-ის ოფიცერმა გამოასწორა, რომელმაც მეთაურობა თავად იკისრა, — მან უმეთაუროდ დარჩენილი მეომრების ბრძოლიდან გამოყვანა და ვერტმფრენებში საევაკუაციოდ ჩასხმა მოახერხა.

მესამე, „შ-13“-ის ჯგუფმა გადალახა ციცაბო დაღმართი, შემდეგ გზის ღია მონაკვეთი და მაშინვე ჩაება ბრძოლაში. „შ-13“-ის მეომრებმა 4 მეთვალყურე გაანადგურეს და მათ ბუნკერებში ხელყუმბარები შეყარეს. ბრძოლიდან გამოსვლისას გაირკვა, რომ ჯგუფს ოთხი მებრძოლი აკლდა. მიუხედავად ამისა ხელმძღვანელობამ, გაჭიანურებულ ბრძოლაში რომ არ ჩაბმულიყო, მეომართა ევაკუაცია გააგრძელა. მოგვიანებით ოთხივე მებრძოლი აღმოაჩინეს და ვერტმფრენებზე აიყვანეს.

ოპერაციის შედეგებმა იმედები გაუცრუეს მის დამგეგმავ-ჩამტარებლებს. ებრაელებს მოუკლეს ერთი და დაუჭრეს რამდენიმე ოფიცერი. სპეცრაზმმა კი ოპერაციისას მოწინააღმდეგის მხოლოდ 11 ჯარისკაცის განადგურება შეძლო.




წარუმატებლობის ძირითადი მიზეზი „გოლანის“ მებრძოლთა არასაკმარისი თეორიული, პრაქტიკული და ფიზიკური მომზადება იყო, რამაც თითქმის ჩაშალა საომარი ოპერაცია. ამავდროულად „შ-13“-ისა და „სეიერატ გოლანის“ მებრძოლთა მოქმედებები სარდლობამ საუკეთესოდ მიიჩნია.

## ტრაგედია

ისრაელის ფლოტის საგანგებო შენაერთი ისლამისტ ტერორისტთა ორგანიზაციების წინააღმდეგ ჩატარებულ ოპერაციათა უმრავლესობაში მონაწილეობდა, რის გამოც მათთვის მთავარ საფრთხედ იქცა, მაგრამ „შ-13“-ის საბრძოლო ისტორიაში შავი ფურცლებიც მოიპოვება. სპეცრაზმის არსებობის მანძილზე ყველაზე მტკივნეული მოგონება 1997 წლის 4-5 სექტემბრის ღამით მომხდარ ტრაგედიასთან არის დაკავშირებული.

16 სპეცრაზმელისგან შემდგარი ჯგუფი, რომელსაც პოდპოლკოვნიკი იოსი კურაკინი მეთაურობდა, ლიბანის სანაპიროს ქალაქებს, საიდსა და ტიროშს შორის გადასვეს. მეომრებს სოფელ ანცარისკენ ჰქონდათ გეზი. ამ ოპერაციის მიზანი ფართო საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია. ისრაელის ოფიციალური მონაცემებით, ჯგუფი შემთხვევით მოხვდა „ჰეზბოლაჰისა“ და ამალის მეომრებით ჩასაფრებულ და მათ მიერ დანაღმულ მონაკვეთზე. ნაღმების აფეთქებამ იმ ასაფეთქებელი ნივთიერებების დეტონაცია გამოიწვია, რომლებიც სპეცრაზმელებს გადაჰქონდათ. არაბებმა ყოველი მხრიდან გახსნეს ცეცხლი. ამ ოპერაციის დროს დაიღუპა 11 სპეცრაზმელი, მათ შორის რაზმის მეთაური და სამაშველო ჯგუფის ექიმი. ხუთი დაჭრილი მეომარი დიდხანს იგერიებდა მტრის შემოტევას, დაჭრილებმა მაინც გაანადგურეს საომარი მანქანა, რომელშიც „ჰეზბოლაჰის“ მებრძოლი იყო. გარდა ამისა, დაჭრილების გმირულმა მოქმედებებმა ხელი შეუწყო დაღუპული მეომრების ცხედრების ევაკუაციას. ბრძოლის ველიდან მხოლოდ ერთი მეომრის, უფროსი სერჟანტის, იტამარ ილიის ცხედრის გამოტანა ვერ მოხერხდა.

ამას მოჰყვა ისრაელის სპეცრაზმის წარმატებული ოპერაცია, რომლის დროსაც განადგურდა „ჰეზბოლაჰის“ რამდენიმე დაჯგუფება. ერთ-ერთი ბრძოლის დროს მოკლეს ორგანიზაციის ხელმძღვანელის, ჰადი ნასრალას შვილი. მოგვიანებით მისი ცხედარი ბრძოლის ველზე მოკლულ სპეცრაზმელზე გაიცვალა.

მას შემდეგ „შ-13“-მა ორმოცდაათზე მეტი წარმატებული ოპერაცია ჩაატარა. ამ ოპერაციების დროს სპეცრაზმელებმა გაანადგურეს ტერორისტული ორგანიზაციების უჯრედების 30-ზე მეტი მეთაური და დაატყვევეს ასოცი ტერორისტი, თავად კი ექვსი ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგეს.

2002 წელს ფლოტის საგანგებო რაზმელთა რამდენიმე ჯგუფი მდინარე იორდანის

დასავლეთ ნაპირზე განთავსებულ ერთ-ერთ ლტოლვილთა ბანაკში არსებული ტერორისტული უჯრედის გასაუვნებლად ემზადებოდა. სპეცრაზმელები სამარიის რაიონში დაბანაკდნენ. მიღებული ინფორმაციით, ტერორისტული აქტი მზადდებოდა. სპეცრაზმელთა მეთაურს უბრძანეს, გამოეყო ჯგუფი, რომელიც ტერაქტს თავიდან აიცილებდა. აგენტურა იტყობინებოდა, ქალაქ ნაბლუსას გარეუბანში მდებარე ერთსართულიან სახლში „ჰამასის“ ტერორისტებმა გააკეთეს ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომლის გამოყენებასაც უახლოეს მომავალში აპირებენო. შენობის ზუსტი გეგმა არ არსებობდა, მაგრამ ცნობილი იყო, რომ შენობაში ორი არაბი და ერთ-ერთის ოჯახის წევრები იყვნენ.

ამ ოპერაციის ერთ-ერთი მონაწილე, თადარიგის ზემდეგი რ. მოგვითხრობს: „იმ რაიონში რამდენიმე კვირის განმავლობაში ვიყავით და თითქმის ყოველდამე გავდიოდით ოპერაციის ჩასატარებლად. თითქმის ყველა წინასწარ იგეგმებოდა და მოულოდნელობის ეფექტის წყალობით საქმე სროლამდე არასდროს მისულა. იმჯერად კი ყველაფერი სხვაგვარად აეწყო. ჩვენ ხელთ გვქონდა ადგილმდებარეობის აეროფოტოსურათი, გეგმის მოსაფიქრებლად კი მხოლოდ რამდენიმე საათი.

სახლი ქალაქის აღმოსავლეთით, სხვა მსგავს სახლებს შორის იდგა. ადგილმდებარეობის ბლოკირებისთვის საჭირო ძალების გამოყენების საშუალებას დროის სიმცირე არ იძლეოდა. დათქმულ რაიონში ჩვენ ორი ადგილობრივნომრიანი მანქანით მივედით, რამაც შეუმჩნევლად გადაადგილების საშუალება მოგვცა. ჩვენი გეგმა შემდეგში მდგომარეობდა: ექვსკაციანი მოიერიშე ჯგუფი შენობის მთავარ შესასვლელთან დაიკავებდა პოზიციებს. დამხმარე ჯგუფის წევრები ჩასაფრდებოდნენ ფარულ გასასვლელებთან, საიდანაც ტერორისტებს შენობიდან გამოსვლა და მიმალვა შეეძლოთ. პოზიციები უხმაუროდ დავიკავეთ. რადგან ასაფეთქებელი ნივთიერება არ გვქონდა, საკეტის ტყვიით დამსხვრევამ მოგვიწია, რამაც შენობაში შეღწევისას შეფერხება გამოიწვია. გავითვალისწინეთ, რომ შენობაში მშვიდობიანი მოქალაქეებიც იყვნენ, თან მხოლოდ ხმაურის გამომწვევი ყუმბარები გვქონდა, რომელთა გამოყენების შემდეგ, რამდენიმე წამში, სპეცრაზმელთა პირველმა წყვილმა სამმეტრიანი დერეფანი გაიარა და დაიწყო შენობის მარცხენა მხარის გაწმენდა.

პირველ ოთახში ოთხი შეშინებული ბავშვი და ქალი აღმოჩნდა, მეორე ცარიელი იყო. სპეცრაზმელთა მეორე წყვილმა დერეფნის მარჯვენა მხარეს მდებარე ოთახის კარი შეამტვრია და ხელყუმბარები შეყარა. ოთახში შესულმა სპეცრაზმელებმა საწოლზე მჯდომი ახალგაზრდა არაბი დაინახეს, რომელსაც ხელში პისტოლეტი ეკავა, მის გვერდით კი ახალგაზრდა ქალი იწვა. არაბი ისე იყო დაბნეული, რომ არ იცოდა, რა ექნა. პირველმა სპეცრაზმელმა მას ორი ტყვია ესროლა ხელში და პისტოლეტი გააგდებინა. ვიცოდით, რომ სახლში კიდევ ერთი ტერორისტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ის ოთახებში არ აღმოჩნდა. ვიფიქრეთ, რომ სადმე სამალავში, ორმაგი კედლის მიღმა ან სხვენზე იმალებოდა. არაბებს უყვართ სახლებში სამალავების მოწყობა. სამზარეულოს კიდევ ერთხელ გაჩხრეკისას აღმოვაჩინეთ ხის ხვეული კიბე, რომელსაც სხვენში მივყავდით. დაჭრილი არაბი ჩვენს კითხვებს არ პასუხობდა. ქალები და ბავშვები ტიროდნენ, ამიტომ სასწრაფოდ უნდა გაგვერკვია კიბის დანიშნულება და სპეცრაზმელთა მესამე წყვილი საქმეს შეუდგა. კიბე ვიწრო და მოუხერხებელი იყო. ერთ ადგილას კედელთან მორკალული იყო, ამიტომ ძნელი იყო სხვენის ხუფის დანახვა. როცა ერთ-ერთი სპეცრაზმელი მიუახლოვდა, მოულოდნელად მისი მიმართულებით სხვენიდან ცეცხლი გახსნეს. საბედნიეროდ, ტყვიები სპეცრაზმელს არ მოხვდრია. ორივემ უკან დაიხია და მეთაურმა გადაწყვიტა, ქალები ბავშვებიანად და დატყვევებული არაბი სახლიდან გაეყვანა, სხვენში კი საომარი ხელყუმბარა შეეგდო.

ამ დროს სროლის ხმა გარედან გაისმა, მხარდამჭერის ერთ-ერთმა ჯგუფმა შენიშნა სახურავზე გასული ტერორისტი, რომელიც გაქცევას ცდილობდა და ცეცხლი გაუხსნა მას. არაბი სახურავიდან ჩამოვარდა.

ოპერაციის დროს ისრაელის არმია ჯერ კიდევ მთლიანად ვერ აკონტროლებდა ქალაქის მთელ ტერიტორიას, რის გამოც შესაძლებელი იყო, არაბები შენობას შემორტყმოდნენ, ამიტომ სპეცრაზმელებმა სასწრაფოდ დატოვეს ტერიტორია, თან წაიყვანეს დატყვევებული არაბი, ორივე ქალი და წაიღეს მოკლული არაბის ცხედარი. ოპერაციამ მხოლოდ 10 წუთს გასტანა.

ერთი საათის შემდეგ ოპერაციის ადგილას ისრაელთა მსხვილი საჯარისო ნაწილი მივიდა, ჩხრეკის დროს შაჰიდის ორი ქამარი აღმოაჩინეს, რომელთაგან თითოეული 10 კილოგრამს იწონიდა.

## ხომალდ „კარინ ა“-ს ხელში ჩაგდება

უკანასკნელი წლების ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ხომალდ „კარინ ა“-ს ხელში ჩაგდების ოპერაციაა. ეს ოპერაცია წითელ ზღვაში, ისრაელის სანაპიროებიდან 500 კილომეტრის მანძილზე ჩატარდა. დაზვერვის ცნობებით, ხომალდზე 50 ტონაზე მეტი იარაღი და სამხედრო აღჭურვილობა იყო, მათ შორის რაკეტებიც (რა თქმა უნდა, რუსული წარმოებისა).

თუ ეს იარაღის მასა არაბების ხელში აღმოჩნდებოდა, პალესტინის რეგიონში საომარი მდგომარეობა საფუძვლიანად შეიცვლებოდა.

სპეცრაზმელებმა ერთდროულად მიიტანეს იერიში ზღვიდან და ჰაერიდან, რომლის დროსაც საგანგებო მოწყობილობები გამოიყენეს და თვალის დახამხამებაში გასროლის გარეშე ჩაიგდეს ხელში ხომალდი. როცა ოპერაციის მეთაურს ჟურნალისტებმა წამოაძახეს, ხომალდის უიარაღო ეკიპაჟის დატყვევება ვერაფერი გმირობააო, მან უპასუხა: „მთავარი ის კი არ არის, რომ თავდასხმის დროს ტერორისტები შეიარაღებული არ იყვნენ, არამედ ის, როგორ მოქმედებდნენ ჩემი მეომრები. სროლის ატეხა და გემბანების გვამებით მოფენა ადვილია, გაცილებით რთული და სახარბიელოა საქმის ჩუმად და უხმაუროდ გაკეთება“.

უკანასკნელი ასეთივე ოპერაცია 2003 წლის მაისში ჩატარდა, როცა სულ რამდენიმე წუთი დასჭირდა მცირე ზომის ხომალდის „აბუ-ჰასანის“ ხელში ჩაგდებას. ხომალდს სამხედრო იარაღი გადაჰქონდა, გარდა ამისა, მასზე იმყოფებოდა „ჰეზბოლაჰის“ დანაღმვისა და აფეთქების საქმის ინსტრუქტორი, რომელსაც თან ნაღმებისა და ფუგასების დამზადების პროცესების ამსახველი ნახაზები და მიკროფილმები ჰქონდა. ეს ოპერაციაც არანაკლებ რთული გამოდგა.

გასაგები მიზეზების გამო ოპერაციის წვრილმანები უცნობია, ამიტომ მისი დეტალურად აღწერაც შეუძლებელია.





# მსტოვრობის ისტორია საქართველოში (გაგრძელება)

## როგორ „მოიპარეს“ ქართველებმა სამშვილდის ციხე

**საქართველოს ისტორიის ეს მნიშვნელოვანი ფურცელი თავიდანვე დავით მეფის განჭვრეტითა და ბრძნული ხედვით იწერებოდა.**

**1110 წელი იდგა. დავითის ხმლის მოშიშარი თურქები თაგვებივით შეკეტილიყვნენ სამშვილდისა და ქვემო ქართლის ციხეებში. მათი მსტოვრები, რომლებიც მრავლად მოსდებოდნენ საქართველოს კუთხეებს, ყურადღებითა და შიშით ზვერავდნენ დავითის მიმოსვლას. თურქებმა შვებით მხოლოდ მაშინ ამოისუნთქეს, როცა რამდენიმე აეშაგისგან დანამდვილებით შეიტყვეს მეფის დასავლეთ საქართველოში გამგზავრება. მაშინ კი მოდუნდნენ თურქი მეციხოვნენი — დავითის გარეშე ვინ გაბედავდა მიუვალი სამშვილდის ციხე-ქალაქის დალაშქვრას?!**

დასაწყისი იხ. „არსენალი“ № 8

### სამშვილდის ციხე-ქალაქის, როგორც ფორტიფიკაციის მოკლე დახასიათება

ამ ციხე-ქალაქის დიდ მნიშვნელობას მის მახლობლად გამავალი სამხრეთის სავაჭრო გზები განაპირობებდა. სამშვილდე ოდითგან ქვემო ქართლის დიდი ქალაქი და მტკიცე ციხესიმაგრე, გვიან ანტიკურ ხანაში იყო აგებული. XII საუკუნეში საქართველოს სამეფოს ფარგლებში არსებულ ციხესიმაგრეთა შორის სამშვილდე ბუნებრივ-რელიეფური მიუვალობითა და მყარი ნაშენობით გამოირჩეოდა. მიუვალი ციხე ორი მდინარის: ხრამისა და ჭივჭივას შორის სოლისებურად შეჭრილ კონცხზე, ციცაბოფერდობებიან პლატოზე მდებარეობდა. გვერდებიდან ღრმა ხრამი იცავდა და ციხის აღება მხოლოდ ერთი, პირდაპირი შეტევით იყო შესაძლებელი, მაგრამ მაღალი და მკვიდრად ნაშენი კედელ-გალავნები საიმედოდ იცავდნენ ამ მიმართულებასაც. ქართული ფორტიფიკაციის ცნობილი მკვლევარი, პროფესორი პარმენ ზაქარაია წერს: „ამ მხარის ჩასაკეტად პლატოს მთელ სიგანეზე მიუყვებოდა 4-5 მ სისქის კედელი. თუ მტერი ამ კედელს დასძლევდა, მაშინ ქალაქის შუა ნაწილში დახვდებოდა პლატოს მთელ სიგანეზე, ფერდობიდან ფერდობამდე გაშლილი ციხე, რომელიც ფაქტობრივად ქალაქის ციტადელი იყო. ციხის კედლები სხვადასხვა ზომისაა. სამი მათგანის სისქე ორ მეტრამდეა, მეოთხესი – ექვს მეტრამდე... მშენებლებს კარგად გაუთვალისწინებიათ რელიეფის თავისებურება: რაკი მტრის შემოსევა დასავლეთიდან იყო მოსალოდნელი, კედელიც სწორედ ამ მხარეს უნდა ყოფილიყო საიმედო. ამჟამად ამ დაზიანებული კედლის სიმაღლე 12 მეტრია. თავდაპირველად, ალბათ, უფრო მაღალი იქნებოდა. ქონგურებიც ექნებოდა და იმ დროის ვერც ერთი სანგრევი მანქანა ვერაფერს დააკლებდა. ამიტომაც მოაღწია მან დღემდე. კედელს მხოლოდ ერთგან ეტყობა, რომ აქ უშედეგოდ უცდიათ მისთვის ძირი გამოეთხარათ“. ამ ვრცელი ციტატის გაცნობის შემდეგ მკითხველი დარწმუნდება, რომ სამშვილდის ციხე-ქალაქის შტურმით აღებას მრავალათასიანი ლაშქარი და მრავალთვიანი ალყა დასჭირდებოდა.

გარდა წმინდა სამხედრო მიზნებისა, სამშვილდის ხელში ჩაგდებას ფრიად დიდი პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობაც ჰქონდა. დავითი უკვე ორი ათეული წელი იქნებოდა მეფე იყო, მრავალი ბრძოლა მოიგო, ბევრი მოღალატე დილეგში გამოკეტა და ბევრსაც დააყრევინა თავი, მაგრამ სანამ სამშვილდეში თურქები პარპაშებდნენ, დიდი მეფე და სრულიად საქართველო ვერ დამშვიდდებოდნენ. ეს იყო ერთგვარი ტესტი ქართული სამხედრო ხელოვნების სიძლიერისა და სიმწიფის, ქართველთა ლაშქრისა და მსტოვარმზვერავების სიჩაუქის შესამოწმებლად.

### დავით მეფის ოპერატიული კომბინაციები სამშვილდის ოპერაციის დროს

ისტორიული ცნობების ანალიზი ცხადყოფს, რომ ქართველები წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით მოქმედებდნენ. ქვეყნის პირველი ვეზირის, მწიგნობართუხუცესი გიორგი ჭყონდიდელის ხელმძღვანელობით შეიკრიბნენ: თევდორე – ჭყონდიდელის დისწული, იმავდროულად თრიალეთისა და კლდეკარის მმართველი, აბულელი და ივანე ორბელი. მემატიანე დაუფარავი კმაყოფილებით და სიამყით წერს: „სიმარჯვით მოიპარეს სამშვილდე“-ო. აი, ასე, სხვა მინიშნება-დაზუსტების გარეშე. არა ბრძოლა და მსხვერპლი, არამედ: „ხერხი სჯობია ღონესა“ და მიუვალი ციხე-ქალაქი უკვე ჩვენია!

მემატიანის ამ ძუნწ სტრიქონებს შორის მიმალული აზრები უნდა განვჭვრიტოთ და შედეგებს შევუდაროთ. ივანე ჯავახიშვილის აზრით, უცნობი ავტორი დავით მეფის თანამედროვე და მასთან დაახლოებული პირი უნდა ყოფილიყო. ამიტომაც საფიქრებელია, რომ როცა ის სამშვილდის ციხის აღებაზე ასე მშრალად წერდა, ეტყობა, ქართველი მსტოვრების მოქმედებების მეთოდ-ხერხების გამჟღავნება არ სურდა და ამ ბრძოლიდან დაახლოებით ორი ათეული წლის შემდეგაც სახელმწიფო საიდუმლოებას უფრთხილდებოდა (მისაბაძი მაგალითია დღევანდელი ქართველი ჩინოვნიკ-დიდმოხელეებისთვის)!

თუმცა ჩვენ კი გაგვიხადა საფიქრალ-სავარაუდო. ისტორიული წყაროებისა და მოვლენების ობიექტური ანალიზის შემდეგ დასკვნა ერთია: ან ციხე შიგნიდან გატყდა და ქართველების მიერ გადმობირებულმა თურქმა მეციხოვნეებმა ფარულად ჩააბარეს ციხის კლიტენი ჭყონდიდელსა და მის გუნდს; ან ქართველთა პატარა დივერსიულმა ჯგუფმა აგენტ-მეციხოვნეთა დახმარებით შეძლო ციხე-ქალაქში შეფარვით შეღწევა და ციხის ბჭენის გახსნა. შემდეგ კი ჭყონდიდელის მეთაურობით ქართველთა ლაშქარი ღამით შეიჭრა ციხე-ქალაქში და მოულოდნელად დაადგა თავს არხეინად მძინარე თურქებს.

ამ ისტორიული მოვლენის ანალიზისას თვალნათლივ იკვეთება დავით IV-ისა და მისი უახლოესი გარემოცვის მიერ ოპერატიული კომბინაციების დაგეგმვისა და შესრულების კარგი უნარი. სამშვილდის აღების წინ თურქებთან „ოპერატიული თამაში“ ორ ეტაპად ჩატარდა.

პირველი ეტაპი დავით მეფის დასავლეთ საქართველოში გამგზავრებით დაიწყო. ეს საიდუმლო ინფორმაცია თურქი ჯაშუშებისთვის დროულად გახდა ცნობილი, რაზეც ალბათ შეგნებულად იზრუნეს ქართველებმა. ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ თურქ-სელჯუკებს საკმაოდ კარგად ორგანიზებული ჯაშუშთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქსელი ჰქონდათ (რაშიც კიდევ დავრწმუნდებით). მათთვის ოპერატიულად ხდებოდა ცნობილი მეფისა და მისი დიდებულების გადაადგილების მარშრუტი და დრო. ამ შემთხვევაში კი სავარაუდოა, რომ ქართველთა მსტოვრებმა მაქსიმალურად დადასტურებული ცნობები „შეუცურეს" თურქებს, რის შედეგად თურქთა ყურადღება საგრძნობლად მოდუნდა. ეს ლოგიკური იყო, რადგან მანამდე არ ყოფილა, რომ მეფის გარეშე საქართველოს ლაშქარს ასეთი მნიშვნელოვანი ოპერაცია ჩაეტარებინოს.

პარალელურად გრძელდებოდა სპეცოპერაციის გეგმის მეორე ეტაპის — სამშვილდის ციხე-ქალაქის მეციხოვნეთა შორის მსტოვართა, სპეცსამსახურების ენაზე რომ ვთქვათ, გადაბირება-ჩანერგვის სამუშაოები.

ამ ოპერაციას დიდი სამხედრო-ფსიქოლოგიური შედეგი ჰქონდა. ქვემო ქართლის სხვა ციხეებში გამაგრებულმა თურქებმა რომ შეიტყვეს სამშვილდის აღების ამბავი, თავს უშველეს და ღამის სიბნელეში გაიპარნენ. ქართველებს ციხეების მითვლაღა დარჩენოდათ. ასე „მოიპარეს" ქართველებმა სამშვილდის ციხე და საფუძველი ჩაუყარეს ქვემო ქართლის ტერიტორიის დაბრუნებას ერთი კარგად დაგეგმილი სპეცოპერაციის წყალობით.

რამდენიმე წლის შემდეგ, კერძოდ 1115 წელს, დავით აღმაშენებელმა იმავე ხერხს მიმართა — თვითონ ლაშქრით ქართლის შუაგულისკენ გასწია, გიორგი ჭყონდიდელმა კი მოულოდნელად რუსთავს შეუტია და დეზორგანიზებულ მტერს მსწრაფლ აართვა ქალაქი. რუსთავის დაკარგვით თურქებს მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული დასაყრდენი და გამოსაზამთრებელი ადგილი გამოეცალათ ხელიდან.

## მტრის დეზინფორმაცია — გამარჯვების საწინდარი

უძველეს და საყოველთაოდ ცნობილ სამხედრო ხერხს — ბრძოლის წინ მტრის ლაშქრის დეტალურ დაზვერვას და მასზე მოულოდნელ თავდასხმას, მე-12 საუკუნის ათიანი წლების ბოლოს დავითმა ახალი, უკვე მსტოვრობისთვის (სპეცსამსახურებისთვის) დამახასიათებელი თვისებრივად უფრო ღრმა ტაქტიკა — მტრის სრული დეზინფორმაცია დაუმატა. მტრის ლაშქრის რიცხოვნობის, რესურსებისა და გეგმების შეტყობა მსტოვრების მთავარი ამოცანა იყო. გარდა ამისა, მეფის მსტოვრებს ზოგჯერ საიდუმლო ინფორმაციის (მაგ. მეფის გადაადგილების დროისა და მარშრუტის) შეგნებული გავრცელება ევალებოდათ, რაც ერთიანი სამხედრო ოპერაციის შემადგენელი რგოლი იყო.

დავით მეფეს შორს რომ დაიგულებდნენ, მაშინ განსაკუთრებით სუსტდებოდა თურქსელჯუკთა ყურადღება. ქართველებიც ამ მომენტს ელოდნენ და „უგრძნეულად" ესხმოდნენ მტერს თავს. ეს ხერხი დავით IV-ის საბრძოლო გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილი რომ იყო, ამას მემატიანეც ადასტურებს: „ხოლო აქვნდის ესე მეფესა, რამეთუ განზრახვით გარდავიდის აფხაზეთით და ჩამოიტყუენნის თურქმანნი საზამთროთა ადგილთა მტკვრის პირისათა". როგორც ჩანს ამ ტაქტიკას დავითი ხშირად მიმართავდა. მემატიანის თქმით: „რამეთუ მოიმსტვარნის მეფემან რომელთა მოსრვა ეგებოდის, და უგრძნეულად დაესხის და მოსწყვიდნის. და ესე არა ერთგზის ანუ ორგზის, გინა სამ, არამედ მრავალგზის, ვითარცა აწ ერთი ითქვას".

მტრის წარმატებული დეზინფორმირების თვალსაჩინო მაგალითია 1116 წელს დავითის ტაოს ლაშქრობა. 1115 წლის ზამთრის დამდეგს: „ტაოს ჩამოდგნენ დიდნი თურქნი ხარგებითა" (მემატიანე). დავითმა ეს დროულად შეიტყო და დაუპატიჟებელი სტუმრების განადგურების გეგმა შეადგინა. თურქთა ლაშქრის თვალის ასახვევად თვითონ „ქუთათის გარდავიდა", თან ქართლის ლაშქარს საიდუმლოდ დათქმული ვადისთვის მზადყოფნა უბრძანა. 1116 წლის თებერვალს დავით მეფემ ქართლელები და მესხები კლარჯეთს დაიბარა. თავადაც, მტრის ჯაშუშების ფარულად, იქ გაემგზავრა. ერთ მუშტად შეკრული ქართველთ ლაშქარი მოულოდნელად („უგრძნეულად") დაესხა ნირვანაში მყოფ მტერს და ერთიანად ამოწყვიტა.

ანალოგიური ხერხით დაამარცხა თურქები 1120 წელსაც, როცა თურქებმა დავითი შორს დაიგულეს და გამოსაზამთრებლად დედაბუდიანად კვლავ საქართველოს მოაშურეს. მეფემ ცოტა აცალა და „...გარდამოიფრინვა თებერვალსა ათოთხმეტსა და უცნაურად დაესხა ზედა, და ძლით ვინმე შეესწრა ცხენსა და გარდაიხვეწა. აღიღეს ტყვე და ალაფი ურიცხვი" (მემატიანე).

თურქ-სელჯუკებს საკმაოდ კარგად ჰქონდათ აწყობილი მსტოვრობის საქმე, რასაც ქართული, სომხური, არაბული და სპარსული ისტორიული წყაროებიც ადასტურებენ (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი). ამიტომ იყო, რომ თურქნი „მსტოვარნი ზედა ადგიან მეფესა და ეძებდიან გზათა მისთა" (დავითის მემატიანე). აქედან ჩანს, რომ საქართველოს დიდი მეფე თურქთა მზვერავების მუდმივი მიყურადების ობიექტი იყო და მის გადაადგილებას დაკვირვებით ადევნებდნენ თვალს.

იმავე წლის ზამთრის დამდეგს დავითმა აფხაზეთს მიაშურა: „ჩავიდა აფხაზეთს ბიჭვინტამდე და განაგნა საქმენი მანდაურნი: ღირსნი წყალობისანი შეიწყალნა, შემცოდენი დაიპყრა და წვართნა" (მემატიანე). საინტერესოა, რომ ზამთრის ჟამს თბილ მხარეს (კერძოდ კი აფხაზეთში) გამგზავრება ქართველი მეფეებისთვის ჩვეული საქმე იყო. დავითის პაპაც, მეფე ბაგრატ IV ხშირად მიდიოდა აფხაზეთს, რათა: „მუნ დაიზამთროს და განისვენოს და ვითარმედ არს ქვეყანაი იგი ბარი და ტფილი" (გიორგი მცირე, „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება"). სავარაუდოა, რომ თურქ-სელჯუკებს ათწლეულების მანძილზე კარგად ჰქონდათ შესწავლილი ქართველი მეფეების წეს-ჩვეულებები. ამიტომ იყო, რომ 1120 წლის დეკემბერში, უხვთოვლობის ჟამს, დავით მეფის აფხაზეთს გამგზავრება უყურადღებოდ არ დარჩენიათ თურქთა ჯაშუშებს: „ხოლო ცნეს რა თურქთა, ვითარმედ შორს არს მეფე, გულდებით ჩამოდგეს პირსა მტკვრისასა" (მემატიანე). ეს იყო ის გამონაკლისი შემთხვევა, როცა დავითის გამგზავრება რეალური იყო და არა სპეციალურად მოგონილი დეზინფორმაცია. თურქ-სელჯუკების მიზანი ამ შემთხვევაშიც გამოსაზამთრებლად მტკვრის ხეობაში დაბანაკება იყო. თუმცა საქართველო უკვე იმდენად იყო გაძლიერებული, რომ მტრის დროებით შემოსვლასაც კი დავით მეფე უპასუხოდ არ ტოვებდა. ეს ამბავი რომ შეიტყო, მიუხედავად დიდთოვლობისა, დავითი მსწრაფლ წამოვიდა აფხაზეთიდან. ლიხის ქედზე იმდენად დიდი თოვლი დახვდათ, რომ რამდენიმე დღის მანძილზე დავითის სპა თოვლს შეუსვენებლივ წმენდდა („გარდაათხრევინა მთა ლიხისა", – წერს მემატიანე). ქართლში ჩასულ მეფეს ლაშქარი გამზადებული დახვდა და მალევე, 1121 წლის მარტში, ქართველები მოულოდნელად დაესხნენ თავს დაარხეინებულ თურქებს და მტკვრის ხეობა — გაგიდან ხუნანამდე დაუნდობლად გაწმინდეს მტრისგან, თანაც ისე რომ: „არ დაუშთა მთხრობი ამბავისა" (მემატიანე). ამ კონკრეტულ შემთხვევაში თურქთა ჯაშუშ-აეშაგების შეცდომა სახეზეა — მათ დროულად ვერ შეიტყვეს ქართველთა ლაშქრის მოახლოება, რაც სასტიკ დამარცხებად დაუჯდათ; მეორე მხრივ კი ეს ისტორიული ფაქტი კიდევ ერთხელ მეტყველებს დავით IV-ის დიდ ანალიტიკურ ნიჭსა და მოვლენების სწორი და სწრაფი შეფასების უნარზე.

## სამხედრო კონტრდაზვერვა დავით აღმაშენებლის დროს

დავით მეფის ეპოქაში მსტოვართა გუნდის ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობა მრავალეროვან ლაშქარში (როგორც ქართველთა, ასევე სხვა ეროვნების მეომართა) ღალატის გამოვლენა და აღკვეთა, დიდგვაროვან აზნაურთა და მთავართა სამხედრო შეთქმულების ჩანასახშივე ჩახშობა და დისციპლინის დამყარება იყო. მათი მონდომების შედეგად საქართველოს ლაშქარში თანდათანობით წესრიგი და დისციპლინა მყარდებოდა: „...საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი და გინება ღმრთისა საძულელი და ყოველი უწესობა მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა და ურიცხვსა მას შინა სიმრავლესა ენათა ნათესავთასა..." (მემატიანე).

მსტოვრები, დღევანდელი შესატყვისით, სამხედრო კონტრდაზვერვის ფუნქციას ასრულებდნენ. ამასთან, არსებობდა ქვეყნის

შემდგომი გაძლიერების ხელის შემშლელი ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. დავით მეფე ადრევე მიხვდა, რომ საქართველოს სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზის გამო არ შეეძლო იმ რაოდენობის მუდმივი ლაშქარი ჰყოლოდა, რომ ბრძოლებშიც გამოეყვანა, ციხე-ქალაქებშიც ჩაეყენებინა და ყველაზე ერთგული სამხედრო დანაყოფი — პირადი გვარდიაც („მონა-სპა") შეედგინა. გარდა ამისა, მეფე დამოკიდებული იყო დიდგვაროვანთა ნებაზე — საკმარისი იყო მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდნილიყო, რომ დიდგვაროვან აზნაურთა ლაშქარი მომხდურის მხარეზე გადადიოდა და საქართველოს მტრებთან ერთად ხლართავდა ქსელს მეფის წინააღმდეგ.

ამ მიზეზთა გამო დავითმა დიდი ფიქრისა და ბჭობის შემდეგ ყივჩაღთა ჩამოსახლება გადაწყვიტა: „განიზრახა სივრცითა გონებისათა, რამეთუ სხვაებრ არა იყო ღონე" (მემატიანე).

დავით IV-ის სიდიადე სწორედ ის იყო, რომ საფუძვლიანი ფიქრისა და განსჯის შემდეგ რისკიანი და სახიფათო საშინაო და საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებასა და აღსრულებას არ უშინდებოდა. ერთ-ერთი ასეთი ურთულესი გადაწყვეტილება საქართველოში ყივჩაღების ჩამოსახლება იყო. ამ ჩანაფიქრის სასარგებლოდ სამი ფაქტორი მეტყველებდა:

1. ყივჩაღები ძლიერი და ამტანი მებრძოლები იყვნენ;

2. დავითის მეორე მეუღლე, დედოფალი გურანდუხტი, ყივჩაღთა მთავრის ათრაქა შარაღანის ძის ასული იყო;

3. იმ პერიოდში ყივჩაღები ძლიერ შეავიწროვა კიევის რუსეთის დიდმა მთავარმა ვლადიმირ მონომახმა და ამიტომ თავადაც უნდოდათ ძლიერი ქვეყნისთვის თავის შეფარება.

ამავე დროს, ეს გადაწყვეტილება მრავალი საფრთხის შემცველი იყო. ჩრდილო კავკასიისა და სამხრეთ რუსეთის ტრამალებზე მომთაბარე, სხვა ენაზე მოსაუბრე ყივჩაღები აბსოლუტურად სხვა კულტურისა და ღირებულებების მატარებელი ხალხი იყო. თანაც საუკუნეების მანძილზე მომთაბარეობას მიჩვეულთ, თავიდან გაუჭირდებოდათ ერთ მიჩენილ ადგილას ცხოვრება, მკვიდრი ბინადრობა და მკაცრად ორგანიზებული ყოფა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამ და სხვა მიზეზთა გამო ყივჩაღებმა რამდენჯერმე მოაწყვეს სამხედრო ბუნტი და თვით დავით IV-ის ლიკვიდაციის ოპერაციაც მრავალჯერ დაგეგმეს, მაგრამ მისი ჩატარება მეფის ძლიერი მსტოვართა გუნდის წყალობით, საბედნიეროდ, ვერ შეძლეს.

მანამდე კი: „1118 წელს დავითმა ჩრდილო კავკასიიდან 40000 ყივჩაღის ოჯახი გადმოასახლა საქართველოში. გადმოსახლებულ ყივჩაღებს მისცეს მიწის ნაკვეთები, მიუჩინეს საზაფხულო და საზამთრო საძოვრები, უზრუნველყვეს ეკონომიკურად, რის სამაგიეროდ ყოველ ოჯახს ერთი შეიარაღებული მოლაშქრის გამოყვანა დაევალა" (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.3, გვ. 226.).

ყივჩაღების ჩამოსახლება ორ ეტაპად ჩატარდა. დავით მეფემ ჯერ თავის სიმამრთან „წარავლინნა კაცნი სარწმუნონი" (მემატიანე) და გადაწყვეტილება გააცნო. მეფის წარგზავნილებში უთუოდ დავითის ულესი მზვერავებიც იქნებოდნენ გარეულნი, რომელთა ამოცანაც გადმოსახლების მარშრუტისა და ყივჩაღთა მუდმივი მტრების — ოსების გუნება-განწყობილების შესწავლა იყო. მზვერავების დაბრუნების შემდეგ დავითი დარწმუნდა, რომ მისი პირადი მონაწილეობის გარეშე ეს გეგმა ვერ განხორციელდებოდა. ამიტომ გიორგი ჭყონდიდელთან ერთად ლაშქრით თავად გაემგზავრა ოსეთს და წარმატებით უხელმძღვანელა მრავალი ათასი ყივჩაღის ჩამოსახლებას.

1120 წლამდე დავითი ყივჩაღებს საბრძოლო ერთეულებად აწყობდა და სალაშქროდ წვრთნიდა. ალბათ, ამიტომაც ამ პერიოდში ქართველებს დიდი ბრძოლა არ ჩაუტარებიათ (ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ ისტორიული ცნობები არ მოიპოვება). შემდეგ წლებში კი ყივჩაღები, რომლებიც თანდათანობით ქრისტიანდებოდნენ და მკვიდრ ცხოვრებას ეჩვეოდნენ, ისეთ შიშის ზარს სცემდნენ სისასტიკით განთქმულ თურქ-სელჯუკებს, რომ ისინი, მემატიანის თქმით: „ეძიებენ მშვიდობასა და სიყვარულსა და ყივჩაღთაგან არა რბევასა". ამიტომაც სულთნის მოციქულები ძვირფასი ძღვნით ხელდამშვენებულნი მოწიწებით ეახლებოდნენ ხოლმე დავითს.

ყივჩაღების ერთიანი საქართველოს სამეფოში დამკვიდრება, ბუნებრივია, საკმაოდ რთული პროცესი იყო. მათ ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჯდარი ქართველთათვის უცხო


**წიგნის ავტორის შესახებ:**

ბესიკ ალადაშვილი დაიბადა 1959 წელს, მიღებული აქვს უმაღლესი ეკონომიკური და იურიდიული განათლება. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. პროფესორი. თითქმის ორი ათეული წელია, ლექციებს კითხულობს უმაღლეს სასწავლებლებში.

მუშაობდა: სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად, სექტორის გამგედ; საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოში (კურირებდა საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებს); შინაგან საქმეთა სამინისტროში დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ; სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში — დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ. იყო „ქართული არმიის განვითარების ფონდის" გამგეობის წევრი. სამხედრო წოდება უშიშროების პოლკოვნიკი. დაასრულა აშშ-ის „გფბ"-ს „ორგანიზებულ და საფინანსო დანაშაულთან ბრძოლის" სემინარ-კურსები.




ეკონომიკის და გეოპოლიტიკის თემებზე გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო და საგაზეთო სტატია.

სპეცსამსახურების ისტორიასა და დღევანდელ პრობლემურ საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს ორმოცდაათზე მეტი სტატია.

**იკითხეთ წიგნის მაღაზიებში!**

**ან დარეკეთ 42-43-40 და მიიღეთ წიგნი სახლში, ფასნამატის გარეშე**




საქართველოს პარლამენტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისასტიკე დამარცხებულთა და ტყვეთა მიმართ. მათი ტრადიციით ბრძოლაში მოპოვებული ტყვე პირადი საკუთრება იყო და მისი ბედი ყივჩაღთა კეთილგანწყობაზე იყო დამოკიდებული. ამიტომ კაცთმოყვარე დავით მეფეს ხშირად უხდებოდა მათგან ტყვეთა გამოხსნა საფასურის სანაცვლოდ. მემატიანე მოგვითხრობს: „ვინ აღრიცხნეს ტყვენი, რომელნიმან განათავისუფლნა და რომელნი უკუმოიხსნნა თვისთა ყივჩათაგან ფასითა!“.

გარდა ამისა, გადმოსახლებულ ყივჩაღთა ამხელა მასაში, უპირველესად კი მეომრებში, არ შეიძლებოდა უკმაყოფილება და აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილიყო. ეს ყველაფერი წინასწარ განჭვრიტა მეფემ და ამიტომაც ყივჩაღებს ჩამოსახლებისთანავე ერთგული ქართველი მსტოვრები მიუჩინა:

„...დაუდგინა... თვისისა სამეფოსა სპანი, რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენკეთილნი და პირშეუქცეველნი“ (მემატიანე).

ყივჩაღები მუდმივ კონტროლსა და მეთვალყურეობას საჭიროებდნენ. დავითის მსტოვართა გუნდმა გამოავლინა და აღკვეთა ყივჩაღთა რამდენიმე საიდუმლო გეგმა, რომლის მიზანი მეფის მოკვლა იყო. მემატიანე პირდაპირ აცხადებს: „რაოდენგზის ყივჩაღთა თვისთა განიზრახეს ღალატი და განაჩინნეს კაცნი მხნენი — რომელნიმე ხრმლითა, რომელნიმე შუბითა, სხვანი ისრითა. და ესე არა ერთ და ორ, გინა სამ, არამედ მრავალგზის. და არაოდეს მიუშვა ღმერთმან კვერთხი ცოდვილთა მართალსა ზედა, არცაოდეს მისცა იგი ხელთა მაძიებელთა მისთა“.

სავარაუდოდ, ყივჩაღთა მიმართ უნდობლობის გამო იყო, რომ 1121 წელს დიდგორის ბრძოლაში საქართველოში ჩამოსახლებული ყივჩაღებიდან (45 ათასი მეომარი) მხოლოდ მესამედი(!) — 15 ათასი კაცი მონაწილეობდა. ეტყობა, დავით მეფე დანარჩენ მეომრებს ვერ ენდობოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოსთვის ამ გადამწყვეტ ბრძოლაში, თანაც რაოდენობით რამდენჯერმე უმეტეს მტრის ლაშქართან შეტაკებისას, 30 ათას მეომარზე რატომ იტყოდა უარს? შემდგომ განვითარებული ისტორიული მოვლენები სრულად ადასტურებენ ჩვენს მოსაზრებას.

## დავით აღმაშენებლის მსტოვართა შეცდომები

ზემოაღნიშნულ წარმატებებთან ერთად ქართველ მსტოვრებს შეცდომებიც ბევრი ჰქონდათ. თუ ეს გარკვეულწილად გასაგები იყო დავითის მეფობის პირველ პერიოდში, შემდგომ წლებში უკვე მიუღებელი და მძიმე შედეგის მომტანი გახდა. ზოგჯერ სამხედრო მსტოვრებისა და საზღვრისპირა ადგილების დაცვის („მტრის დარაჯების“) შეცდომების გამოსწორება მხოლოდ დავით მეფის პიროვნული სიმტკიცის, ნიჭისა და თავდადების წყალობით ხერხდებოდა. ამიტომაცაა, რომ მემატიანე ასე ახასიათებს მეფეს: „უშიშარი და ყოვლად უძრავი გულითა“.

## დავითის ზეობის პერიოდში მისი მსტოვრების პირველი სერიოზული შეცდომა

სამშვილდის ციხე-ქალაქის აღებასა და ქართველების მნიშვნელოვან წარმატებას მოჰყვა. ალბათ, აქაც ჩვენმა ისტორიულმა სენმა — გულარხეინობამ იჩინა თავი. აბა სხვას რას უნდა მივაწეროთ, რომ მემატიანის სიტყვებით: „ოდეს სამშვილდე და ძერნა აიღეს, ქრონიკონი იყო სამას ოცდაათი. მას წელსა მოვიდა სულტანისა და ყოველი თურქობა, კაცი ვითარ ასი ათასი, უგრძნეულად სიმარჯვითა“. გასაგებია, რომ მემატიანეს გაზვიადებული აქვს მტრის რიცხოვნობა, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ თურქები სამშვილდის დაბრუნებას დიდი ძალებით ეცდებოდნენ და საქართველოს საზღვარსაც დიდი ლაშქრით გადმოკვეთდნენ. დავით მეფე ნაჭარმაგევის რეზიდენციაში იყო, როცა შელამებისას („მიმწუხრს“) თურქთა შემოჭრის ამბავი მოახსენეს.

მსტოვართა შეცდომის თუ უყურადღებობის გამო დავითი იძულებული გახდა, ძალზე რისკიანი გადაწყვეტილება მიეღო — მცირე ლაშქრით (მემატიანის გადმოცემით, „კაცითა ათას ხუთასითა“) იმ ღამესვე გაემართა მტერთან შესახვედრად. მეფის მხედრულმა მამაცობამ და მოულოდნელობის ეფექტმა ბრძოლის ბედი ქართველთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. თურქთა უკუქცევა იმდენად მოულოდნელი ყოფილა, რომ დავითის სპა შიშობდა — რაიმე ვერაგობას არ ჰქონდეს ადგილი და თურქები არ ჩაგვისაფრდნენო. ეს ფაქტიც მეტყველებს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მეფის მსტოვრები ინფორმაციას არ ფლობდნენ და ქართველთა გამარჯვება უფრო შემთხვევითობას და მტრის სისუსტეს (რომელთა ჯაშუშ-აეშაგებმაც დავითის ლაშქრის მცირერიცხოვნობა ვერ დაადგინეს) უნდა მივაწეროთ, ვიდრე კანონზომიერებას.

მსტოვრების შემდეგი სერიოზული შეცდომა კინაღამ საქართველოს ლაშქრის სრული მარცხით დასრულდა.

1123 წელს თურქ-სელჯუკები მოულოდნელად შარვანს დაესხნენ, აიღეს მისი დედაქალაქი შამაქია და შარვან-შაჰი შეიპყრეს. ეს არ იკმარეს და მათმა სულთანმა მკაცრე და ქედმაღლური უსტარი გამოუგზავნა დავით მეფეს — შენ ტყეთა მეფე ხარ და ვერასოდეს ველზე ვერ შემებრძოლებიო. ამიტომ ან დიდი ძღვენი გამომიგზავნე, ან თუ გაბედავ, ვიბრძოლოთო. დავითმა უმალ ლაშქრის შეკრება ბრძანა და სასწრაფოდ შარვანს გაემართა. ყველაზე საინტერესო სწორედ მერე მოხდა. მოახსენეს თუ არა დავითის ლაშქრის სიმრავლე მსტოვარ-აეშაგებმა სულთანს, ის უმალ ციხე-ქალაქ შამაქიაში შევიდა და იქ გამაგრდა. თურქ-სელჯუკთა ლაშქარმა ღამე შიშში და ქართველთა შეტევის მოლოდინში გაათენა. თუმც ქართველთა 50-ათასიანი ლაშქარი შეტევაზე არ გადასულა. დავითი სულთანს არ შეებრძოლა და ამ ჯერზე არც შამაქიის აღებას შეეცადა. მემატიანის სიტყვებით: „არამედ დავარდა მიწასა ზედა და მადლობა შეწირა ღმრთისა სახიერისა“... მეორე ღამეს სულთანი შამაქიიდან ფარულად გაიპარა სპარსეთში. ქართველთ მეფე მისთვის უჩვეულოდ მოიქცა — არ დაედევნა და არ გაანადგურა მტერი. ამ უცნაურ „ბრძოლას“ არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი იმით ხსნის, რომ სწორედ იმ ღამეს ქართველთა და ყივჩაღთა შორის დიდი უთანხმოება მოხდა. ერთმანეთს დაერივნენ და შამაქიის აღება ამიტომ ვერ შეძლესო. ქართველი მემატიანე ყივჩაღთა ბუნტს ძალზე ლაკონიურად გადმოგვცემს: „და ყივჩაღნი ოდენ აღთვალულ იყვნეს მაშინ“. შეშინებული სულთანი რომ არ გაქცეულიყო, ორად გახლეჩილი საქართველოს ლაშქრის დამარცხება არ გაუჭირდებოდა. თავის მხრივ, არც დავით მეფემ გარისკა და არ შეებრძოლა მტერს. მემატიანის სიტყვებიდან ჩანს, რომ მეფე კმაყოფილი იყო ამგვარი შედეგით. ამ ისტორიული ფაქტის შესახებ არსებული ისტორიული წყაროების ანალიზიდან არ ჩანს ყივჩაღთა უკმაყოფილების მიზეზი. ასევე გაურკვეველია რა მატერიალური, სოციალური თუ სამხედრო-პოლიტიკური პრობლემები გახდა ამბოხის საფუძველი, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რატომ ვერ მოახერხეს მეფის მსტოვრებმა („ცხენკეთილმა და პირშეუქცეველმა“ სპამ) ყივჩაღთა უკმაყოფილების გამოვლენა და სამხედრო ამბოხის აღკვეთა ადრეულ ეტაპზე? ეჭვგარეშეა, ეს მათი სერიოზული შეცდომა იყო, რადგან მეფეს ხელი მოეცარა და სულთანი დაუსჯელი გაექცა, ხოლო შამაქიის ციხე იმჯერად ასაღები დაურჩა. ეს ყველაფერი, მემატიანის გადმოცემით, 1123 წლის მაისში მომხდარა.

იმავე 1123 წლის სექტემბერში დავით მეფემ საბოლოოდ აიღო შამაქია და დაიმორჩილა „სრულად ყოველი შარვანი“. ქართლში დაბრუნებულმა ჩვეული შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა და „ყივჩაღთა თვისთა უჩინა საზამთროდ სადგური და საზრდელი და კაცნი ზემდგომნი მათნი“ (მემატიანე). ე. ი. მეფე იძულებული გამხდარა დაძაბულობის განსამუხტად „მოფერების“ პოლიტიკისთვის მიემართა, რათა ყივჩაღებთან დამოკიდებულება არ გამწვავებულიყო და მათი ქვეყანაში შემოყვანა უფრო მძიმე, საპირისპირო შედეგის მომტანი არ გამხდარიყო. იმავდროულად მეფის მიერ ყივჩაღებისთვის ახალი „ზემდგომი კაცების“ დანიშვნა იმის ნიშანია, რომ მეფე უკმაყოფილო იყო წინა მეთვალყურეთა მოქმედებებით, რომელთაც სამხედრო ბუნტი გამოეპარათ.

ბესიკ ალადაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრიუსელის სამხედრო მუზეუმი

მომავალი თაობის პატრიოტულ აღზრდაში დიდ როლს თამაშობს ქვეყნის სამხედრო ისტორია და ის ტრადიცია, რომელსაც წინაპრები საუკუნეების განმავლობაში ბრძოლის ველზე სისხლით მოპოვებული გამარჯვებებით ამკვიდრებდნენ. ქვეყნები, ვისთვისაც განვლილი ბატალიები ძალიან ბევრს ნიშნავს, ყველაფერს, რაც სამხედრო წარსულს უკავშირდება, სათუთად ინახავენ და უფრთხილდებიან.



ალბათ, სამხედრო მუზეუმი ერთადერთი ადგილია, სადაც სამხედრო ისტორიის გაცნობა შეიძლება, ხოლო წარმოდგენილი ექსპონატები შთაბეჭდილებას უფრო აძლიერებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კოლექციების მრავალფეროვნებითა და სიმრავლით ბელგიის სამეფო არმიისა და სამხედრო ისტორიის მუზეუმი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა.

მუზეუმს ბრიუსელის გარეუბანში პარკის ტერიტორიაზე მდებარე კლასიკური სტილის უზარმაზარი შენობის ნაწილი უკავია. 150 წლის წინ იმ ადგილზე, სადაც ახლა სამხედრო მუზეუმი მდებარეობს, დიდი მინდორი იყო, რომელსაც ბელგიელი სამოქალაქო გვარდიელები კვირაობით სამწყობრო ვარჯიშისათვის იყენებდნენ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბელგიის მეფე ლეოპოლდ II-მ გადაწყვიტა ბრიუსელი იმდაგვარ ევროპულ ქალაქად გადაექცია, როგორიც პარიზი იყო. 1880 წელს, ბელგიის დამოუკიდებლობის 50-ე წლისთავზე, არქიტექტორმა გედეონ ბორდაჟიუმ საგამოფენო-კომერციული დანიშნულების საიუბილეო სასახლის პროექტი წარმოადგინა.



სასახლის მშენებლობა მალე დაიწყო და 1910 წელს, როცა საგამოფენო ცენტრი გაიხსნა, მას სამხედრო მუზეუმის ჩანასახი უკვე ჰქონდა. სამხედრო მუზეუმმა დასრულებული სახე შედარებით გვიან მიიღო და 1923 წლის 22 ივლისს მეფე ალბერტ I-მა ის საზეიმოდ გახსნა.

ბელგიის სამხედრო წარსული ძალზე მდიდარია. საფრანგეთსა და გერმანიას შორის მოქცეულ ქვეყანას ომების ქარცეცხლმა არაერთგზის გადაუარა. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბელ-







გიის ტერიტორია ჯერ ესპანეთის, შემდეგ ავსტრიელ ჰაბსბურგთა, საფრანგეთისა და ბოლოს ნიდერლანდის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა.

1830 წელს დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იმავე წლის 25 აგვისტოს რევოლუციაში გადაიზარდა და ჰოლანდიელთა ბატონობას ბოლო მოუღო, ხოლო 30 ნოემბერს დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

დამოუკიდებელ ბელგიას არც მომდევნო პერიოდში ჰქონია მშვიდი ცხოვრება. 1914-18 წლებში ქვეყნის ოკუპაცია გერმანიამ მოახდინა, იგივე განმეორდა 1940 წლის სექტემბერში – გერმანიის არმიის შეჭრა ისევ ქვეყნის ოკუპაციით დასრულდა. ბელგიელი პატრიოტები წინააღმდეგობის რიგებში გაერთიანდნენ და ოკუპანტებს აქტიური ბრძოლა გაუჩაღეს. 1944 წლის სექტემბერში ინგლისს-ამერიკის ჯარებმა ქვეყანას თავისუფლება მოუტანეს.

1949 წელს ბელგია ჩრდილოატლანტიკური კავშირის წევრი გახდა და მისი არმია დღეს ერთ-ერთი საუკეთესოა.

სამეფო არმიის მუზეუმი სამეცნიერო დაწესებულებას წარმოადგენს და თავდაცვის სამინისტროს ექვემდებარება. მუზეუმი მოიძიებს,მოიპოვებს,ინახავს,წარმოადგენს და აქვეყნებს მასალებს, რომლითაც ფართო საზოგადოებას სამხედრო ისტორიებს აცნობს.

მუზეუმს წელიწადში დაახლოებით 250000 დამთვალიერებელი სტუმრობს



(შესვლა უფასოა). ექსპოზიციაში წარმოდგენილია შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის ნიმუშები X საუკუნიდან დღევანდლამდე. აქვე დაცულია მუნდირების, აღჭურვილობის, ჯილდოების, დროშების, დოკუმენტების მრავალფეროვანი კოლექციები, რომლებიც მოიცავს შუა საუკუნეებს, ავსტრიელთა ბატონობის პერიოდს, ნაპოლეონის ეპოქას, ვატერლოოს ბრძოლას, ბელგიის სამხედრო ისტორიას 1830 წლიდან პირველ მსოფლიო ომამდე, I და II მსოფლიო ომებს. წარმოდგენილია საავიაციო და ჯავშანსატანკო ტექნიკის რამდენიმე ასეული ნატურალური ნიმუში.

შთამბეჭდავია შუა საუკუნეების რაინდთა აბჯრები. XV საუკუნის შუახანებიდან ლითონის აბჯარი ადამიანს მთლიანად მოსავდა, მაგრამ მისი ტარება საკმაოდ ძნელი იყო და ბრძოლისას რაინდები ასევე ჯავშნით შემოსილ ცხენებზე ამხედრებას ამჯობინებდნენ.

რაინდთა მრავალფეროვან შეიარაღებაზე ხმლების, მახვილების, ნაჯახების, შუბების, არბალეტების, მუშკეტების, დამბაჩებისა და სხვა იარაღის კოლექციები თვალსაჩინო წარმოდგენას იძლევა. ყურადღებას იპყრობს 1590 წლით დათარიღებული გერმანული არბალეტი, XV საუკუნეში გაკეთებული გერმანელი რაინდის აბჯარი, რომელიც 4,5 კგ-ს იწონის, ხოლო მისი მფლობელი სიმაღლით 1,5 მეტრზე მეტი არ უნდა ყოფილიყო.

საინტერესოა ნაპოლეონის ეპოქის ჯარისკაცებისა და ოფიცრების მუნდირების, ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის კოლექციები. როგორც ცნობილია, 1815 წლის 18 ივნისს ვატერლოოსთან, ბრიუსელის სამხრეთით 20 კილომეტრში ინგლის-ჰოლანდია-პრუსიის ჯარებმა ნაპოლეონ I-ის არმია დაამარცხეს, რასაც ნაპოლეონის ტახტიდან გადადგომა და წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლება მოჰყვა.

ძველად მუსიკალურ სამხედრო საკრავებს ბრძოლისას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა: ფაქტობრივად, ჯარის მართვა მუსიკალური საკრავების გამოყენებით ხორციელდებოდა. ამის დასტურია მუზეუმში დაცული შესანიშნავი კოლექცია.

XIX საუკუნე წარმოდგენილია ბელგიის არმიის მუნდირებით, შეიარაღებით, დროშებით, ჯილდოებით და ამას თან ახლავს გამოჩენილი სარდლებისა და ბატალურ სცენებზე შექმნილი ნახატები, პლაკატები.

აღსანიშნავია არტილერიის კოლექცია, რომელიც შუა საუკუნეების ბრინჯაოსა და სპილენძის ზარბაზნებით იწყება. მას მოჰყვება პირველ მსოფლიო ომში მონაწილე თითქმის ყველა ქვეყნის სხვადასხვა კალიბრის ქვემეხები, ჰაუბიცები, მორტირები, ნაღმსატყორცნები, ჭურვები და ნაღმები. აქვეა მაქსიმის, ვიკერსის, ლუისის, შვარცლიზეს და სხვათა ტყვიამფრქვევები.

პირველმა მსოფლიო ომმა ბელგიას გერმანელების ოკუპაცია მოუტანა. მუზეუმში გამოფენილია ანტანტისა და გერმანიის არმიის მუნდირიანი მანეკენები შესაბამისი შეიარაღებით. უცნაურად გამოიყურება მანეკენი აირწინაღში. პირველად მხუთავი გაზები გერმანელებმა ბელგიის ფრონტზე, მდინარე იპრზე, 1915 წლის 22 აპრილს გამოიყენეს. აქ ნახავთ ასევე მოწყალების დებისადმი მიძღვნილ პლაკატებს, სხვადასხვა არმიის ჯარისკაცთა მუზარადების მრავალფეროვან კოლექციას.

უდავოდ საინტერესოა საჰაერო ნაოსნობისა და საავიაციო ტექნიკის ექსპოზიცია, რომელიც 1972 წელს გაიხსნა. 170 მეტრი სიგრძისა და 40 მეტრი სიგანის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარბაზში, რომლის სიმაღლე 40 მეტრია, ექსპონირებულია ნატურალური სახის 150 თვითმფრინავი, შვეულმფრენი და პლანერი, 100 საავიაციო ძრავის ნიმუში. წარმოდგენილია თვითმფრინავების უამრავი მოდელი, საავიაციო შეიარაღება, რაკეტები, მფრინავების ეკიპირება და ფორმის ტანსაცმელი, დოკუმენტები. დარბაზში იგრძნობა საავიაციო საწვავის დამახასიათებელი სუნი, რაც შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებს.

ჰაერნაოსნობას საფუძველი ძმებმა მონგოლფიერებმა ჩაუყარეს, როცა 1783 წლის 5 ივნისს შემთბარი ჰაერით გაბერილი ბურთით პირველი ისტორიული გაფრენა შეასრულეს.

დარბაზში შეიძლება პირველი მსოფლიო ომის მონაწილე „სპად“ XIII-ისა და „ნიუპორ“ 23-ის, მეორე მსოფლიო ომის სახელგანთქმული ბრიტანული გამანადგურებელი „სპიტფაირისა“ და ლეგენდარული სატრანსპორტო ამერიკული DC-3 „დაკოტას“ ნახვა.

ერთ-ერთი მთავარი ექსპონატი საბჭოთა მოიერიშე МиГ-27-А, რომელიც МиГ-23-ის მოდერნიზებული ვარიანტია. ეს თვითმფრინავი ბელგიელებს კარგად ახსოვთ. 1989 წლის 4 ივლისს საბჭოთა МиГ-23-მა, რომლის პილოტმა თვითმფრინავი ძრავის დაზიანების გამო პოლონეთის საჰაერო სივრცეში მიატოვა, პილოტის გარეშე გადაუფრინა გერმანიას, პოლანდიასა და ბელგია-საფრანგეთის საზღვარზე, ქალაქ კურტრეს მახლობლად საცხოვრებელ სახლს დაეცა და ერთი ახალგაზრდის სიცოცხლე იმსხვერპლა.

ერთმანეთის გვერდით დგას ჩეხოსლოვაკიის საჰაერო ძალების ავიაგამანადგურებელი МиГ-15 და მოიერიშე შვეულმფრენი Ми-24, პოლონეთის საჰაერო ძალების МиГ-17, შვედური გამანადგურებელი „გრიპენ“ J-35, ფრანგული MD-450, ვიეტნამის ომის ვეტერანი ამერიკული F-4 „ფანტომი“ 323-ე ესკადრილიიდან, იტალიური სასწავლო G-91 და სხვები. ტრაპით შეიძლება საფრენი აპარატების კაბინისა და ხელსაწყოების დაფის დათვალიერება.

ექსპოზიციის მშვენებაა ბელგიის საჰაერო ძალების თანამედროვე გამანადგურებელი F-16, რომელიც დღესაც მრავალი ქვეყნის საჰაერო ძალების შეიარაღებაშია. აქვე არის სატრანსპორტო C-119, რომელსაც ბელგიელები გასული საუკუნის 60-იან წლებში კონგოში მიმდინარე კონფლიქტისას იყენებდნენ. თვითმფრინავის სალონი სამოქალაქო და სამხედრო ვარიანტებშია ნაჩვენები.

სატანკო კოლექცია 1980 წლის 9 მაისს გაიხსნა და ის აერთიანებს, როგორც ბელგიის არმიის, ასევე ბრიტანული ფრანგული, საბჭოთა და ამერიკული ჯავშანტექნიკის ნიმუშებს. კოლექცია წარმოდგენილია I და II მსოფლიო ომების, ომის შემდგომი პერიოდის ტანკების, თვითმავალი საარტილერიო დანადგარების, ჯავშანტრანსპორტიორების, ტრაქტორების, გამწევებისა და სხვა ტექნიკის 250 ნიმუშით. მუზეუმში კოლექციის მხოლოდ ნაწილია განლაგებული, დანარჩენები საცავებშია დაცული.

ყველაზე ძველია I მსოფლიო ომის მონაწილე ბრიტანული ტანკი Mark IV Male, რომელიც 1917-18 წლებში ბრიტანეთის არმიის მთავარი საბრძოლო მანქანა იყო. 1918 წელს გამოჩნდა პირველი თაობის ერთ-ერთი საუკეთესო ტანკი ფრანგული „რენო“ FT 17.

II მსოფლიო ომის ჯავშანტექნიკა წარმოდგენილია ამერიკული „შერმან“ M32B1-ით, საბჭოთა T-34-ით, ბრიტანული „ჩერჩილით“ და „ცენტურიონით“, სხვადასხვა სახის გერმანული ტექნიკით.

აქვე ნაჩვენებია ომისშემდგომ პერიოდში შექმნილი საბჭოთა მძიმე 152 მმ-იანი ჰაუბიცა ИСУ-152Л, მძიმე ტანკი ИС-3М, ბრიტანული 66-ტონიანი ტანკი „კონკერორი“, ამერიკული საშუალო ტანკები M47 „პატონ II“ და M 41, გერმანული „ლეოპარდის“ პირველი მოდიფიკაცია, 90 მმ-იანი გერმანული თვითმავალი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, შვეიცარული ტანკი P68 და სხვა.

უნდა ითქვას, რომ მუზეუმის ჯავშანტექნიკა მხოლოდ ექსპონატები როდია... ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ზოგიერთი მათგანი სხვადასხვა ღონისძიებისა და გარბენების მონაწილეა.

სახმელეთო ბრიუსელის სამხედრო მუზეუმში ადგილი კატარღებსაც მოეძებნა. შენობის შიდაეზოში სამდინარო საპატრულო კატარღა P 903 „მიოზო“ და დამხმარე დანიშნულების კატარღა A 981 „ავილა“ დგას.

მუზეუმის ბევრი ექსპონატი მრავალი ომისა და შეტაკების მონაწილეა, მაგრამ ახალივით რომ გამოიყურება, რესტავრატორთა შრომის შედეგია. ისინი ნამდვილი პროფესიონალები არიან და თითოეულ ექსპონატს სიცოცხლეს უბრუნებენ.

მუზეუმს წიგნებისა და დოკუმენტების მდიდარი საცავი აქვს, რომელიც მეცნიერებსა და მკვლევარებს დიდ დახმარებას უწევს.

შთამბეჭდავია მუზეუმში მდებარე წიგნების მაღაზია, სადაც ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, სამხედრო ტექნიკასა და სამხედრო ისტორიაზე მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული მრავალფეროვანი ლიტერატურა იყიდება. აქვე არის სხვადასხვა მასშტაბის თვითმფრინავების, ჯავშანტექნიკისა და ხომალდების მოდელები, უამრავი სამხედრო ატრიბუტიკა, სუვენირები, რომელთა გვერდის ავლა შეუძლებელია.

შესამჩნევია ახალგაზრდებისა და ბავშვების სიმრავლე. მუზეუმი გადაქცეულია კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად, სადაც ბავშვებს გაკვეთილებს უტარებენ, იმართება გამოფენები და წარმოდგენები, თვითმფრინავით ფრენის მოყვარულთათვის დარბაზში სპეციალური სიმულატორები დგას. ექსპონატებთან ფოტოების გადაღება შეიძლება.

კარგი იქნებოდა, ჩვენი ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელობას, რომელიც ახლა ყველაფერს დასავლური სტანდარტის მიხედვით აკეთებს, საქართველოში ანალოგიური სტანდარტის დაწესებულების შექმნაზეც ეფიქრა.



*თემურ ჩაჩანიძე*
*ბრიუსელიდან*

# ღვთაებრივი ქარი

# კამიკაძე

## ფრენა ერთი მიმართულებით

ყოველწლიურად ათასობით ტურისტი სტუმრობს იაპონიის კუნძულ ეტაძიმას, რომელზეც საიმპერატორო ფლოტის ოფიცერთა კადრების სამჭედლო — კადეტთა საზღვაო კორპუსია განთავსებული. ძველი და ახალი სამყაროდან ჩამოსულებს ამომავალი მზის ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების ამ წმინდათაწმინდა ადგილს იშვიათად თუ უჩვენებენ. ძირითადად, აქ იაპონელი მოსწავლეები და სტუდენტები დადიან. ფუტკრის სკასავით მოზუზუნე ახალგაზრდებში იშვიათად თუ გამოჩნდებიან ხანში შესული მამაკაცები. ეს ჭაღარა მოხუცები კუნძულზე ყოველ წელიწადს აგვისტოში, იაპონიის მეორე მსოფლიო ომში კაპიტულაციის წლისთავის წინა დღეებში ჩადიან. მშვიდად მიუყვებიან გრანიტში ჩასმულ სანაპიროს, შემდეგ მეორე მსოფლიო ომისდროინდელი იაპონური იარაღისა და ტექნიკის ექსპოზიციას გადაავლებენ თვალს, რამდენიმე წუთით ჩერდებიან ლეგენდარულ გამანადგურებელ „ზეროსთან“, შემდეგ კი ბრძოლებში დაღუპულ კამიკაძეთა ხსოვნის დარბაზში დიდხანს დუმან.


თვითმკვლელთა ესკადრილიებმა ჩაძირეს 34 ამერიკული ხომალდი, 288 კი სერიოზულად დააზიანეს.

რას ფიქრობენ, როცა დაღუპული ამხანაგების გაფერმკრთალებულ პორტრეტებს უცქერიან და მარმარილოს ფილებზე ამოკვეთილ მათ გვარებს კითხულობენ, უცნობია, მაგრამ ამბობენ, რომ იმ მფრინავ-კამიკაძეებს, რომლებმაც ჩვენს დრომდე მოაღწიეს, ცხოვრების დასასრულსაც კი მხოლოდ ერთ რამეზე წყდებათ გული: ომი დამთავრდა, მათ კი ვერ მოასწრეს თავიანთი პირველი და უკანასკნელი საბრძოლო გაფრენა.

### „ღვთაებრივი ქარის“ დაბრუნება

სიტყვა „კამიკაძეს“ წარმოშობაზე სხვადასხვა აზრი არსებობს, მაგრამ ერთი რამ შეიძლება დაწმუნებით ითქვას, იგი მეორე მსოფლიო ომამდე გაცილებით ადრე წარმოიშვა.

მე-13 საუკუნეში მონღოლ დამპყრობთა ურდოები, რომლებმაც თითქმის მთელი აღმოსავლეთი დაიპყრეს და ჩინეთშიც კი გაბატონდნენ, უფრო და უფრო ინტერესდებოდნენ აღმოსავლეთით მდებარე კუნძულებით, რომლებზეც თავისუფალი და დაუმორჩილებელი იაპონელები ცხოვრობდნენ. და აი, ჩინეთის ბოგდიხანმა, ჩინგისხანის შვილიშვილმა კუბილაების დინასტიიდან, ამომავალი ქვეყნის ნაპირებისკენ თავისი საბრძოლო ხომალდები დაძრა, მაგრამ იაპონიის ნაპირებს მიახლოებული მონღოლების გემები საშინელმა ქარიშხალმა დაშალა, ნაფოტებად აქცია. შვიდი წლის შემდეგ კუბილაიმ ხელახალი საზღვაო ექსპედიცია მოაწყო, ამჯერად 3 ათასი საბრძოლო ხომალდი გაგზავნა იაპონური არქიპელაგისკენ, მაგრამ იგივე განმეორდა, — ქარიშხალმა მონღოლების ყველა ხომალდი ჩაძირა. ღვთისმორწმუნე იაპონელებმა მიიჩნიეს, რომ მათი ხალხისა და ქვეყნის გადარჩენაში უზენაესის ხელი ერია და მხსნელ ქარიშხალს „კამი კაძე“ უწოდეს, რაც „ღვთაებრივ ქარს“ ნიშნავს.

შვიდასი წლის შემდეგ იაპონიას კვლავ დაემუქრა დაპყრობის საფრთხე.

1944 წელს მილიტარისტული ქვეყანა, რომელსაც ჯერ კიდევ ახსოვდა პერლ-ჰარბორი და ომის საწყისი ეტაპის საომარი წარმატებები, უცილობელი მარცხისაკენ მიექანებოდა. იაპონიის უმაღლესმა სარდლობამ კარგად იცოდა, რომ მოკავშირეები მალე ფილიპინებს დაიკავებდნენ, რითაც მეტროპოლიას ინდონეზიას ჩამოაშორებდნენ და ქვეყნის გასამხედროებულ ეკონომიკას მთავარი ნედლეულის, ნავთობის გარეშე დატოვებდნენ. მოწინააღმდეგის კოალიციას


1944-1945 წლებში უკანასკნელ გზაზე გაფრინდა 3913 მფრინავი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპირისპირებული იმპერიის ძალები ყოველდღიურად მცირდებოდა. ამასთან, მნიშვნელოვან დანაკარგს განიცდიდა სამხედრო-საზღვაო ფლოტი და საზღვაო ავიაცია, ის ძირითადი დამრტყმელი ძალები, ვისზეც იაპონელი „ქორები“ გამარჯვების იმედს ამყარებდნენ. ბოროტების ფესვი არა ჩაძირული ავიამზიდების რაოდენობაში ან ამერიკელების მიერ ჩამოგდებულ იაპონურ გამანადგურებლებში, არამედ უტყუარ რეალობაში იმალებოდა – იაპონელ გამოცდილ მფრინავთა უმრავლესობა 1942 წელს დაიღუპა, საფრენოსნო სკოლები კი ვერ ახერხებდნენ მათი ტოლფასი კადრების სწრაფად მომზადებას.

ომამდელ იაპონიაში გამოცდილ პილოტად ითვლებოდა ის, ვისაც 700 საათი ჰქონდა ჰაერში გატარებული. სკოლებში კურსანტებად 15-16 წლის ახალგაზრდებს რიცხავდნენ. მფრინავების მომზადების პროგრამა 4-5 წელზე იყო გათვლილი, რომლის დროსაც მომავალი პილოტები საშუალო, საერთო-საგანმანათლებლო კურსსაც გადიოდნენ. 14 თვე იყო გამოყოფილი საერთო-საფრენოსნო კურსისთვის, ხოლო არანაკლებ 12 თვე საგანგებო საფრენოსნო კურსს ეთმობოდა. კურსებზე მიჩმანებსა და ოფიცრებსაც იღებდნენ. ისინი მხოლოდ 12 თვეს სწავლობდნენ და კარგი მფრინავები დგებოდნენ.

გარდაუვალი კატასტროფის მოლოდინში იაპონიის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობამ პილოტების მომზადების ვადა შეამცირა. მფრინავ-ოფიცრების მომზადება თავიდან ერთი წლიდან 10 თვემდე შემცირდა, შემდეგ კი 3 თვემდე.

ცხადია, ასე სასწრაფოდ მომზადებულ მფრინავებს გამოცდილ მოწინააღმდეგესთან ორთაბრძოლებისას გამარჯვების არავითარი შანსი არ ჰქონდათ და პრაქტიკულად დასაღუპავად იყვნენ განწირულნი.

წყნარი ოკეანის საომარი მოქმედებების თეატრის ანალიზმა იაპონელი სამხედრო სარდლობა აიძულა, ახალი გზები ეძებნა. როგორც შვიდი საუკუნის წინ, ახლაც იაპონიის ხსნა მხოლოდ სასწაულს შეეძლო, მაგრამ დრო არ ითმენდა და ღვთის წყალობას ვერ დაუცდიდნენ.

აშშ-ის ფლოტის წინააღმდეგ თვითმკვლელ მფრინავთა გამოყენების იდეა ვიცე-ადმირალ ონისი ტაკიძიროს ეკუთვნის, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა პერლ-ჰარბორზე თავდასხმის გეგმის მომზადებაში.

მისი აზრით, მოკავშირეების სამხედრო-ტექნიკურ და რიცხობრივ უპირატესობას უნდა დაპირისპირებოდა ფიზიკურად გამოფიტულ იაპონელ ჯარისკაცთა საბრძოლო სული. „კამიკაძე ტაკებიცუ კოგეკიტაი“ – „ღვთაებრივი ქარის საგანგებო დამრტყმელი კორპუსი“ – ასე ეწოდებოდა მას. კორპუსის ფორმირება, ფილიპინებზე გაჩურებული ომის დროს, 1944 წლის შემოდგომაზე დაიწყო. „ღვთაებრივი ქარის“ შესაქმნელად საჭირო არ იყო მფრინავისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული ოსტატობა. მათი ამოცანა იყო: თვითმფრინავით აფრენა, მიზნამდე მიღწევა, მოწინააღმდეგის გადამლობი ცეცხლის გადალახვა და მტრის ავიამზიდის გემბანთან შეჯახება. კამიკაძეების „მამამ“, ახალშექმნილი კორპუსის მეთაურმა, ვიცე-ადმირალმა ონისიმ და გაერთიანებული ფლოტის სარდალმა, ადმირალმა ტუეიდამ კარგად იცოდნენ, რომ ომი უკვე წაგებული იყო, მაგრამ მათი აზრით, მფრინავ-თვითმკვლელების მიერ მიყენებული ზარალი ამერიკელებს აიძულებდა, იაპონელებისთვის გაცილებით ხელსაყრელ ზავზე მოეწერათ ხელი და ამით თავიდან აეცილებინათ უსიტყვო კაპიტულაცია.

## ონისი ტაკიძირო

კამიკაძეთა კორპუსის შემქმნელი ვიცე-ადმირალი ონისი ტაკიძირო დაიბადა 1891 წელს. დაამთავრა ეტაძიმას სამხედრო-საზღვაო აკადემია. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, რომელშიც იაპონია ანტანტის მხარეზე იბრძოდა. იგი ახალშექმნილი საზღვაო ავიაციის ერთ-ერთი პირველი პილოტი იყო და პირველი საბრძოლო ჯილდოც, როგორც მფრინავმა, გერმანული ნაღმგადამღობი გემის ჩაძირვისთვის მიიღო. ომის დამთავრების შემდეგ ონისი ადმირალ იამამოტოსთან ერთად ქმნიდა იაპონიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ავიაციას. კონტრ-ადმირალის წოდების მიღების შემდეგ, ჩინეთთან ომის დროს, საავიაციო ფლოტილიას სარდლობდა. მეორე რანგის კაპიტან ჰენდ მინორუსთან ერთად მან პერლ-ჰარბორზე თავდასხმის გეგმა დაამუშავა. იგი ხელმძღვანელობდა საზღვაო ავიაციის მსხვილ საბრძოლო ოპერაციებს ფილიპინებსა და ჰოლანდიის ვესტ-ინდოეთში. 1944 წლის ოქტომბერში ონისი საშტაბო სამსახურიდან სამეთაურო სამსახურზე გადავიდა და პილოტ-თვითმკვლელთა პირველი შენაერთების შექმნას შეუდგა.


საბრძოლო სულის განმამტკიცებელი თავსახვევ-ხატიმაკები ახლა ტურისტულ სუვენირებადაა ქცეული

1945 წლის 16 აგვისტოს დილით ტოკიოს დაცარიელებულ ქუჩებში ნელა მიდიოდა სამხედრო-სატვირთო მანქანა. ძარაზე იდო ფიჭვის ფიცრებისგან სახელდახელოდ შეკრული ყუთი, რომელშიც ონისი ტაკიძიროს ცხედარი ესვენა. როცა მან იაპონიის კაპიტულაციის შესახებ შეიტყო, მშვიდად დაბრუნდა შინ და ისე მოიქცა, როგორც სამურაის ეკადრებოდა – ხარაკირი გაიკეთა. სისხლში მცურავი ონისი ტაკიძირო 18 საათის განმავლობაში კვდებოდა და მერე სიკვდილმაც მიაკითხა...

## „სინდისმა მაიძულა, კამიკაძეთა რიგში ჩავმდგარიყავი“

1944 წლის 19 ოქტომბერს ვიცე-ადმირალი ონისი ტაკაძირო ფილიპინებზე, კუნ-


კამიკაძის თვითმფრინავმა ავიამზიდ „ფრანკლინს“ თორმეტმეტრიანი ნახვრეტი გაუჩინა გემბანზე, გაანადგურა 33 თვითმფრინავი, დაიღუპა 56 მეზღვაური...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძულ ლუსონზე გამანადგურებელთა მთავარ ბაზა კლარკ ფილიდში ჩაფრინდა და ქვედანაყოფების მეთაურებთან თათბირი ჩაატარა. ოფიციალურად პირველად აქ წამოაყენა წინადადება თავგანწირული შეტევების ტაქტიკის გამოყენების შესახებ.

თავიდანვე კამიკაძეთა რიგებში ჩაწერის მსურველი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ამას საჭიროება მოითხოვდა. საინტერესოა ლეიტენანტ ხაჯიმე ფუჯის მაგალითი. იგი ონისის მოწოდებისთანავე გამოცხადდა „კამიკაძეთა" აღმრიცხველ პუნქტში, მაგრამ ჩარიცხვაზე უარი უთხრეს. საქმე ის არის, რომ ხაჯიმე დაოჯახებული იყო და შვილებიც ჰყავდა, ხოლო „კამიკაძეთა" რიგებში მხოლოდ უცოლშვილოებს იღებდნენ. ერთი კვირის შემდეგ ხაჯიმე ფუჯის ცოლმა დახოცა მცირეწლოვანი შვილები და თავი მოიკლა. სიკვდილისწინა ბარათი იტყობინებოდა, რომ ეს მან ქმრის დასახმარებლად ჩაიდინა, რათა მისთვის წმინდათაწმინდა მოვალეობის შესრულებაში ხელი არ შეეშალა (იაპონიის ხელისუფლება ომის დამთავრებამდე საიდუმლოდ ინახავდა ამ ამბავს).

კამიკაძეებისთვის საგანგებოდ გამოყვეს თვითმფრინავი მიცუბისი ა6მ „ზერო-სენ". ეს თვითმფრინავი მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთ საუკეთესო საფრენ აპარატად ითვლებოდა, გამანადგურებელთა კლასიფიკაციას მიეკუთვნებოდა და დაკიდებულს 250-კილოგრამიანი ნაღმის ტრანსპორტირება შეეძლო.

შესაძლოა, ვინმეს იფიქროს, რომ გემების ჩასაძირად ეს ნაღმი საკმარისი ვერ იქნებოდა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რას წარმოადგენდა თავად მიზანი – ავიამზიდი. იგი საკმაოდ მოხერხებული სამიზნე იყო. მაგალითად, თვითმფრინავების გასაშვებად კაპიტანი იძულებული იყო, ავიამზიდი ქარის საწინააღმდეგოდ შეებრუნებინა, რომლის დროსაც კურსის შეცვლის შესაძლებლობას გარკვეული ხნით კარგავდა და შეტევების თავიდან აცილება არ შეეძლო. გარდა ამისა, მათ ასაფრენ ბილიკზე ნაღმებითა და ტორპედოებით შეიარაღებული თვითმფრინავები სავსე ავზებით მზად იყვნენ.

ერთი ასეთი თვითმფრინავის აფეთქებას კატასტროფის გამოწვევა შეეძლო, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ავიაბენზინის მარაგი აფეთქდებოდა, რომელიც გემებზე ათასობით ტონა ჰქონდათ. მოგვიანებით „კამიკაძეებმა" ავიაგამანადგურებელ „ზეროსთან" ერთად მაპიკირებელი ბომბდამშენების „ველის" და „ჯუდის", მოგვიანებით კი „ფრენსისის" და „ველის" გამოყენება დაიწყეს. მათ 250 კილოგრამი ასაფეთქებელი მასალის მიზნამდე მიტანა შეეძლო.

კამიკაძეებმა პირველი იერიში 1944 წლის 25 ოქტომბრის დილით, ფილიპინებზე, კუნძულ ლეიტის რაიონში მიიტანეს. ამ ოპერაციის ჩასატარებლად, რომელსაც ლეიტენანტი იუკიო სეკი მეთაურობდა, მომზადდა 26 გამანადგურებელი, რომელთა ნაწილიც ძირითად ძალებს დაიფარავდა, დანარჩენებს კი, ოთხ რგოლად დაყოფილებს, თავი უნდა გაეწირათ. 10 საათსა და 45 წუთზე იაპონელმა პილოტებმა სანაპირო პლაცდარმებისთვის გამოყოფილი ამერიკული სამხედრო ხომალდების ჯგუფი შენიშნეს და მათკენ გაემართნენ. თავიდან ამერიკელებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს ფილიპინების მხრიდან მიახლოებული მოწინააღმდეგის გამანადგურებელ თვითმფრინავთა მცირე ჯგუფი, ხოლო როცა ეთერში საგანგაშო გაფრთხილება გაისმა, უკვე დაგვიანებული იყო, პირველმა „ზერომ" ავიამზიდ „სენტის" კიჩოს მხრიდან შემოუარა და ასაფრენ ტრამპლინზე დაენარცხა. აფეთქებისას დაიღუპა 16 და დაიჭრა 27 ამერიკელი მეზღვაური, რამდენიმე წუთის შემდეგ ავიამზიდ „სუონის" დაეჯახა კამიკაძის თვითმფრინავი და დააზიანა იგი. შეშინებულმა ამერიკელებმა გრიგალისებური ცეცხლი გახსნეს და ავიამზიდ „უაიტ პლენზიდან" შეძლეს კიდევაც პირველი იერიშის მოგერიება, მის უკან მდგომი ავიამზიდ „სენტ ლოს" ეკიპაჟმა კი უყურადღებობა გამოიჩინა: კამიკაძე „ზერო", რომელსაც 250-კილოგრამიანი ნაღმი ჰქონდა დაკიდებული, ღმუილით გადაევლო ხომალდს, ღრმა პიკეტში შევიდა და ასაფრენი გემბანის ცენტრში დაენარცხა. ცეცხლი გემბანის ქვეშ მოთავსებულ საწვავის ავზებს მოედო, ორი წუთის შემდეგ კი გაისმა ძლიერი აფეთქების ხმა, რომელმაც ავიამზიდზე მყოფი ტორპედოებისა და ნაღმების დეტონაცია გამოიწვია და უზარმაზარი ხომალდი ორად გაიხლიჩა. 21 წუთის შემდეგ ავიამზიდი ჩაიძირა და თან ჩაიყოლა ეკიპაჟის 114 წევრი. ამ დღეს იაპონელებმა ჩაძირეს ერთი და მნიშვნელოვნად დააზიანეს ამერიკელთა ექვსი ავიამზიდი, თავად კი 17 თვითმფრინავი დაკარგეს. კამიკაძეთა კორპუსის პირველმა საბრძოლო გაფრენამ მოსალოდნელს გაცილებით გადააჭარბა და ადმირალი ონისი დაუყოვნებლივ შეუდგა ახალი ჯგუფების შექმნას.

## „იასუკუნის ტაძარში შეხვედრამდე"

გაკამიკაძების ორი საშუალება არსებობდა: დამწყებ პილოტებს შეეძლოთ საკუთარი სურვილით შესულიყვნენ კორპუსში. დოკუმენტები მეტყველებს, რომ მსურველთა რაოდენობა მკაცრი შერჩევის საშუალებას იძლეოდა. პირველ რიგში მოწინავე ახალგაზრდებს იღებდნენ. ცდილობდნენ, არ მიეღოთ ოჯახის უფროსი შვილები – მათ ხომ გვარი უნდა გაეგრძელებინათ.

სულ სხვაგვარად არჩევდნენ გამოცდილ მფრინავებს. მათ ურიგებდნენ ანკეტებს, რომელშიც დასმული იყო კითხვა: „გინდათ თუ არა კამიკაძეობა? არასასურველი სიტყვა გადაშალეთ!" იაპონიაში სამშობლოსთვის თავდადება ნებისმიერი მამაკაცის ვალია, ამიტომ კამიკაძეობაზე უარის თქმა სიმხდალეს ნიშნავდა. შემონახულია კამიკაძეთა დღიურები და მათი გაფრენისწინა, ანუ სიკვდილის წინ დაწერილი ბარათები. უმრავლესობა წერს, რომ სიკვდილის წინ ისინი არათუ მწარედ განიცდიან სიცოცხლესთან განშორებას, არამედ – პირიქით, ამაყნი და ბედნიერნი არიან, რადგან ერისთვის და ქვეყნისთვის სწირავენ თავს.

გამორიცხული არ არის, რომ სამხედრო ცენზურა „წმენდდა" ისეთ დოკუმენტებს, რომლებიც მსგავს განწყობილებას ეწინააღმდეგებოდა.

კამიკაძეებმა სწრაფად შექმნეს თავიანთი ტრადიციები და რიტუალები. გარდა საკურას სამი ფოთლისა, რომელიც კამიკაძეების სამხედრო სამოსის ღილებზე იყო ამოტვიფრული, თავს თეთრი თავსახვევები, ხატიმაკები უმშვენებდათ, რომელთა შუაგულში (შუბლზე) მზის წითელი დისკო იყო გამოსახული (ისეთივე როგორიც იაპონიის სახელმწიფო დროშაზეა). ხშირად მათზე პატრიოტული მოწოდებებიც ეწერა (მაგალითად, „შვიდი სიცოცხლე იმპერატორისთვის"). ასეთ თავსახვევებს ფეოდალური იაპონიის სამურაები სრულიად პრაქტიკული მოსაზრებით ატარებდნენ, – ოფლი რომ შეესრუტათ და თმაც თვალებზე არ ჩამოჰფარებოდათ. გაფრენის წინ მფრინავებისთვის აუცილებელი იყო სუფრის გაშლა, სადაც ისინი ჭიქა საკეს სვამდნენ, აქვე გადასცემდნენ მათ ფარჩისქარქაშიან სამურაის მოკლე მახვილს. მრავალი მათგანი, სასიკვდილო გაფრენის წინ, ძველი სამურაების მსგავსად ლექსებს, ტანკებს თხზავდა. უკანასკნელი გაფრენისას თან ავგოროზები და სპილენძის რამდენიმე მონეტაც მიჰქონდათ, მდინარე სანძუ-კავაზე გადასვლის საფასურის გადასახდელად. ბუდისტური რწმენით, მიცვალებულთა სამეფოში მოსახვედრად ეს მდინარე უნდა გადაცურო. კამიკაძეებს იმქვეყნიურ ცხოვრებაზე არც უნდა ენაღვლათ, რადგან მათ ღმერთად გადაქცევა მოელოდათ. იაპონიის უძველესი რელიგიის, სინტოიზმის თანახმად, სიკვდილის შემდეგ კამიკაძეები „გუნსინებად", მეომარ ღმერთებად, ქვეყნის მფარველ სულებად გადაიქცეოდნენ. თვითმფრინავში ჩაჯდომისას კამიკაძეები ერთმანეთს რიტუალური გამოსამშვიდობებელი სიტყვებით მიმართავდნენ: „იასუკუნის ტაძარში შეხვედრამდე".

ომის მიწურულს სამართლებრივად გაფორმდა კამიკაძეთა, აგრეთვე მათი ოჯახების წევრთა უფლებები და უპირატესობები. კამიკაძეს ღმერთებთან შეხვედრამდე ამ ცოდვილ წუთისოფელში ტკბილად ცხოვრების უფლება ეძლეოდა. რესტორნის ნებისმიერი მფლობელი ვალდებული იყო, კამიკაძის სტუმრობა დიდ პატივად მიეჩნია და მისთვის ფული არ გამოერთმია. საყ-




ოჯელთაო პატივისცემით იყო გარემოსილი აგრეთვე კამიკაძის უახლოესი ნათესაობა.

ბრძოლის დროს კამიკაძეები საოცრად ცივსისხლიანები იყვნენ. თუ საიერიშოდ შესაფერის სამიზნეს ვერ აღმოაჩენდა, კამიკაძეს არათუ უფლება ჰქონდა, არამედ მოვალეც იყო, ბაზაზე დაბრუნებულიყო. სასიკვდილოდ განწირული პილოტები დავალებებზე გამცილებელი მოიერიშეების თანხლებით მიფრინავდნენ, რომელთა მოვალეობაც მათი მტრის გამანადგურებლებისგან დაცვა იყო. კამიკაძე მოწინააღმდეგის ხომალდის ტარანზე თვალის დაუხუჭავად უნდა წასულიყო, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ უნდა დაეხამხამებინა თვალი. შუა საუკუნეების ფეოდალური მეომრული ტრადიციების მიხედვით, მშვიდად და წყნარად, ღიმილით უნდა აღსრულებულიყო.

## სულით მანქანების წინააღმდეგ

პირველმა წარმატებამ ფრთები შეასხა იაპონიის სარდლობას. გადაწყდა არა მარტო სამხედრო-საზღვაო ავიაციის, არამედ სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავებიც გამოეყენებინათ კამიკაძეებად. მალე სამხედრო მანქანამ აჩქარებული ტემპებით დაიწყო ახალ თვითმკვლელთა მომზადება. რამდენიმე თვეში მომზადდა 2000 თვითმფრინავი და მათი პილოტი კამიკაძეები. შეერთებული შტატების სამხედრო ხომალდები კი უფრო და უფრო ხშირად ხდებოდნენ იაპონელ თვითმკვლელთა მსხვერპლნი. ამერიკელი მეზღვაურები იმედოვნებდნენ, რომ კამიკაძეობა დროებითი მოვლენა იყო და ფართო გავრცელებას ვერ ჰპოვებდა. რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ იაპონიის სამხედრო-საჰაერო ძალებში, ადმირალ ონისის ხელმძღვანელობით, უკვე შექმნილი იყო კამიკაძეთა საგანგებო კორპუსი.

მოკავშირეებმა შესაბამისი დასკვნა სწრაფად გამოიტანეს და სამხედრო ხომალდების თავზე გამანადგურებელთა აუცილებელი პატრულირება შემოიღეს, ხომალდებზე კი თავისუფალი ადგილები საზენიტო ქვემეხებით გაავსეს. მათ ერთი ამოცანა ჰქონდათ, რადაც უნდა დასჯდომოდათ, პილოტ-თვითმკვლელების ხომალდების მოახლოება არ დაეშვათ. ამის გამო ამერიკელების ცეცხლის სიხშირე იმდენად მჭიდრო იყო, რომ ჰაერში კამიკაძეების ნალმებიც კი ფეთქდებოდნენ. ზოგჯერ ისინი ახერხებდნენ ყველა კამიკაძის განადგურებას, ზოგჯერ კი ოცი თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ, ოცდამეერთე „გაუძვრებოდათ“ და ყველაფერი დამთავრებული იყო.

29 ოქტომბერს კამიკაძის თვითმფრინავმა ავიამზიდ „ფრანკლინს“ თორმეტმეტრიანი ნახვრეტი გაუჩინა გემბანზე, გაანადგურა 33 თვითმფრინავი, დაიღუპა 56 მეზღვაური. მეორე კამიკაძე ავიამზიდ „ბელ ვუდს“ შეეჯახა, რომლის დროსაც დაიღუპა 92 და დაიჭრა 44 ამერიკელი მეზღვაური.

1-ელ ნოემბერს კამიკაძეების შეტევის შედეგად ჩაიძირა ამერიკული საესკადრო ხომალდი „აბნერ რიდი“, ხოლო ორი საესკადრო ხომალდი იმდენად დაზიანდა, რომ მათი ბრძოლებში გამოყენება შეუძლებელი იყო.

5 ნოემბერს, მიუხედავად ამერიკელი მეზენიტეების გამძვინვარებული წინააღმდეგობისა, კამიკაძე ავიამზიდ „ლეგსინგტონს“ შეეჯახა. დაიღუპა 41 და დაიჭრა 126 მეზღვაური. 25 ნოემბერს ავიამზიდ „ინტერპიდს“ არ გაუმართლა, მის გემბანზე ორი „ზერო“ აფეთქდა. ავიამზიდი ორი საათის განმავლობაში იწვოდა. დაიღუპა 79 მეზღვაური. იმ დღეს კამიკაძეებმა კიდევ სამი ავიამზიდი დააზიანეს.

ამ დროისთვის ამერიკელები მიხვდნენ, რომ კამიკაძეობა კარგად ორგანიზებული და წინასწარ დაგეგმილი საომარი ხერხი იყო, რომელსაც მძლავრი პროპაგანდისტული კამპანია უმაგრებდა ზურგს. ამერიკის შეიარაღებული ძალების სარდლობა იძულებული გახდა, საგანგებო განცხადება გაეკეთებინა. იაპონელთა მოქმედებები ამერიკელებმა მათ ფანატიზმსა და ადამიანის, როგორც საკუთარი, ისე სხვისი სიცოცხლისადმი ტრადიციულად აგდებულ დამოკიდებულებას მიაწერეს, მაგრამ მოგვიანებით განვითარებულმა მოვლენებმა დაამტკიცა, რომ არც ისე იოლად იყო საქმე.

26 ნოემბერს კამიკაძეებმა ლეისის ყურეში მდგომ დამხმარე ჯგუფის სატრანსპორტო ხომალდებზე მიიტანეს იერიში. პირველი დარტყმა კრეისერმა „სენტ ლუისმა“ მიიღო. დაიღუპა 33 მეზღვაური. შემდეგ დარტყმები მიიღეს ლინკორებმა, „კოლორადომ“ და „მერილენდმა“. ოთხი საესკადრო ხომალდიდან ერთი ჩაიძირა. დეკემბრის თვეში ამერიკის სამხედრო ფლოტმა რამდენიმე სატრანსპორტო გემი და საესკადრო ხომალდები: „მახენი“, „უორდი“ და „ლემსონი“ დაკარგა. გარდა ამისა, დაზიანდა რამდენიმე ათეული ხომალდი.

3 იანვარს ავიამზიდ „ომანი ბეის“ მოთვალთვალეებს გამოეპარათ კამიკაძის ორმეტრიანი თვითმფრინავი, რომელმაც გემბანი გახვრიტა და ანგარში აფეთქდა. მალე ხანძარმა სატორპედო ნაკვეთურამდე მიაღწია და მძლავრმა აფეთქებამ წერტილი დაუსვა ხომალდის აგონიას. დაიღუპა 95 მეზღვაური, 65 დაიჭრა. იმ დღეს კიდევ ერთი კამიკაძე შეეჯახა ავიამზიდ „მანილა ბეის“ და მნიშვნელოვნად დააზიანა იგი. შემდეგ ჯერი კრეისერ „ავსტრალიაზე“ მიდგა, რომელზეც 55 მეზღვაური დაიღუპა. ამავე დღეს მოხდა უჩვეულო რამ: როცა კამიკაძემ ლინკორ „დასავლეთ ვირჯინიასა“ და ავიამზიდ „ნატომა ბეის“ შორის გაიფრინა, ორივე ხომალდის მეზენიტეებმა ერთმანეთის გემები დაცხრილეს. ამ დღეს ჩაიძირა რამდენიმე მომცრო ზომის ხომალდი და სატრანსპორტო გემი.

6 იანვარს ლინკორ „ნიუ მექსიკის“ ბორტს კამიკაძის თვითმფრინავი შეეჯახა. დაიღუპა 24 მეზღვაური, მათ შორის ხომალდის მეთაური, გენერალ-ლეიტენანტი ლამდენი (ჩერჩილის მორიგე ადმირალი ამერიკის ფლოტში).

ლინკორ „კალიფორნიასთან“ კამიკაძის შეტაკებისას დაიღუპა 45 მეზღვაური; კრეისერ „ლუჩევილის“ სამეთაურო ბოგირმა ორი კამიკაძის შეტევა მიიღო, რის შედეგადაც დაიღუპა 31 მეზღვაური, მათ შორის იყო ადმირალი ჩენდლერი. დაიჭრა 56 მეზღვაური. დროის მცირე მონაკვეთში კამიკაძეებმა ფილიპინებზე მნიშვნელოვან შედეგს მიაღწიეს. ამერიკელებმა დაკარგეს 2 ავიამზიდი, 6 საესკადრო ნაღმოსანი და 11 სატრანსპორტო ხომალდი. მნიშვნელოვნად დაზიანდა 22 ავიამზიდი, 5 ლინკორი, 10 კრეისერი და 23 საესკადრო ნაღმოსანი.

შედეგიანად მოქმედებდნენ კამიკაძეები კუნძულ ტაივანთანაც (ფორმოზა). 21 იანვარს დარტყმა ავიამზიდმა „ტიკანდეროგამ“ მიიღო. ამ დროს 140 მეზღვაური დაიღუპა. უფრო ნაკლებ გაუმართლა ავიამზიდ „ბისმარ სის“: მის კიჩოზე განთავსებული თვითმფრინავის ასაფრენ ტრამპლინს კამიკაძის თვითმფრინავი შეეჯახა. როცა ანგარში ხანძარი გაჩნდა და მეზღვაურები მის ჩასაქრობად გემბანზე გაიშალნენ, ზუსტად იმავე

ადგილას დაეჯახა მეორე კამიკაძე და ყველა მეხანძრე მოსპო. რამდენიმე წუთში ხომალდი აფეთქდა. ჩაძირულმა ავიამზიდმა ფსკერისკენ 318 მეზღვაურის სიცოცხლე გაიყოლა.

1944 წელს დაწყებული მფრინავ-თვითმკვლელთა მასობრივი შეტევებისგან გამოწვეული ფსიქოლოგიური შოკი იმდენად ძლიერი იყო, რომ ამერიკის წყნარი ოკეანის ფლოტის სარდალმა ჩესტერ ნიმიცმა კამიკაძეთა შეტევების შესახებ ცნობების გასაიდუმლოება გადაწყვიტა, რის შემდეგაც სამხედრო ცენზურამ მკაცრად შეზღუდა მფრინავ-მკვლელების შესახებ ყოველგვარი ინფორმაციის გავრცელება. ინგლისელებიც დუმდნენ კამიკაძეთა შესახებ... ომის დამთავრებამდე.

## ისინი ქარქორბალას ჰგავდნენ

1945 წლის მარტში იაპონიის საგარეო დაზვერვამ შეიტყო, რომ ამერიკელების საგანგებო სამსახურები ბოლო დროს განსაკუთრებით დაინტერესდნენ კუნძულ ოკინავათი, რომელიც იაპონიის სამხრეთ ნაპირებიდან 600 კილომეტრის მანძილზე მდებარეობდა. ამ დროს კი ტოკიოში სამხედროები და მაღალი რანგის ჩინოვნიკები ირწმუნებოდნენ, რომ მფრინავ-თვითმკვლელები ომის მსვლელობაში გარდატეხას მოახდენდნენ.

კუნძულ ოკინავაზე გადასხდომის ოპერაცია პირველ აპრილს დაიწყეს. ამერიკელი მეზღვაურები თავზარდაცემულნი ელოდნენ კამიკაძეთა შემოტევას. ამ დროისთვის მათ კარგად იცოდნენ, რა მრისხანე ძალა იყო „ღვთაებრივი ქარი"... კამიკაძეთა გამოჩენის შემდეგ ამერიკის საზღვაო ფლოტში მკვეთრად იმატა ფსიქიკურად დაავადებულთა რაოდენობამ, დაქვეითდა მეზღვაურთა მორალური მდგრადობის დონე. იმ მეზღვაურებს, რომლებიც კამიკაძეთა შეტევებს გადაურჩნენ, როგორც ბრძოლაში გამოუსადეგართ, ნაპირზე აგზავნიდნენ. მეთაურებს ეკიპაჟების ხშირი ცვლა უხდებოდათ, რაც სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბრძოლისუნარიანობაზე უარყოფითად მოქმედებდა.

„ღვთაებრივი ქარი" ბრძოლაში 3 აპრილს ჩაება. კუნძულ კიუსიუზე გაბნეული აეროდრომებიდან მტრისთვის უკანასკნელი დარტყმის მისაყენებლად ასობით თვითმფრინავი აფრინდა.

კამიკაძეთა პირველივე იერიშებმა დააზიანა ავიამზიდი „უეიკ აილენდი" და ეკიპაჟის 94 წევრიანად ჩაძირა საესკადრო ხომალდი „ბუში". მას ოთხი კამიკაძე დაეჯახა.

თვითმხილველი ამერიკელები იხსენებდნენ, რომ „ეს იყო საშინელი ბრძოლა. კამიკაძეები თითო-თითო, წყვილ-წყვილად და ჯგუფებად მოდიოდნენ იერიშზე. განსაკუთრებით საესკადრო ხომალდებზე ახდენდნენ



ერთი არსებითი მომენტის დავიწყება არ შეიძლება: იაპონელი მფრინავები ტერორისტები არ ყოფილან, ისინი ჯარისკაცები იყვნენ, რომლებიც სამხედროებს ებრძოდნენ

პიკირებას, მხოლოდ ზოგიერთი მათგანი მიეშურებოდა კუნძულის ნაპირებისკენ. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ჩვენი ხომალდების თავზე ქარქორბალა ტრიალებდა. ცა ფოლადის შავი მტვრით ამოივსო, რომელიც ნელა ილექებოდა წყლის მოსარკულ ზედაპირზე. თუმცა იაპონელებმა ამ შეტევის დროს მძიმე დანაკლისი განიცადეს, ჩვენი ხომალდებიც სასტიკად დააზიანეს. საცოდავი სანახავი იყო ჩვენი საესკადრო ნაღმოსნები და დაახლოებით 15 მსხვილი ხომალდი. იმ დილით ნაღმოსან „ბუშის" აღსასრული ბედნიერებად მიგვაჩნდა".

საესკადრო ნაღმოსან „ბუშის" სამასკაციანი ეკიპაჟი დღის 3 საათამდე წარმატებით გაურბოდა კამიკაძეების შემოტევებს. 15 საათსა და 13 წუთზე ეკიპაჟის წევრებმა ერთძრავიანი დაბალმფრენი კამიკაძე შენიშნეს, რომელიც ხომალდზე პიკირებას ცდილობდა. პილოტი მანევრირების ტაქტიკას იყენებდა, მეზენიტეების ცეცხლის ასაცილებლად სწრაფად იცვლიდა სიმაღლეს, – ხან ცაში აიჭრებოდა, ხანაც ოკეანის ზედაპირიდან რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე მიფრინავდა. მეზღვაურები თავგანწირვით ცდილობდნენ შეჯახების თავიდან აცილებას. მიუხედავად ამისა, კამიკაძემ მაინც მოახერხა ცეცხლში გაძრომა და 15 საათსა და 15 წუთზე თვითმფრინავი ხომალდის გემბანს პირველ და მეორე ნაკვეთურებს შორის შეეჯახა. ხომალდი მაშინვე ცეცხლის ალში გაეხვია, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო ყველაფერი დაკარგული. გასაჭირში ჩავარდნილ ხომალდს საშველად საესკადრო ნაღმოსანი „კოლჰაუნი" მიუახლოვდა. შემდეგი ერთი საათის განმავლობაში ეკიპაჟი თავდაუზოგავად ცდილობდა გემის გადარჩენას. დაჭრილებს სამედიცინო დახმარება გაუწიეს. „ბუში" ჩაძირვას არ აპირებდა. 16 საათსა და 25 წუთზე მეზღვაურებმა შეამჩნიეს, რომ მათი დამცველი ამერიკის სამხედრო-საჰაერო ფლოტის თვითმფრინავები ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე სამხრეთისკენ გაფრინდნენ და დაზიანებული ხომალდები კამიკაძეების პირისპირ დატოვეს. ამ დროს ჩრდილოეთიდან თვითმკვლელთა თხუთმეტი თვითმფრინავი უახლოვდებოდა „ბუშს". მალე კამიკაძეებმა ხომალდს ალყა შემოარტყეს. ერთი მათგანი გემისკენ გაქანდა და შეჯახებისას თითქმის შუაზე გახლიჩა იგი. დანარჩენებმა ხომალდს კიდევ ერთხელ შემოუფრინეს და ახალი მსხვერპლის საძებრად გაეშურნენ. მზის ჩასვლისას ჰორიზონტზე კიდევ ერთი კამიკაძე გამოჩნდა, რომელიც ფრენისას გემის ანძების დონეზე დაეშვა და მარცხენა გვერდზე, ოდნავ წყალს ზევით შეეხო ხომალდს. „ბუშის" წუთები დათვლილი იყო.

ბოლო შეჯახების შემდეგ გემის კიჩო და უკანა ნაწილი ჰაერში ცალ-ცალკე ატივტივდა. მეზღვაურები წყალში ხტებოდნენ, წყალმა ნაკვეთურები ამოავსო და ხომალდმა ნელა იწყო ჩაძირვა. მთვარის შუქზე გადარჩენილი მეზღვაურებით მოფენილი ოკეანის ზედაპირი მოჩანდა. ფანატიკოსებთან თავგანწირულმა ბრძოლამ ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოახდინა ეკიპაჟის გადარჩენილ წევრებზე. ოფიცრებმა და მეზღვაურებმა ერთმანეთის მიყოლებით, ისტერიულად დაიწყეს სამაშველო ჟილეტების მოშორება. რაღაც ზებუნებრივი ძალით შეპყრობილნი, ისინი წარმოსახვითი თავშესაფრისკენ გაცურდნენ, რომელიც მათ ჭკუიდან შემშლელი შიშისა და კამიკაძეთა წინაშე ძრწოლისგან გაათავისუფლებდა.

33 მეზღვაური ერთმანეთის მიყოლებით დაიხრჩო.

საღამოს იგივე ბედი ეწია „კოლჰაუნსაც" (34 დაღუპული).

7 აპრილს კამიკაძე შეეჯახა ავიამზიდ „ხენკოკს", გაანადგურა 20 თვითმფრინავი და 72 მეზღვაური, დაიჭრა 82. 12 აპრილამდე მწყობრიდან იქნა გამოყვანილი 2 ავიამზიდი, 2 ლინკორი და 5 საესკადრო ნაღმოსანი.

ამ დროისთვის იაპონელებსაც მწვავე კრიზისი დაეწყოთ — მათ ახალი კამიკაძეებისთვის საკმარისი თვითმფრინავები უკვე აღარ ჰქონდათ.

15-16 აპრილს კვლავ დაზარალდა ამერიკის ფლოტი. საესკადრო ნაღმოსნებისგან „პრინგლი“ ჩაიძირა, „ლეფი“, „სინგსბი“, „ჰანტი“ და „ბრიანტი“ ძლიერ დაზიანდნენ. იმ დღეს არც ავიამზიდ „ენტერპრაისს“ გაუმართლა, მისი ეკიპაჟის 97 წევრი ორმა კამიკაძემ გამოიყვანა მწყობრიდან.

ოკინავასთან ბრძოლებისას ამერიკელებმა კამიკაძეთა შეტევების შედეგად სულ 26 ხომალდი დაკარგეს. 225 დაზიანდა (მათ შორის 27 ავიამზიდი), მაგრამ სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა: ამერიკელებმა მალე აუღეს ალღო კამიკაძეებს და წინააღმდეგობის გაწევის ძალაც მიეცათ. იაპონელმა მფრინავებმა კი აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადეს, — კამიკაძეთა 90-მა პროცენტმა მიზნამდე ვერ მიაღწია. იაპონიის გადარჩენა უკვე შეუძლებელი იყო.

**ავიამზიდ „ენტერპრაიზის“ საზღვაო ოფიცრის მოგონებიდან**

*1945 წლის აპრილი*

*„...დაახლოებით სამი წუთის შემდეგ ხომალდს მეორე კამიკაძე მიუახლოვდა. თვითმკვლელი ავიამზიდს კუნგასსა და გემბანის ასაფრენ ბილიკს შორის შეეჯახა. საინსტრუქტაჟო ნავებობაში მყოფი ადამიანების უმრავლესობა მაშინვე დაიღუპა. ტყვედ მიყვებოდა, როგორ ამოიზნიქა მის თვალწინ ავიამზიდის ასაფრენი გემბანი აფეთქებისთანავე. მე სხვა ოფიცრებთან ერთად შტაბიდან შესაცვლელად ჩამოსული მფრინავებით გაჭენილ დერეფანში გავვარდი. კვამლისგან არაფერი ჩანდა. იდგა ბენზინის მძაფრი სუნი. ჩვენ ხანძრის ჩაქრობას შევეცადეთ. ჩემ გვერდით აღმოჩნდა გემზე დამკვირვებლად მყოფი ინგლისელი. ეს ჯენტლმენი ბინძური სიტყვებით ივინებოდა და ხანძრის სასწრაფოდ ჩასაქრობად მოგვიწოდებდა. ხანძრის კერების ლოკალიზაცია მხოლოდ საღამოს ექვსი საათისთვის მოხერხდა. ხომალდს მხოლოდ 10 კვანძი სიჩქარის განვითარება შეეძლო. ცეცხლი ისევ ბოლავდა და ჩვენ კამიკაძეების შეტევის გამეორებისა გვეშინოდა.*

*ავიამზიდს სახიფათო ზონიდან სწრაფად გაცლის საშუალება არ ჰქონდა, მისი ვიზუალურად აღმოჩენა კი კვამლის ზოლის მეშვეობით რთული არ იყო.*

*ხანძრის ჩაქრობა მხოლოდ მეორე დღის დილით მოხერხდა. მხოლოდ მას შემდეგ მომიწია ანგარის გემბანზე ჩასვლამ, აქ ყველაფერს კვამლის თხელი აპკი ჰქონდა გადაკრული. ირგვლივ დამწვარი გვამები ეყარა. კამიკაძის შეჯახებამ წერტილი დაუსვა ჩვენს საომარ „მივლინებას“.*

## წარსულის ლანდები

კამიკაძის ჩაძირული უკანასკნელი ამერიკული ხომალდი საესკადრო ხომალდი „კალაგენი“ იყო. იგი 1945 წლის 29 ივლისს დაიღუპა. 15 აგვისტოს კი იმპერატორმა ხიროხიტომ იაპონიის კაპიტულაცია გამოაცხადა. ამავე დღის საღამოს კამიკაძეთა კორპუსის შტაბის ოფიცერთა და მეთაურთა უმრავლესობა თავის უკანასკნელ გზაზე გაფრინდა. ვიცე-ადმირალმა ონისი ტაკიძირომ იმავე დღეს ჩაიტარა ხარაკირი.

ასე დამთავრდა კამიკაძეთა ეპოპეა.

პილოტ-თვითმკვლელთა ბრძოლაში გამოყენება ერთობ ეფექტიანი აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ მათი იერიშები შედარებით მცირე დროს გრძელდებოდა. სწორედ კამიკაძეთა წილად მოდის ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდებზე ჩატარებული იერიშების ერთი მეხუთედი და მთლიანად მეორე მსოფლიო ომში ამერიკის მიერ დაკარგული ხომალდების ნახევარი.

ამერიკელებმა ომის შემდგომ გამოაქვეყნეს დანაკარგების ჩამონათვალი: თვითმკვლელთა ესკადრილიებმა ჩაძირეს 34 ამერიკული ხომალდი, 288 კი სერიოზულად დააზიანეს. იაპონური წყაროების მიხედვით კი ომის ბოლო ეტაპზე კამიკაძეების ანგარიშზეა წყნარ ოკეანეში ამერიკელების დანაკარგების 80 პროცენტი.

1944-1945 წლებში უკანასკნელ გზაზე გაფრინდა და უკან აღარ დაბრუნებულა 3913 მფრინავი თვითმკვლელი.

იაპონური სიტყვა „კამიკაძე“ მრავალმა ენამ შეისისხლხორცა, ხოლო რამდენიმე ხნის წინ გაიელვა მსოფლიოს ცხელი წერტილებიდან მოსულ ინფორმაციაშიც. 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ კი ცივილიზებულ სამყაროში კვლავ გამოჩნდა ამჯერად არაბული წარმოშობის მფრინავ-თვითმკვლელთა აჩრდილი, რომელმაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და მილიონების სულებში შიში ჩაასახლა.

დღეს ტერორისტ-კამიკაძის იარლიყს ადვილად აკერებენ პალესტინელ რადიკალებს, ტამილელ „ვეფხვებს“, თუნდაც ჩეჩენ სეპარატისტებს. მათ შორის მსგავსება, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ ერთი არსებითი განსხვავების დავიწყება არ შეიძლება: იაპონელი მფრინავები ტერორისტები არ ყოფილან, ისინი ჯარისკაცები იყვნენ, რომლებიც შეგნებულად მიდიოდნენ სიკვდილზე.

თავად იაპონიაში კი დღეს კამიკაძეებს იხსენებენ როგორც უცხო, წარსულში სამუდამოდ ჩაძირულ მოვლენას. იაპონიის პრემიერ-მინისტრი მშვენივრად უთავსებს ერთმანეთს იასუკუნის ტაძარში სიარულსა და განცხადებებს, რომ იგი „თხემით ტერფამდე პროამერიკელია“, ხოლო მფრინავთა საბრძოლო სულის განმამტკიცებელი თავსახვევ-ხატიმაკები ტურისტთა სუვენირებადაა ქცეული. თანამედროვე იაპონელთა უმრავლესობას ნაკლებად აინტერესებს წარსული დროის გმირები, ისინიც კი, ვინც უკვდავ ღმერთებად არიან აღიარებულნი.




*P. S. და მაინც, თითოეული იაპონელის სულში საუკუნეებიდანვეა ჩაბუდებული სამურაის სული. „თხემით ტერფამდე პროამერიკელობა“ საკუთარი ტრადიციების უხეში უარყოფის გზაზე დადგომას ნიშნავს, რომელსაც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე კონსერვატორული ერი არასოდეს აჰყვება. ვინ იცის, იქნებ დადგეს დრო და ამომავალი მზით დამშვენებულმა ხატიმაკებმა პირვანდელი მნიშვნელობა შეიძინონ.*



# КА-50 Черная Акула

ეროვნული ბიბლიოთეკა





**Ka-50-ს ღირსებების მიუხედავად, რუსეთი მაინც არ იღებს მას შეიარაღებაში**

# „შავი ზვიგენის“ უიღბლო ისტორია

„12 მლნ დოლარად მოგყიდით თითო „შავ ზვიგენს“. ისე კი, იცოდეთ, რომ პირველი ქართველი ხართ, ვინც ამ შვეულმფრენში ჩაჯდა“, — უთხრა ამ სტატიის ავტორს Ka-50 ЧЕРНАЯ АКУЛА-ს გენერალურმა კონსტრუქტორმა სერგეი მიხეევმა 1997 წელს, ჟუკოვსკში, საერთაშორისო ავიაკოსმოსურ გამოფენაზე МАКС-97-ზე.

გამოფენაზე განცალკევებით მდგარ „შავ ზვიგენს“ ვიდეოკამერით ჯერ შორიდან ვიღებდი, შემდეგ გავთამამდი და ახლო მანძილიდან მისი დეტალური გადაღება გავაგრძელე. შვეულმფრენის ჩრდილში მაგიდასთან მჯდომმა წარმოსადეგმა მამაკაცმა თავისთან მიმიხმო. როდესაც გაიგო თბილისიდან ვიყავი, მაშინვე წითელი ღვინო მოატანინა და არც საქართველოს სადღეგრძელოს დალევა დაივიწყებია. საუბარში ნელ-ნელა გავუთამამდი და შეპარვით ვკითხე, თუკი საქართველოს ხელისუფლებამ მოისურვა „შავი ზვიგენის“ შეძენა, რამდენად იქნება ეს შესაძლებელი-მეთქი. იმედი არ მქონდა, რომ ზუსტ პასუხს მივიღებდი, მით უმეტეს, „შავი ზვიგენები“ თავად რუსეთის საარმიო ავიაციის შეიარაღებაშიც არ იყვნენ.

სერგეი მიხეევმა დაუფარავად დამისახელა ის თანხა, რომლის გადახდის შემდეგ ლეგენდარული „შავი ზვიგენები“, შესაძლოა, მართლაც აღმოჩენილიყვნენ ქართული არმიის განკარგულებაში, მაგრამ 12 მლნ დოლარი 1997 წელს საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო ბიუჯეტის თითქმის ნახევარი იყო. გარდა ამისა, მიამიტობა იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ რუსეთის ხელისუფლება საქართველოს თანამედროვე საბრძოლო შვეულმფრენებს მიჰყიდდა...



„შავი ზვიგენი“ ჩეჩნეთის მთებში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მახლობლად



Ka-50 Вихрь-ის ტიპის მართვად რტანკსაწინააღმდეგო რაკეტას 8 კმ-ის სიშორეზეც ზუსტად არტყამს





„შავი ზვიგენი“ პირველად, დაუსწრებლად, ზუსტად 10 წლით ადრე, 1987 წელს გავიცანი. მაშინ Ka-50 ძალზე გასაიდუმლოებული პროექტით იქმნებოდა და მის შესახებ სპეციალისტების მხოლოდ ძალიან შეზღუდულმა წრემ იცოდა. მე იმ დროს სავალდებულო-სამხედრო სამსახურს გავდიოდი საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალების ერთ-ერთ საავიაციო ნაწილში. ერთმა კურსანტმა, რომლის მამაც „შავი ზვიგენის“ შექმნაში მონაწილეობდა, საიდუმლოების შენახვის პირობით ფურცელზე ფანქრით დახატული მომავალი „შავი ზვიგენის“ ნახაზი მომცა. მოგვიანებით, როდესაც ნახაზი რეალურ „შავ ზვიგენს“ შევადარე, განსხვავება თითქმის ვერ აღმოვაჩინე...

მართალია, ქართული არმიისთვის „შავი ზვიგენის“ „ყიდვა“ ვერ მოვახერხე, მაგრამ ის მაინც გავარკვიე, რას წარმოადგენდა ასე რეკლამირებული ახალი რუსული საბრძოლო შვეულმფრენი Ka-50 ЧЕРНАЯ АКУЛА.

ამ შვეულმფრენზე ახლაც ბევრს ლაპარაკობენ, ზოგჯერ მართალს, ზოგჯერ – ტყუილს. „შავი ზვიგენის“ საზოგადოებაში პოპულარიზაციას ამავე სახელწოდების მხატვრულმა ფილმმაც შეუწყო ხელი, სადაც შვეულმფრენის გენერალური კონსტრუქტორი სერგეი მიხეევი ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს.

ახალი საბრძოლო შვეულმფრენის შექმნის იდეა მოსკოვში მას შემდეგ დაიბადა, რაც საბჭოთა სამხედრო დაზვერვამ მოი-



„შავი ზვიგენი“ ურთულეს პილოტაჟურ ფიგურას — „კასრს“ ასრულებს



ორადგილიანი Ka-52 Аллигатор

ეროვნული ბიბლიოთეკა




„შავი ზვიგენის“ პირველი აფრენა. შვეულმფრენის ბორტზე კარგად ჩანს უცხოელი მზვერავების დასაბნევად მიხატული კარი და მეორე პილოტის ადგილი...

**ჩვენი დოსიე:** Ka-50 ЧЕРНАЯ АКУЛА-ს მაქსიმალური ასაფრენი მასა 10,8 ტონაა, სიგრძე 13,5მ, ხრახნის დიამეტრი კი 14,5მ; ფრენის მაქსიმალური სიჩქარე 390 კმ/სთ-ს აღწევს, კრეისერული კი 270 კმ/სთ-ია; მოქმედების რადიუსი 460 კმ-ია, პრაქტიკული გადაფრენის მანძილმა შეიძლება 1160 კმ შეადგინოს (დამატებითი საწვავის ავზებით); სწრაფაღმასვლა წუთში 600 მ-ს უტოლდება; აფრენის პრაქტიკული „ჭერი“ 5500 მ-ია, სტატისტიკური „ჭერი“ კი — 4000მ; „შავ ზვიგენს“ ორი აირტურბინიანი ძრავა აქვს, თითოეულის სიმძლავრე 2200 ცხ.ძ-ის ტოლფასია.

პოვა ინფორმაცია, რომ ამერიკელები AH-64A Apache-ს შექმნაზე მუშაობდნენ.

საბჭოთა საბრძოლო Ми-24, რომელიც 1970 წლიდან იწარმოებოდა, ახალ „აპაჩს“ ღირსეულ მეტოქეობას ვეღარ გაუწევდა. ამიტომაც საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა კონკურსი ახალი საბრძოლო შვეულმფრენის შექმნაზე. ერთმანეთს მილის ფირმის Ми-28 და კამოვის ფირმის Ka-50 დაუპირისპირდნენ.

შორს წაგვიყვანს ყველა იმ პერიპეტიის გახსენება, რომელიც კონკურსს წინ უძღოდა. მილის Ми-28, ფაქტობრივად, ამერიკული „აპაჩის“ მსგავსი გამოვიდა, ოღონდ უფრო დიდი მასშტაბის, რადგან საბჭოთა რადიოელექტრონული აპარატურა ამერიკულზე გაცილებით „წარმოსადეგი“ იყო. კამოვის ფირმამ Ka-50-ის დაპროექტებისას აბსოლუტურად ახალი, რევოლუციური გზა აირჩია.

Ka-50-ის ეკიპაჟი მხოლოდ ერთი პილოტისგან შედგება, რაც მანამდე შეუძლებლად ითვლებოდა. პილოტი კატაპულტირებად სავარძელზე ზის, რაც ასევე პირველად დაუშვეს სერიული შვეულმფრენების პრაქტიკაში. „შავი ზვიგენი“, ისევე როგორც კამოვის ფირმის სხვა შვეულმფრენები, თანაღერძული კონსტრუქციის ხრახნებითაა აღჭურვილი. მილის ფირმის Ми-8 და Ми-24 ტიპის შვეულმფრენებისგან განსხვავებით (ისევე როგორც ამერიკული „კობრისგან“, „აპაჩისგან“ თუ „შავი ქორისგან“ განსხვავებით), „შავ ზვიგენს“ არ სჭირდება კუდის ხრახნი. ეს კი ამცირებს საბრძოლო დაზიანების ალბათობას. მისი ორივე ძრავა ერთმანეთისგან განცალკევებით ფიუზელაჟის ბორტებზეა განთავსებული, მაშინ როდესაც Ми-8-საც და Ми-24-საც ერთმანეთს მიტყუპებული ორივე ძრავა „თავზე“ აქვთ დაყენებული. შესაძლოა, ასეთ დროს ერთმა ჭურვმა ორივე ძრავა გამოიყვანოს მწყობრიდან.

„შავი ზვიგენის“ პირველი ეგზემპლარების სანავიგაციო და დასამიზნებელი რადიოელექტრონული აპარატურა თითქმის იდენტური იყო გაუმჯობესებულ Су-25Т-ზე არსებულზე. ეს კი არა და, თავიდან „შავი ზვიგენის“ ცხვირი და პილოტის კაბინა საერთოდ Су-25-დან უნდა გადმოეღოთ. ერთობლივი გამოცდების დროს Ka-50-მა დაჯაბნა კიდეც Ми-28.

Ka-50-ის სერიული წარმოების დასაწყებად 1984 წელს გაიცა ბრძანება მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებაზე არსენიევის საავიაციო ქარხანაში, შორეულ აღმოსავლეთში, მაგრამ გავიდა წლები და „შავი ზვიგენების“ სერიულ წარმოებას საშველი არ დაადგა.

1995 წელს რუსეთის პრეზიდენტ ელცინის ბრძანებით Ka-50 მიიღეს რუსეთის არმიის შეიარაღებაში, მაგრამ როგორც შემდგომ გაირკვა, მხოლოდ ქაღალდზე. ამ დროისთვის გამოშვებული იყო მხოლოდ 16 ცალი „შავი ზვიგენი“.

გადის კიდევ ათი წელი და 2005 წლის ბოლოს, რუსეთის უკვე ახალი პრეზიდენტის, პუტინის ბრძანებით, რუსეთის არმიის შეიარაღებაში არა Ka-50-ს, არამედ მისი ძველი კონკურენტის მოდიფიკაციას, Ми-28Н-ს იღებენ.

ასე არ გაუმართლა პირველი აფრენიდან (1982 წ.) 24 წლის განმავლობაში „შავ ზვიგენს“, მაგრამ მის გენერალურ კონ-




თურქული ტენდერისთვის დამზადებული Ka-50-2 ERDOGAN

**ჩვენი დოსიე:** „შავი ზვიგენის“ შეიარაღებაში შედის ერთი 30მმ კალიბრიანი ავტომატური ქვემეხი (ისეთივე, როგორც ქვეით საბრძოლო მანქანა БМП-2-ზე) 460 ჭურვის მარაგით. საბრძოლო დატვირთვის მასამ შესაძლოა 2000კგ შეადგინოს. შვეულმფრენის ფრთებზე არსებულ ოთხ პილონზე კიდებენ 12 ცალ ტანკსაწინააღმდეგო მართვად რაკეტებს ВИХРЬ-ებს ან „ჰაერი-ჰაერი“ კლასის ИГЛА-В ტიპის 4 საზენიტო რაკეტას, ასევე უმართავი საავიაცო რაკეტების გასაშვებ უნივერსალურ ბლოკებს, საავიაციო ბომბებს ან სპეციალურ კონტეინერებს ქვემეხებითა და ტყვიამფრქვევებით.









„შავი ზვიგენისა“ და „ალიგატორის“ კაბინები

სტრუქტორს ფარ-ხმალი არ დაუყრია. Ka-50-2 „Erdogan“ სპეციალურად თურქული ტენდერისთვის შეიქმნა. თავდაპირველად, თურქები 145 საბრძოლო შვეულმფრენის ყიდვას გეგმავდნენ და უპირატესობა გაუმჯობესებულ ამერიკულ AH-12 King Kobra-ს მიანიჭეს, მაგრამ გარიგება მალე ჩაიშალა სხვადასხვა მიზეზის გამო და თურქეთის არმიას დღემდე არ შეუძენია არც ერთი ახალი საბრძოლო შვეულმფრენი.

„შავი ზვიგენის“ ორადგილიანი მოდიფიკაცია Ka-52 Аллигатор-ი განკუთვნილია როგორც სადაზვერვო, ისე საბრძოლო ოპერაციების ჩასატარებლად. ის „შავ ზვიგენზე“ ძვირი ღირს. ტაქტიკური ჩანაფიქრით, ბრძოლის ველის თავზე მოდარაჯე ერთმა „ალიგატორმა“ თავისი თანამედროვე რადიოელექტრონული აპარატურით უნდა აღმოაჩინოს მოწინააღმდეგის რამდენიმე სამიზნე და მონაცემები ციფრული სახით გადასცეს ოთხ „შავ ზვიგენს“. „ალიგატორი“ ერთგვარი საჰაერო მართვის ცენტრი გამოდის, მაგრამ „ავაქსისგან“ განსხვავებით თავადაც შეუძლია ზუსტი სარაკეტო დარტყმის მიყენება.

„შავი ზვიგენის“ პირველი რეალური საბრძოლო ნათლობა 2001 წლის 6 იანვარს შედგა ჩეჩნეთის მეორე ომში. ჩეჩნეთში ორი Ka-50 საიდუმლოდ ჩაიყვანეს. მათ ჩეჩნეთის მთებში რამდენიმე საბრძოლო გაფრენა შეასრულეს და ბევრად უფრო ეფექტიანად, ვიდრე „ნიანგებმა“ – Ми-24-ებმა. მოსკოვის ბრძანებით, ექსპერიმენტი მალე შეწყდა, რადგან ეშინოდათ, ჩეჩნებს არ ჩამოეგდოთ „შავი ზვიგენი“, რასაც საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვებოდა.

„შავი ზვიგენის“, ისე როგორც მისი მოდიფიკაციების და საერთოდ, თანაღერძულახრახნიანი შვეულმფრენების, მთავარი ნაკლი შემდეგში მდგომარეობს – მკვეთრი მანევრირების დროს ზედა და ქვედა ხრახნები (რომლებიც ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით ტრიალებენ), შესაძლოა, ერთმანეთს წამოედონ, რაც შვეულმფრენის კატასტროფას იწვევს.

ეს პრობლემა მით უმეტეს აქტუალურია საბრძოლო „შავი ზვიგენისთვის“, რომელიც შვეულმფრენებისთვის უჩვეულო მანევრირების უნარს ამჟღავნებს. დღემდე სამი „შავი ზვიგენი“ ჩამოვარდა ამ ნაკლის გამო. ეტყობა, ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი, უპირატესობა Ми-28H Ночной Охотник-ს რომ მიანიჭეს.

რაკი 24 წლის განმავლობაში საბრძოლო შვეულმფრენი სერიულ წარმოებაში არ ჩაუშვეს, ჩანს, მისი ბედი გადაწყვეტილია. მიუხედავად ამისა, „შავი ზვიგენის“ შემქმნელები იხტიბარს არ იტეხენ და თავიანთი უილბლო ქმნილების სრულყოფას აგრძელებენ.

*ირაკლი ალადაშვილი*



„შავი ზვიგენის“ დამმარცხებელი კონკურენტი Ми-28H

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელგანთქმული ინგლისელი მეიარაღის ჩარლზ უილიამ ლანკასტერის (**Charles William Lancaster**) ლვაწლი იარაღის მოყვარულთა და დამფასებელთა შორის მთელ მსოფლიოშია ცნობილი.

# ინგლისელი მეიარაღის შეგონებანი



სწორედ ლანკასტერი ითვლება ცენტრალური დარტყმის პირველი სანადირო იარაღის შემქმნელად – 1852 წელს მან ცენტრალური დარტყმის ვაზნის სასროლი თოფი გააკეთა. ვაზნაში დამრტყმელი შემადგენლობა მასრის ფსკერის შუაგულში იყო განთავსებული. მოგვიანებით ლანკასტერმა შექმნა სანადირო თოფის კონსტრუქცია, რომლის საკეტსაც ზამბარათა განსხვავებული დაჭიმულობა და ჩახმახების ფეხზე შეყენების (საომარ მზადყოფნაში მოყვანის) სისტემა ჰქონდა. მანვე დაამუშავა და დააპატენტა თოფის ლულის ოვალურად გაჩარხვის სისტემა. ასეთი თოფები საბრძოლო თვისებებით ცილინდრულ ლულებიან თოფებს არ ჩამორჩებოდა.

ლანკასტერი სანადირო თოფების გამოგონებასა და მის წარმოებას წარმატებით უთავსებდა თეორეტიკოსობას ბალისტიკასა და სამონადირეო სროლის საქმეში.

1888 წელს დაიბეჭდა მისი წიგნი „სამონადირეო სროლის ტრაქტატი". შესაძლოა, ჩვენმა მკითხველმა იფიქროს, რა სარგებლობის მოტანა შეუძლია 120 წლის წინ დაწერილი წიგნის წაკითხვას, როცა ნადირობის თემაზე გამოცემული უამრავი თანამედროვე წიგნი და ცნობარი არსებობსო, მაგრამ წიგნის გაცნობისას ნათელი ხდება, რომ ინგლისელი მეიარაღის დაკვირვებები, გამოთვლები და რჩევები დღესაც აქტუალურია. მის რეკომენდაციებს კარგი სამსახურის გაწევა შეუძლია როგორც ახალბედა, ისე გამოცდილი მონადირეებისთვის.

შევეცდებით მოკლედ გადმოგცეთ ჩარლზ ლანკასტერის შეგონებანი სამონადირეო იარაღის სროლის მოყვარულთათვის.

ავტორი წიგნში ჩამოთვლის იმ თვისებებს, რომლებიც მეტ-ნაკლებადაა საჭირო შედეგიანი სროლისთვის.

უპირველეს ყოვლისა, კაცი, რომელსაც სურს, რომ მისგან საშუალო მსროლელი მაინც დადგეს, ნათლად უნდა ხედავდეს 60-70 ნაბიჯის რადიუსში.

კარგი სროლისთვის აუცილებე-

სურ. II ა.




სურ. VII

ლი ეს თვისება თანდაყოლილია, დანარჩენი ოთხი კი მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომია ყველასთვის. მაგალითად, სივრცის შეგრძნება, — მიზნამდე მანძილის განსაზღვრის, მისი მოძრაობის სიჩქარის დადგენის, სივრცეში იმ წერტილის მოძებნის უნარი, სადაც უნდა გაიგზავნოს ტყვია მიზნის დასაზიანებლად.

სამონადირეო სროლის დროს არანაკლებ მნიშვნელოვანია დროის ოპტიმალურად შეგრძნება, — ჩახმახის დროული დასხლეტა. ზედმეტად დაძაგრული სასხლეტი, რომლის დაცემასაც ძალა ადგება, შესაძლოა, ზუსტი სროლისთვის შემაფერხებე-


სურ. IV


სურ. VI


სურ. II ბ.

ლი აღმოჩნდეს. და ბოლოს, შედეგიანი სროლისთვის აუცილებელია იარაღის მორგება (კონდახისა მხარზე), მაგრამ როგორ დავრწმუნდეთ, მორგებული გაქვთ თუ არა თოფი? ლანკასტერი გვირჩევს შემდეგი ხერხი გამოვიყენოთ: კედელზე სამიზნედ მივამაგროთ ქაღალდის ნაგლეჯი, დავიხიოთ უკან რამდენიმე ნაბიჯით და ისე, რომ სამიზნეს თვალი არ მოვაცილოთ, სწრაფი მოძრაობით სასროლად შევმართოთ თოფი. თუ იარაღი კარგად გაქვთ მორგებული, სამიზნე წერტილი ყოველი ცდისას ქაღალდის ცენტრში აღმოჩნდება; თუ სამიზნე წერტილი მუდმივად ქაღალდის ზემოთ ფიქსირდება, ესე იგი თქვენი თოფის კონდახი ზომაზე მეტად სწორია; თუ სამიზნე წერტილი ქვემოთ ფიქსირდება — კონდახი ზომაზე მეტად მოხრილია; თუ სამიზნე წერტილი ქაღალდის მარჯვნივ ფიქსირდება, კონდახი მარცხნივ შეზნექას მოითხოვს; თუ სამიზნე წერტილი მარცხნივ ფიქსირდება — კონდახი მარჯვნივაა შესაზნექი; თუ სასროლად შემართვის დროს კონდახი ტანსაცმელს ედება, ესე იგი ზომაზე მეტად გრძელია და მისი დამოკლებაა საჭირო.

მაღალ ადამიანს უფრო გრძელი და მოხრილი კონდახი მოერგება,


სურ. X


სურ. V

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდრე შედარებით დაბალს; ტანსრული და მხრებგანიერი მონადირის თოფის კონდახი მარჯვნივ უნდა იყოს შეზნექილი, ხოლო გამხდარისა და ვიწრომხრებიანისა — პირიქით.

უმრავლესობა სროლისას მარცხენა თვალს არ ხუჭავს, მიუხედავად იმისა, რომ შედეგს მონადირე მხოლოდ ცალთვალმოხუჭული მიაღწევს. თუმცა იმ შემთხვევაში, როცა მარცხენა თვალი წარმმართველია (წამყვანია), მონადირე იშვიათად თუ მოახვედრებს მიზანს. შესაძლოა, წარმმართველ თვალს ნაკლები სიმხვილე ჰქონდეს, ვიდრე არაწარმმართველს, ამიტომ ის არ უნდა ავურიოთ იმ თვალში, რომელიც უკეთესად ხედავს. ეს თვისება წინასწარ არაფერს მიგვანიშნებს: წარმმართველი თვალი არის ის, რომელიც სივრცეში გამოარჩევს საგანს, მეორე თვალისგან დამოუკიდებლად.

იმის გასარკვევად, რომელი თვალია წარმმართველი, ავიღოთ რგოლი, დავიკავოთ გაშლილი ხელით წინ და დავუპირისპიროთ რომელიმე საგანს ისე, რომ რგოლში ეს საგანი ორივე ღია თვალით კარგად ჩანდეს. შემდეგ დავხუჭოთ ჯერ ერთი თვალი, შემდეგ — მეორე. როცა ერთ-ერთი თვალის დახუჭვის შემდეგ საგანი რგოლს მიღმა აღმოჩნდება, სწორედ ის თვალია წარმმართველი.

## როგორ უნდა დადგეთ, რომ მიზანს მოახვედროთ

წიგნის ავტორი გვირჩევს მარცხენა ფეხი წინ წავდგათ და ტანის სიმძიმე მასზე გადავიტანოთ. ფეხზე მჭიდროდ, თავისუფლად, მუხლმოუხრელად ვიდგეთ: თოფი მარჯვენა ხელის კონდახის ყელით გვეჭიროს, მარცხენათი კი თოფის ლულებსა და ლარტყს შორის გვეკიდოს თითქმის გაჭიმული ხელი. როცა თოფს სასროლად შევმართავთ, მარცხენა ხელის წინ წაწევა არ ივარგებს, რადგან ლულები გვერდზე გადაიხრება.

თუ მდგომარეობა უკიდურესად მარცხენა ან საწინააღმდეგო მხარეს მოითხოვს, შესაბამის მხარეზე მიბრუნების დროს მარჯვენა ფეხი უმოძრაოდ უნდა დარჩეს, მხოლოდ მარცხენა შეიცვლის ადგილს. სასროლად თოფის შემართვის დროს კონდახი მჭიდროდ მიიდგით მხარზე. ხშირად სიჩქარის გამო კონდახი მხარზე არასაკმარის სიმაღლეზე ფიქსირდება, რის გამოც ხშირია აცდენა, განსაკუთრებით, დაბლამფრენ ფრინველებზე. თუ მონადირე არასწორ ადგილზე დგას, მარჯვენა ფეხი გაცილებით მაღლა უნდა დადგას, ამით მისი ტანი წინ გადაიხრება და პირველი ლულიდან გასროლის შემდეგ წარმოქმნილი უკუდარტყმა მას წონასწორობიდან ვერ გამოიყვანს, რაც შედეგიან მეორე სროლასაც განაპირობებს.

„სამონადირეო სროლის ტრაქტატში“ ლანკასტერი დაწვრილებით აღწერს ნადირობის დროს სხვადასხვა მდგომარეობაში სროლის ტექნიკას. თვით სროლას კი შემდეგი კლასიფიკაციით ალაგებს:

### I. ვერტიკალური (სამეფო) სროლა

ერთ-ერთი ყველაზე მარჯვე და უტყუარი (ხელმისაწვდომია ფრინველის სხეულის ყველაზე დაუცველი ადგილები — კისერი და მკერდი) გასროლაა. მონადირე შორიდან ხედავს ფრინველს და სროლისთვის ემზადება. მონადირეთაგან არცთუ ბევრმა იცის სამეფო სროლა: იგი საკმაო ცივსისხლიანობასა და სპეციფიკურ ჩვევებს მოითხოვს, რომლებიც წინასწარი ვარჯიშებითა და პრაქტიკით გამომუშავდება. ვერტიკალური სროლის აცდენა ჩვეულებრივ იმის შედეგია, რომ თოფი ჩახმახის დასხლეტის დროს მონადირის უნებურად წამიერად ყოვნდება, რაც საკმარისია იმისთვის, რომ ფრინველმა საფანტის წრეს გაასწროს. შედეგიანი სროლისთვის კი საჭიროა, ტანის მთელი სიმძიმე მარჯვენა ფეხზე გადავიტანოთ. მარცხენა ფეხს მხოლოდ წონასწორობის დასაცავად უნდა ვეყრდნობოდეთ და ტანით უკან გადავიწიოთ. მარცხენა ხელი ლარტყზე საცეძი მექანიზმების ახლოს უნდა გვეჭიროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თოფი მარცხნივ გადაქანდება;

### II. შემხვედრი სროლა

მონადირის მიმართულებით მოძრავ ფრინველზე სროლისას სამ ნაირსახეობასთან გვაქვს საქმე: როცა ფრინველი მსროლელის თავზემოთ მოფრინავს — მაღალი, შემხვედრი გასროლა; ფრინველი მონადირის თვალთა დონეზე მოფრინავს — პირდაპირი შემხვედრი გასროლა; როცა ფრინველი მონადირის თავქვემოთ მოფრინავს — დაბალი შემხვედრი გასროლა.

**ა) მაღალი შემხვედრი გასროლა**

ასეთი გასროლით ფრინველის დასაზიანებლად უნდა გავუსწროთ მას. როცა ფრინველს სამიზნე წერტილზე დავიჭერთ, ლულებით დავფაროთ და სასხლეტს გამოვკრათ, ამავე დროს თოფის მიყოლებითი მოძრაობა არ უნდა შევწყვიტოთ.

**ბ) შორი მაღალი შემხვედრი გასროლა**

ახლო გასროლასთან შედარებით გაცილებით ადვილია. თუ თოფს სროლის მომენტში შევაჩერებთ და არ გავაყოლებთ ფრინველს, საფანტი მის უკან ჩაივლის, როგორც ეს ვერტიკალური გასროლის დროს ხდება.

**გ) პირდაპირი შემხვედრი გასროლა**

როცა ფრინველი პირდაპირ მონადირისკენ, მის დონეზე მიფრინავს. ასეთ შემთხვევაში მას პირდაპირ უნდა დავუმიზნოთ (ოღონდ სამიზნე წერტილზე არ უნდა დავსვათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, საფანტი ქვემოთ გაივლის) და სამიზნე წერტილის დაფარვისთანავე დავსხლიტოთ ჩახმახი, ისე, რომ ძალიან ახლოს არ მოვუშვათ;

**დ) დაბალი შემხვედრი გასროლა**

ეს გასროლა პირდაპირ გასროლასთან შედარებით გაცილებით ძნელია. ამ დროს ფრინველს ქვემოთ უნდა დავუმიზნოთ, ისე, რომ მას სამიზნე წერტილის ზემოთ ვხედავდეთ. ამ გასროლის დროს აცდენების მიზეზი ყველაზე ხშირად მანძილის არასწორად განსაზღვრას მოსდევს, — ან ძალიან შორიდან ესვრიან, ანდა პირიქით. გარდა ამისა, ხშირად მონადირეები თოფის კონდახს არასაკმარისად მაღლა ირგებენ სასროლად შემართვის დროს, რაც ზუსტად დამიზნებას უშლის ხელს.

### III. მიდევნებითი სროლა

ნადირობისას ხშირად გვიხდება მიდევნებითი სროლა, როცა ფრინველი გვერდით ჩაგიქროლებს. თუ ამ დროს იგი მაღლა მიფრინავს, მისი მოპოვება ადვილია. დავსვათ სამიზნე წერტილზე და ის ჩვენი თვალთახედვის არეში კარგა ხანს იქნება, გასროლის მომენტის შერჩევალა იქნება საჭირო. თუ ფრინველი დაბლა მიფრინავს, მის დასაზიანებლად დამიზნების დროს ლულებით დაფარვაა საჭირო, რაც ერთობ ძნელია და ხანგრძლივ პრაქტიკულ ვარჯიშებს მოითხოვს. ჩვეულებრივ ამ დროს პირდაპირ ფრინველს უმიზნებენ, რაც უმეტეს შემთხვევაში უარყოფით შედეგს იძლევა.

### IV. გასწვრივი, ანუ გვერდითი სროლა

გასწვრივი, ანუ გვერდითი სროლა ადვილია. უნდა გვახსოვდეს, რომ მოძრავ ფრინველს სამიზნე წერტილით უნდა გავუსწროთ და ისე დავსხლიტოთ ჩახმახი, თოფის მოძრაობა არ შევაჩეროთ. რამდენით უნდა გავუსწროთ, დამოკიდებულია მანძილზე, ფრენის სიჩქარეზე, საფანტზე, თავად მსროლელის სიმარჯვესა და მრავალ სხვა ფაქტორზე. შორეული გვერდითი სროლებით მონადირეები უფრო მეტ გარეულ ფრინველს მოინადირებენ ხოლმე. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ მონადირის გასწვრივ მოძრავ ფრინველს დაუცველი ადგილები შედარებით მოშიშვლებული აქვს.

მარჯვენა გასწვრივი სროლები მარცხენასთან შედარებით გაცილებით რთულია. ამიტომ წიგნის ავტორი გვირჩევს ამ დროს მარჯვენა ფეხით შემოვბრუნდეთ, მარცხენათი კი ნაბიჯი მარჯვნივ გადავდგათ. შორ მანძილზე გასწვრივი სროლის დროს

ავტორი გვირჩევს ფრინველს წინ, ოდნავ ზემოთ დავუმიზნოთ, რადგან საფანტი თავისი სიმძიმის ძალით ამ შემთხვევაში დაბლა დაიწევს.

## V. ნახევრად მიდევნებითი სროლა

ნახევრად მიდევნებითი ერთ-ერთი ყველაზე რთული სროლაა. ძალიან ხშირად გარეული ფრინველი აფრენისას ერთდროულად ზემოთ და გვერდით მიემართება. დამიზნებაც ასევე ზემოთ და გვერდით უწევთ მონადირეებს — როგორ და რანაირად, ეს შეიძლება თითოეული შემთხვევისთვის ცალკე განისაზღვროს. ერთის თქმა კი შეიძლება — დამიზნება ისევე შეიძლება, როგორც გასწვრივი სროლის დროს, მხოლოდ სამიზნე წერტილსა და ფრინველს შორის მანძილი რამდენადმე უნდა შემცირდეს.

## VI. მიდევნებითი გასროლა

მიდევნებითი გასროლა, ისევე როგორც შემხვედრი, სამ კატეგორიად დაიყოფა: მაღალი, პირდაპირი და დაბალი.

მაღალი მიდევნებითი სროლა ყველაზე ადვილია, ფრინველს ქვემოთ უნდა დავუმიზნოთ. პირდაპირი მიდევნებითი სროლისას ახლო მანძილზე ფრინველის მხრებზემოთ უნდა დავსვათ სამიზნე წერტილი, შორ მანძილზე კი ფრინველს თავში უნდა დავუმიზნოთ. როცა ფრინველი დაბალი ფრენით გშორდებათ, სროლისას იგი თოფის ლულებით უნდა დაფაროთ.

## VII. აფრენის დროს სროლა

როცა ფრინველი ერთბაშად ამოფრთხიალდება, ვთქვათ, როგორც ბეკასი ან იხვინჯა, ამ დროს სროლა ყველაზე ძნელია. მონადირეები ასეთ დროს ჩვეულებრივ ფრინველს უმიზნებენ, საფანტი კი მიზანს ქვემოთ მიდის, რადგან წამოვარდნილ ფრინველს დიდი სიჩქარე აქვს. ამ დროს, როგორც ძველი მონადირეები იტყვიან, ლულაში უნდა გაახვიო ფრინველი და მაშინვე დასხლიტო ჩახმახი.

## VIII. დაბლა მფრენ ფრინველზე სროლა

აფრენის დროს სროლაზე კიდევ უფრო ძნელია, ამ დროს ფრინველს ქვემოთ უნდა დაუმიზნო.

## IX. სროლა თოფის მოულოდნელად შემართვის დროს

მონადირეს ვითარება ხშირად აიძულებს, სწრაფად შემართოს იარაღი სასროლად. განსაკუთრებით, ბეკასებსა და ტყის ქათმებზე ნადირობისას. იმისთვის, რომ ასეთ მდგომარეობაში შედეგიანად გაისროლოთ, თოფი კარგად უნდა გქონდეთ მორგებული. გარდა ამისა, გასროლა გაცილებით გაგიადვილდებათ, თუ ტანს ოდნავ წინ გადახრით. მონადირე, რომელსაც დიდხანს დამიზნება სჩვევია, ვერასოდეს დაეუფლება ასეთ გასროლას, ვიდრე ის მონადირე, რომელიც მიზანს თვალმოუცილებლად, სწრაფად ესვრის.

მოულოდნელი შემართვის დროს სროლას ხშირი აცდენა ახლავს, მაგრამ ასეთი გასროლის შემდეგ ხეებს შორის წამიერად გაელვებული ბეკასის ან ტყის ქათმის ჩამოვარდნის სიამოვნებას ვერაფერი შეედრება.

## X. გაქცეულ ნადირზე ან ფრინველზე სროლა

ასეთ ვითარებაში მონადირემ ზუსტად ისევე უნდა დაუმიზნოს, როგორც დაბლამფრენ ან შემხვედრად მოძრავ ფრინველს. პირველ შემთხვევაში მიზანი ლულებით უნდა დაიფაროს, მეორე შემთხვევაში კი მის ქვემოთ დავუმიზნოთ. კურდღლებზე გასწვრივი სროლებისას უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი მკვირცხლად და სწრაფად დარბიან და გამოთვლილად უნდა დავუმიზნოთ.

## XI. დამჯდარ ფრინველზე ან გაჩერებულ ნადირზე სროლა

ამ შემთხვევაში სროლა გაცილებით ადვილია, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, როცა მოძრავ სამიზნეებზე სროლაში დაოსტატებულ მონადირეებს ხელი მოსცარვიათ. ეს იმის გამო ხდება, რომ მონადირემ კარგად არ იცის საკუთარი თოფის სხვადასხვანომრიანი საფანტის პირდაპირი გასროლის დროს მიღებული შედეგი.

სანადირო თოფები, ძირითადად, საშუალო მანძილზე, საშუალო ზომის საფანტის პირდაპირ სასროლად კეთდება. აქედან გამომდინარე, წვრილი საფანტის სროლისას იარაღის ეფექტიანობა მცირდება, მსხვილი საფანტის გამოყენებისას კი იზრდება. ახლო მანძილიდან მიწაზე მჯდომ ფრინველზე ან ცხოველზე სროლისას მათ პირდაპირ უნდა დავუმიზნოთ, ხოლო შორ მანძილზე სროლისას მაღლა უნდა დავუმიზნოთ, ზოგჯერ კი მიზნის ლულებით დაფარვაც მოგვიწევს.

ჩარლზ ლანკასტერი დეტალურად გვიხსნის არაზუსტი სროლების ბუნებასა და მის მიზეზებს. ავტორის აზრით, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არაზუსტი სროლისა არის:

1) აღელვება ფრინველის ან ნადირის დანახვისას, რომელსაც აჩქარება მოსდევს;

2) არასწორი დამიზნება;

3) ცუდი მხედველობა;

4) თოფის მოურგებლობა;

5) თანდაყოლილი ან შეძენილი ნერვიულობა, რომელსაც ხელის კანკალი, უკუცემის შიში, გასროლის დროს თვალების დახუჭვა და ჩახმახის დასხლეტის დროს ლულების დაწევა ახასიათებს.

ინგლისელი მეიარაღე მონადირის ჩაცმულობასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. სამოსის ფერი იმ გარემოსთან უნდა იყოს შეხამებული, სადაც ნადირობთ. ნაცრისფერმურა ფერები თითქმის ყველა სანადირო ადგილისთვის გამოდგება. ამის დასტურია დედამიწის საშუალო სარტყელის ცხოველთა და ფრინველთა შეფერილობა, რომელშიც სწორედ ნაცრისფერ-მურა დომინირებს. განსაკუთრებით ეს თავსაბურავის შერჩევისას უნდა გვახსოვდეს.

შედეგიანი სროლებისთვის საჭიროა ტანსაცმელი მხრების, მკერდისა და სახელოების არეში ხალვათად გადგეთ ტანზე, მოძრაობა რომ არ შეგიზღუდოთ. ტანსაცმლისთვის ქსოვილი მსუბუქი და მტკიცე უნდა შეირჩეს. არანაკლებ მნიშვნელოვანია მოხერხებული, სრული და მსუბუქი ფეხსაცმელები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნადირობა ტანჯვად გადაგექცევათ. თავსაბურავი მსუბუქი უნდა იყოს, მჭიდროდ უნდა გეხუროთ თავზე და კარგად უნდა იცავდეს თხემს, კეფას, თვალებსა და შუბლს წვიმისა და მზისგან.

იარაღის შენახვის, გაწმენდისა და მოვლის შესახებ „ტრაქტატის" ავტორი შემდეგ რჩევებს გვაძლევს: თუ ნადირობის შემდეგ იარაღის კარგად გაწმენდის საშუალება არ გაქვთ, საქმე მეორე დღისთვის უნდა გადადოთ, მაგრამ თუ იარაღი წვიმაში დაგისველდათ ან ოფლიანი ხელებით შეეხეთ, მაშინ აუცილებელია მისი რბილი, ოდნავ ზეთიანი ნაჭრით გაწმენდა. ლულის არხების გასაწმენდად ყველაზე უკეთესია მშრალი ძენძი ან ძველი ნაჭერი, რომელსაც მჭიდროდ დაახვევთ ჯოხზე. ნამწვის ნარჩენების, რომელიც ძენძით არ მოსცილდება, ლულებს ვაზელინით ან სამანქანო ზეთით გაჟღენთილი ნაჭერი მოაშორებს.

დროდადრო უნდა შემოწმდეს იარაღის მექანიზმი, რის შემდეგაც გაიწმინდოს და დაიზეთოს, საკეტი, კოლოფი, ჩახმახები და სასხლეტები ვაზელინით გაჟღენთილი ნაჭრით უნდა გაწმინდოთ.

ზედმეტი დაზეთვა საზიანოა, რადგან შესაზეთი მინერალური მასალების უმრავლესობა ჰაერთან შეხებისას იჟანგება და მყარდება, რის გამოც მექანიზმებში ხახუნის ძალა იმატებს.

ჩარლზ ლანკასტერის რჩევების დასასრულს არ შეიძლება, არ გავიხსენოთ ამ დიდი ადამიანის კიდევ ერთი და უმთავრესი შეგონება: ყოველთვის გახსოვდეთ, რომ თოფი სიკვდილის მთესველი იარაღია, ამიტომ არასოდეს მიუმარჯვოთ მისი ლულები არც ერთ ცოცხალ არსებას, რომლის სიკვდილსაც თქვენ არ ისურვებდით. უბედური შემთხვევები უნებურად და ადვილად ხდება. ამიტომ ფრთხილად მოეპყარით ცეცხლსასროლ იარაღს, მიუხედავად იმისა, გატენილია თუ არა.

# როგორ იბრძოდნენ შუა საუკუნეებში ზღვაზე



ჯვაროსანთა ლაშქრობებმა 1096-1270 წლებში ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ვითარება შეცვალა — არაბებისა და ბიზანტიელების საზღვაო სიძლიერე თანდათან დასუსტდა და ბატონობა იტალიის ქალაქების ხელში გადავიდა.

ურწმუნოებისაგან ,უფლის საფლავის გათავისუფლების სურვილით შეპყრობილი ევროპელი დიდგვაროვნები, გაღარიბებული რაინდები თუ უბრალო გლეხები იერუსალიმისაკენ დაიძრნენ. ჯვაროსნების ახლო აღმოსავლეთის ხმელთაშუა ზღვის პორტებში გადაყვანასა და ზღვაზე საბრძოლო მოქმედებებს ძირითადად იტალიის ქალაქ. რესპუბლიკების პიზას, ვენეციისა და გენუის ხომალდები უზრუნველყოფდნენ.

იტალიელებისათვის ჯვაროსანთა ლაშქრობებს დიდ ფულთან ერთად ახლო აღმოსავლეთში ვაჭრობის გაფართოება მოჰქონდა, ხოლო ვენეციამ ახალდაპყრობილ მიწებზე სავაჭრო პრივილეგიებისა და საჩუქრად ტერიტორიების მიღებას მიაღწია.

ზღვაზე პირველობის სურვილმა იტალიური ქალაქები ერთმანეთს დაუპირისპირა, სადაც მრავლად იყო სისხლიანი შეტაკებები და პოლიტიკური ხრიკები, ხანდახან კი ფული უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე რწმენა.

1202 წელს ვენეციელებმა ჯვაროსნებთან ერთად დალმაციაში მეტოქე ქრისტიანული ქალაქი ზარა დაიპყრეს; 1203 წლის 23 ივნისს ვენეციის ფლოტმა და ფრანგმა ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლი ალყაში მოაქციეს და 1204 წლის 13 აპრილს ბიზანტიის მთავარ ქალაქს კაპიტულაცია აიძულეს.

იტალიური ქალაქების ლამის სამსაუკუნოვან ომში საბოლოო გამარჯვება ვენეციის რესპუბლიკას დარჩა და ძლიერი ფლოტის წყალობით 1381 წლიდან ხმელთაშუა ზღვაში ვაჭრობისა და ნაოსნობის ცენტრად ჩამოყალიბდა.

ვენეციელები შესანიშნავი გემთმშენებლები იყვნენ და კარგ ხომალდებს აგებდნენ. ვენეციური გალერა სიგრძით 47 მეტრს აღწევდა, ხოლო ეკიპაჟი 400-მდე კაცს ითვლიდა, საიდანაც 250 მენიჩბე, 100-120 ჯარისკაცი, მათ შორის არტილერისტი, 30-50 მატროსი და ოფიცერი იყო. არტილერიის გამოჩენამდე გალერას შეიარაღებაში წყალზედა ტარანი, კატაპულტა და ბალისტა შედიოდა.

გალერას ყველაზე შესამჩნევი ატრიბუტი ცხვირიდან 6-7 მეტრით გამოწეული ნისკარტის მსგავსი წყალზედა ტარანი იყო. ანტიკური ხანიდან გადმოსულ ტარანს უკეთეს შემთხვევაში მოწინაალმდეგის ხომალდის ცხვირზე დარტყმის მიყენების ან ნიჩბების რამდენიმე რიგის დამსხვრევა თუ შეეძლო.

კატაპულტა მოწინაალმდეგის ხომალდების მიმართულებით ქვებს, ბირთვებს, ისრებსა და ცეცხლგამჩენ სითხიან ქოთნებს სტყორცნიდა. ქვები წინასწარ იხეხებოდა და მრგვალ ფორმას იღებდა, რაც სროლის ტრაექტორიას აუმჯობესებდა. კატაპულტას 30-კილოგრამიანი ქვის 400 მეტრამდე გატყორცნა შეეძლო; გასროლისათვის მზადება საკმაოდ შრომატევადი საქმე იყო (15 წუთიდან 1 საათამდე დრო სჭირდებოდა) და ბრძოლისას ხანდახან 1-2 გასროლის გაკეთება ესწრებოდა.

დიდი მშვილდისმაგვარი ბალისტა ხომალდებისა და სანაპირო სიმაგრეების მიმართულებით ქვებს, ცეცხლგამჩენ სითხიან კასრებს, მძიმე ისრებსა და სარებს 400-800 მეტრზე ისროდა. სპეციალური მიმმართველი ღარი, კატაპულტასთან შედარებით, უფრო სწორ ტრაექტორიასა და სიზუსტეს იძლეოდა.

კარგ ხომალდებს აგებდნენ ბიზანტიაში, სადაც ამის ტრადიციებს საფუძველი ძველმა ბერძნებმა ჩაუყარეს. ბიზანტიური დრომონი IV-V საუკუნეში გამოჩნდა. 43-45 მეტრი სიგრძის ხომალდის ცურვას 100 მენიჩბე უზრუნველყოფდა. იყო უფრო დიდი ხომალდებიც, რომელთაც 200 და ზოგჯერ 300 მენიჩბე ჰყავდა.

დრომონზე კიჩოსა და ზოგჯერ ანძასთან ხის სპეციალური კოშკები (ადრე აგურისგან იგებოდა) კეთდებოდა. კოშკები გარედან სველი ტყავით იფარებოდა, რათა ცეცხლი არ მოსდებოდა. მასში 150-მდე მეომარი თავსდებოდა. მეომრები მოწინაალმდეგის მიმართულებით ცეცხლმოდებულ ისრებს ისროდნენ.

ზოგიერთ დრომონზე საბრძოლო მოედანი იყო მოწყობილი, რომელზეც ჯერ კატაპულტა, მოგვიანებით კი ზარბაზნები დაიდგა. მოედანს მეისრეები და მტრის ხომალდის შტურმისათვის განკუთვნილი სააბორდაჟო გუნდებიც იყენებდნენ. საპასუხო დარტყმებისაგან მეომრებს ფარები და მოწნული ჭილოფები იცავდა.

დრომონი ძვირად ღირებული და ადვილად დასაზიანებელი ხომალდი იყო, ამიტომ მას ესკორტირებას მსუბუქი ხომალდები პანფილები უკეთებდნენ. პანფილას მთავარი იარაღი ე. წ. ბერძნული ცეცხლი იყო, რომლის შემქმნელია ბერძენი არქიტექტორი კალინიკე ქალაქ ჰელიოპოლიდან.

ბერძნული ცეცხლის რეცეპტი ბიზანტიის სამხედრო საიდუმლოებად ითვლებოდა. სავარაუდოდ, მისი დამზადებისას გამოიყენებოდა გვარჯილა, გოგირდი, ნავთი, ზეთი, ფისი და სხვა ნივთიერებები. სროლის დროს ცეცხლმოდებული პატრუქიანი თიხის ან შუშის ჭურჭლით გაიტყორცნებოდა. შემადგენლობის წყალობით ბერძნუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ცეცხლი წყალზეც იწვოდა და ჩაქრობა მხოლოდ ძმრით ან ქვიშით იყო შესაძლებელი.

ბიზანტიელებმა 678 წელს ბერძნული ცეცხლის დახმარებით პამფლიის სანაპიროსთან არაბების ფლოტი დაწვეს და ამით კონსტანტინოპოლი გადაარჩინეს.

სახომალდო არტილერია პირველად სევილიელმა და ტუნისელმა მავრებმა 1333 წელს გამოიყენეს. მაშინდელი ზარბაზანი ბომბარდა რკინის მოკლე გამოჭედილ მილს წარმოადგენდა და ქვის ბირთვებს ისროდა.

ძველი დროის ზარბაზნების კალიბრი 25-216 მილიმეტრის ფარგლებში მერყეობდა. ჭურვების წონა 200 გრამიდან 30 კილოგრამამდე ადიოდა, ხოლო სროლის სიშორე 130-დან 2300 მეტრს აღწევდა. ზარბაზნები ერთმანეთისგან კალიბრით, სიგრძით, წონითა და გარეგნულად განსხვავდებოდა და თითოეულს თავისი სახელი ერქვა.

ზარბაზნები გალერას ცხვირისა და კიჩოს ზედნაშენებზე იდგმებოდა. ბრძოლის დროს დიდი ზარბაზნებიდან ხომალდის გემბანს, ხოლო პატარებით კი — ბორტებს ესროდნენ. ეკიპაჟის მწყობრიდან გამოსაყვანად მოწინააღმდეგის ხომალდთან ჩაჭიდებისას გემბანის მიმართულებით ქვებს ან საფანტს ისროდნენ. იყო პატარა ზარბაზანი პასავოლიანტე — ბაგირზე დაკიდებული ტყვიებს რომ ისროდა.

ვენეციურ გალერებზე ზარბაზნების რაოდენობა 3-5 ერთეულიდან თანდათან 26-მდე გაიზარდა, მაგრამ დიდი უზუსტობისა და სროლის დაბალი სისწრაფის გამო (საათში 2-6 გასროლა) სახომალდო არტილერია ხანგრძლივი დროის განმავლობაში დამხმარე ფუნქციებს ასრულებდა.

ბრინჯაოსა და თუჯისგან ჩამოსხმაზე გადასვლით ზარბაზნების ხარისხი გაუმჯობესდა, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა ლულა სროლას ვერ უძლებდა, სკდებოდა და მომსახურე პერსონალს ხოცავდა. 1493 წლიდან სახომალდო არტილერია თუჯის ჭურვებზე გადავიდა, რომელსაც ქვასთან შედარებით ბევრად მეტი დამანგრეველი ძალა ჰქონდა.

XVI საუკუნის შუახანებში ვენეციელმა გემთმშენებელმა ფრანჩესკო ბრესანმა ზარბაზნების რაოდენობა 70-მდე გაზარდა და ხომალდის ბორტებში განალაგა. ასე გამოჩნდა გალეასი.

გალეასის ზედნაშენებს ცხვირსა და კიჩოზე მაღალი და სწორი ფალშბორტები ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღის სათოფეებით. 80 მეტრამდე სიგრძის ხომალდს ცურვისათვის გრძელი ნიჩბები დასჭირდა, რომელსაც ერთდროულად 6-8, ზოგჯერ 10 მენიჩბე ემსახურებოდა. ეკიპაჟი 700-დან 1300 კაცს ითვლიდა. გალეასი პირველად 1571 წლის 7 ოქტომბერს ლეპანტოს ბრძოლაში გამოიყენეს.

გალერების ეპოქაში საზღვაო ბრძოლის ბედს აბორდაჟით ბრძოლა წყვეტდა. სააბორდაჟო გუნდების მრავალფეროვან შეიარაღებაში შედიოდა: ხმლები, შუბები, ნაჯახები, დანები, არბალეტები (ზოგიერთი მეარბალეტე წუთში 12 ისრის გასროლას ასწრებდა) და სხვა ცივი იარაღი. მეაბორდაჟეთა შეტევის მოსაგერიებლად ზოგჯერ გემბანზე საპნიან წყალს ღვრიდნენ ან რკინის წვრილ ნამსხვრევებს ყრიდნენ.

ვენეციელთა გალერების სააბორდაჟო გუნდები რკინის ან ტყავის აბჯარს ატარებდნენ. XVI საუკუნის მეორე ნახევარში მათ აღჭურვილობაში ცეცხლსასროლი იარაღიც გამოჩნდა, თუმცა ის ჯერ მძიმე და ძნელად გამოსაყენებელი იყო. ლეპანტოს ბრძოლაში ქრისტიანთა ფლოტის გამარჯვება ბევრად განაპირობა სააბორდაჟო გუნდების კარგმა მომზადებამ და შეიარაღებამ. ისინი უფრო სწრაფად და ზუსტად ისროდნენ, მაშინ როცა თურქებს ბრძოლა ცივი იარაღითა და მშვილდებით უხდებოდათ.

ბრძოლაში გალერა მხოლოდ ნიჩბების გამოყენებით დაცურავდა. ნიჩბის მოსმა ძნელი საქმე იყო და დიდ ფიზიკურ ძალას, შეთანხმებულ მოძრაობასა და რიტმს მოითხოვდა. მენიჩბეთა სინქრონულ მუშაობას მუსიკოსები უზრუნველყოფდნენ.

მენიჩბეთა სინქრონული მუშაობის გარეშე ხომალდი მანევრს დროულად ვერ შეასრულებდა ან საჭირო სიჩქარეს ვერ მიიღებდა. კარგ ამინდში საბრძოლო გალერა ნიჩბებით 8 კვანძის განვითარებას ახერხებდა. სიმსუბუქისათვის გალერაზე საკვების 2-3 დღის მარაგზე მეტს არ იტოვებდნენ, ხოლო ბრძოლის წინ ყველაფერი ზედმეტი ნაპირზე ან სატრანსპორტო გემზე გადაჰქონდათ.

მენიჩბეები კატორღელები და მონები, იშვიათად მოხალისეები იყვნენ. პირველი ორი კატეგორიის წარმომადგენლებს ადამიანებად არ თვლიდნენ. თავგადაპარსულნი ფეხებით მიჯაჭვულნი ისხდნენ და ნიჩბის მოსმის ტაქტიდან ამოვარდნის შემთხვევაში როზგებით დაუზოგავად სცემდნენ. ბრძოლის დროს ნიჩაბს ხშირად პირაკრულები უსვამდნენ, რათა მიღებული ჭრილობისაგან ყვირილი არ აეტეხათ. ხომალდის ჩაძირვა მენიჩბეების დაღუპვასაც ნიშნავდა.

მოხალისეები გათავისუფლებული კატორღელები ან თავგადასავლისმაძიებელნი იყვნენ. თავს მათაც პარსავდნენ, მაგრამ ულვაშის ტარების უფლებას აძლევდნენ.

გაუსაძლისი პირობების გამო მენიჩბეები ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში ჯანყდებოდნენ. ამის თავიდან ასაცილებლად მენიჩბეთა გუნდი ყოველთვის სხვადასხვა ერის წარმომადგენლებისაგან შედგებოდა.

საზღვაო ომებმა და შორეული ტერიტორიების დასაპყრობად გაგზავნილმა ექსპედიციებმა, სავაჭრო ურთიერთობათა გაფართოებამ ზღვაოსნობას უზარმაზარი ბიძგი მისცა. გემთსაშენი ვერფები უფრო სრულყოფილი და უკეთესად აღჭურვილი ხომალდების აგებაზე გადავიდნენ. მეტი ხომალდებისა და ტვირთის მისაღებად პორტებში გემსადგომებისა და საწყობების რაოდენობა გაიზარდა.

ვენეციის არსენალში 16000 დურგალი, მჭედელი, აფრის მკერავი, მეტაკელაჟე, დამჩურთველი და სხვა სპეციალობის მუშა ოსტატებისა და მშენებლების ხელმძღვანელობით წინასწარ დამზადებული ნაწილებისაგან გალერებს აწყობდა.

XV საუკუნეში, ვენეციის ძლიერების ხანაში, სამხედრო ფლოტი 100 გალერას 10000 მეზღვაურით და სავაჭრო ფლოტი


ვენეციური გალეასი


ბიზანტიური დრომონი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნაპირზე ამოტანილი აფხაზური ნავი



ქართული საზღვაო ნავი

3500-მდე გემს ითვლიდა.

მრავალრიცხოვანი ფლოტი ჰყავდა თურქეთს, სადაც ოფიცრებისა და მატროსების მნიშვნელოვანი ნაწილი, აგრეთვე გემთმშენებლები, ბერძნები და ვენეციელები იყვნენ. XVI საუკუნის დასაწყისში თურქების ყველაზე დიდი წარმატებები ზღვაზე ბერძენი წარმომავლობის ადმირალის ჰაირედინ ბარბაროსას სახელს უკავშირდება. თურქეთის ფლოტისათვის შენდებოდა ე.წ. მალტის გალერა, სიგრძით 50 მეტრი და 540-კაციანი ეკიპაჟით.

თურქეთის ინტერესები ხმელთაშუა ზღვისკენ იყო მიმართული, სადაც ქრისტიანულ ქვეყნებთან ხანგრძლივ ომებს აწარმოებდა. შავ ზღვაში ძლიერი ფლოტის ყოლის საჭიროება მას არ ჰქონდა. შესაფერისი სიძლიერის საზღვაო ძალას XVII საუკუნის ბოლომდე იქ არავინ ფლობდა.

თუ ხმელთაშუა ზღვისათვის დიდი საზღვაო ბრძოლები ასეულობით ხომალდის მონაწილეობით ჩვეულ მოვლენას წარმოადგენდა, შავ ზღვაში ამგვარი მასშტაბები უცხო იყო, შესაბამისად, მცურავი საშუალებები და ზღვაზე ბრძოლის მეთოდები სულ სხვანაირად განვითარდა.

ანტიკურ ხანაში შავ ზღვას ხშირად სტუმრობდნენ ბერძენთა და რომაელთა ხომალდები, რასაც შავიზღვისპირა ქვეყნების სანაპირო ზოლში ნაპოვნი ამფორები, ღუზები, ხომალდების ფრაგმენტებიც ადასტურებს. თავიანთი კვალი დატოვეს გენუელმა ზღვაოსნებმა, რომლებმაც მდინარე დნეპრის პირას, ყირიმსა და კავკასიაში კოლონიები დააფუძნეს.

შავ ზღვაში ბიზანტიის ფლოტმა არაერთხელ გაილაშქრა ბულგარელთა წინააღმდეგ. 766 წელს ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინ V-მ ბულგარეთისკენ 2600 ხომალდით გამოსწია, მაგრამ პორტ ანხიალოსთან ძლიერმა ქარმა ფლოტი მთლიანად გაანადგურა. 774 წელს კონსტანტინეს ფლოტის 1000-მდე ხომალდი ქარიშხალმა ისევ იმსხვერპლა.

მამაც მეზღვაურებად ითვლებოდნენ სამხრეთ სლავები — ანტები. საზღვაო ნავებს მუხის ან ცაცხვის მორში კვეთდნენ. ამოღრუტნულ მორს შემდეგ ფიცრების რამდენიმე წყების დამატებით ბორტებს უმაღლებდნენ. ასეთი ნავი ზღვაში ნიჩბებით ან იალქნის გამოყენებით დაცურავდა. მისი ტვირთამწეობა 4-დან 16 ტონამდე იყო და 40-დან 100-მდე მეომარს იტევდა.

თითოეული ნავი თავისი მებრძოლებით ცალკეულ საბრძოლო ერთეულს ქმნიდა და ლაშქრობის წინ რაზმში ერთიანდებოდა. რამდენიმე რაზმს სათავეში თავადი ედგა და ლაშქრობასაც ის მეთაურობდა. სლავები დაცურავდნენ შავ, მარმარილოსა და ხმელთაშუა ზღვებში. ათასობით სლავმა 626 წელს კონსტანტინოპოლი ალყაში მოაქცია.

კიევის რუსეთში გავრცელებული იყო გემბანიანი ნავები, რომელთაც მდინარესა და ზღვაში ცურვის უნარი შესწევდა. ნავს ცხვირი და კიჩო წაწვეტებული ჰქონდა, რაც მობრუნების გარეშე წინ და უკან ცურვის საშუალებას აძლევდა. სხვა კონსტრუქციისაგან განსხვავებით, ასეთ ნავში მენიჩბეები თავს ზემოდან ფიცრებით იფარავდნენ. ნავი 40-60 შეიარაღებული კაცს იტევდა საკვებისა და სასმელი წყლის მარაგით. გარდა ამისა, ლაშქრობისას აუცილებელი იყო ღუზა, საგორავები ნავების გადასაგორებლად და ზოგჯერ დასაყენებელი ტარანიც.

კიეველთა ნავები მსუბუქი და სწრაფმავალი იყო, რაც შესაბამის ტაქტიკას კარნახობდა: მოწინააღმდეგეზე მოულოდნელი თავდასხმა და ბორტი ბორტზე მისვლის შემდეგ აბორდაჟით ბრძოლაზე გადასვლა. წარუმატებლობის შემთხვევაში, ზღვაში სწრაფად გაფანტვასა და თავთხელ წყლებში გასვლას ცდილობდნენ. უკან დახევის დროსაც კი კონტრშეტევაზე გადასვლის მომენტს ელოდნენ.

მაშინ ლაშქრობები ბიზანტიასა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებისაკენ იშვიათობას არ წარმოადგენდა, ხოლო ასეულობით ნავისაგან შემდგარი ფლოტი ნებისმიერ მოწინააღმდეგეს უმძიმეს მდგომარეობაში აყენებდა.

მეომრების შეიარაღებაში შედიოდა მასიური ხმლები, საბრძოლო დანები, ნაჯახები, შუბები, ოროლები, მშვილდები. მეომრებს ჯაჭვის პერანგები ეცვათ და თავს ფარებით იცავდნენ.

860 წელს 200 საზღვაო ნავი დნეპრიდან კონსტანტინოპოლისაკენ დაიძრა. 911 წელს კიევის რუსეთის თავადმა ოლეგმა 2 ათასი ნავით ბიზანტიისკენ გაილაშქრა. რამდენიმე ლაშქრობა ბულგარეთის სანაპირო ქალაქების დარბევის მიზნით შედგა.

გაბედულ, შორეულ საზღვაო ლაშქრობებში მიემართებოდნენ კაზაკები. ისინი არ ეპუებოდნენ ზღვაზე ცურვის სიძნელეებს და ზღვისპირა მდიდარი ქალაქების გასაძარცვად თავდასხმებს აწყობდნენ.

კაზაკებმა 1576 წელს სინოპი და ტრაპიზონი დალაშქრეს; 1590 წელს იგივე გაიმეორეს; 1606 წელს დალაშქრეს ვარნა, 1608 წელს პერეკოპი, 1609 წელს დუნაის შესართავი; 1615 წელს წარმატებული რეიდი ჩაატარეს სამხრეთ შავიზღვისპირეთში, რომელიც ტრაპიზონის დაკავებით დასრულდა.

ზაპოროჟიელი და დონის კაზაკები საკმაოდ სრულყოფილ ნავებს — ჩაიკებსა და დუბებს აგებდნენ. სწრაფმავალი ჩაიკით კაზაკებისათვის სავაჭრო გემებისა და ცალკეული თურქული სამხედრო ხომალდის დაკავება სიძნელეს არ წარმოადგენდა. დუბი მხოლოდ ტვირთის გადასატანად გამოიყენებოდა.

ჩაიკას სიგრძე 15,5-21,5 მეტრი იყო და 50-70 კაზაკს იტევდა. დაცურავდა ნიჩბებით (8-20 წყვილი) ან ერთი ცუდად მართვადი იალქნის გამოყენებით. ცხვრისა და კიჩოს საჭეები ჩაიკას მეტ მანევრულობას აძლევდა, რასაც თავდასხმის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

კაზაკები თურქულ ხომალდებზე თავდასხმებს ღამით ამჯობინებდნენ. რამდენიმე ნავის ეკიპაჟი ხომალდს ალყაში მოაქცევდა და შემდეგ აბორდაჟით იკავებდა. ზაპოროჟიელმა კაზაკებმა 1614 წელს ტრაპიზონთან თურქეთის ესკადრა 26 ხომალდის შემადგენლობით მთლიანად გაანადგურეს.

ჩაიკას შეიარაღებაში შედიოდა 2 ძველებური თოფი სიათა, 6 გირვანქა დენთი, ტყვიები, 2-6 მსუბუქი ქვემეხი ფალკონეტო, ხოლო კაზაკები ხმლებსა და სხვა ცივ იარაღს ატარებდნენ.

საქართველოში გემთმშენებლობა და ზღვაზე ბრძოლის ხერხები, სხვა ქვეყნებში მიღებული ტენდენციებისაგან დამოუკიდებლად, არსებული შესაძლებლობების ფარგლებში ყალიბდებოდა. სამთავროებად თუ სამეფოებად დაშლილი ქვეყანას, რომელიც ხმელეთიდან გარეშე მტრების მოგერიებით მუდმივად იყო დაკავებული, იმ დროს საზღვაო საქმის განვითარებისათვის სათანადო პირობები არ გააჩნდა და შესაბამისად, ზღვაოსნობა კაბოტაჟური ცურვის დონეზე დარჩა.

ზღვაოსნობამ ყველა ქვეყანაში განვითარება კაბოტაჟური ნაოსნობით, ანუ სანაპირო ზოლში მგზავრების გადაყვანითა და ტვირთის წვრილი პარტიების გადაზიდვით დაიწყო. ამასთან, კარგი საზღვაოსნო თვისებების მქონე ნავი სანაპიროზე მოულოდნელი თავდასხმისათვის მოსახერხებელ და ეფექტიან საშუალებად რჩებოდა, ხოლო მანევრულობისა და სისწრაფის ხარჯზე მისთვის დიდი ხომალდის დაკავებაც სირთულეს არ წარმოადგენდა. საშიშროების შემთხვევაში, ნავის ეკიპაჟი თავს იოლად შველოდა სანაპირო თავთხელ წყლებში ან მდინარეში, სადაც საზღვაო ხომალდისათვის ცურვა წყალჯდომის გამო შეუძლებელი იყო.

გასათვალისწინებელია, რომ ძველ დროში სანავიგაციო ხელსაწყოების არარსებობის პირობებში გემთწამყვანები ღია ზღვაში შორს გასვლას ერიდებოდნენ და ცურვას სანაპიროს გასწვრივ ისიც დღისით ამჯობინებდნენ. ღამით ხომალდი სანაპიროსთან რეიდზე დგებოდა ან ნაპირზე გამოჰყავდათ.

სანაპიროსთან ცურვა შედარებით უხიფათო და მარტივი იყო. ადამიანებს ნაცნობი ორიენტირები ეხმარებოდა და ამინდის გაუარესებისას თავშესაფრის მოძებნა ბევრად გაიოლებული იყო.

ნავების აგების დიდი ტრადიციები არსებობდა საქართველოში. კავკასიის სანაპიროზე ფართოდ გავრცელებული იყო ნავი, რომელიც კამარას სახელით არის ცნობილი. კამარას განიერი ძირი ჰქონდა, ვიწრო და მსუბუქი კორპუსით. მახვილი ცხვირი და კიჩო მანევრირებას ბევრად აიოლებდა. ღელვის დროს მენიჩბეები ბორტებს ფიცრებს უმატებდნენ და ბოლოს სახურავის მსგავსად მთლიანად ფარავდნენ. იტევდა 25-30 კაცს.

რამდენიმე სახის ნავს აგებდნენ ლაზეთში. შედარებით მოზრდილი სამგზავროსატვირთო და სამხედრო დანიშნულების ნავი იყო ლაზური „მენექსელა“. მისი სიგრძე 18-20 მეტრს, ხოლო წყალწყვა 8-10 ტონას შეადგენდა. ნავი ერთი აფრით ან 10-15 წყვილი ნიჩაბის დახმარებით დაცურავდა. იტევდა 30-40 კაცს.

მოგვიანებით ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებიდან შემოვიდა ფელუკა (სიგრძე 9-14 მეტრი, ტვირთამწეობა 3-3,2 ტონა, ატარებდა 1 ან 2 ანძას).

კარგი საზღვაოსნო თვისებები ჰქონდა ბრტყელძირა აფხაზურ ნავს. დაცურავდა 4 წყვილი ნიჩბით ან ოთხკუთხა აფრის საშუალებით. იტევდა 10-15 კაცს. აფხაზები შუა საუკუნეებში განთქმული მეკობრეები იყვნენ და სამეგრელოს სანაპიროდან ადამიანების მოტაცებასთან ერთად, რომლებსაც შემდეგ თურქეთში მონებად ყიდდნენ, არც თურქული ხომალდების ძარცვას ერიდებოდნენ.

გამოცდილი მესაჭეებისათვის იმ დროში ასეთი ნავებით შორეული გადაცურვები შავიზღვისპირა ან ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

შეხედულება, რომ შუა საუკუნეებში საქართველოში საბრძოლო ხომალდები შენდებოდა და ქვეყანას სამხედრო-საზღვაო ფლოტი ჰყავდა, ძალზე გაზვიადებული და საფუძველს მოკლებულია. მით უფრო, უაზრობაა ცალკე სამეგრელოს ან აფხაზეთის სამხედრო ფლოტის არსებობა და საზღვაო ბრძოლების გამართვა. ნავი უგემბანო მცურავი საშუალებაა და მას არ შეეძლო იმ შეიარაღების ტარება, რომლითაც ევროპული ხომალდები იყო აღჭურვილი.

თვით ტერმინის – „საზღვაო ბრძოლის“ გამოყენებაც არამართებულია. იმ ხანაში ზღვაოსნობაში დაწინაურებულ ქვეყნებს საზღვაო ბრძოლის მთელი სტრატეგია და ტაქტიკა ჰქონდათ შემუშავებული. ფლოტები ფრონტით ან ნახევრად მთვარისებურად ეწყობოდნენ და ერთმანეთთან დაახლოებისას სატყორცნი მანქანებიდან ქვებსა და ისრებს ისროდნენ. ბრძოლის დასკვნითი ნაწილი აბორდაჟულ შეტაკებებში გადადიოდა.

ნავების ძალა მრავალრიცხოვნებაშია, როცა მისი რაოდენობა რამდენიმე ასეულიდან ათასს სცილდება. სხვა შემთხვევაში, მცირერიცხოვანი ნავების რაზმით სერიოზული სამხედრო ლაშქრობების განხორციელება გამორიცხული იყო.

საქართველოს პირობებში, ალბათ, ნავებით შეტაკებები უფრო ხდებოდა. შეტაკებისას დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთთან სწრაფად დაახლოებასა და დაჯახებას ცდილობდნენ, სადაც აბორდაჟით ხელჩართული ბრძოლის ელემენტები ჭარბობდა. შეტაკება მხოლოდ წყნარ ამინდში და ისიც დღისით იყო შესაძლებელი. მეომრები მახვილით, სატევარით, ხმლით, ნაჯახით, შუბითა და სხვა ცივი იარაღის გამოყენებით იბრძოდნენ. გარკვეულ მანძილზე მშვილდების გამოყენებაც იყო დასაშვები.

არის ერთი სერიოზული პრობლემა, რომელიც პირდაპირ მიუთითებს, რომ საქართველოს იმ პერიოდში სამხედრო ფლოტი არ ჰყავდა. სავაჭრო ურთიერთობებისათვის საქართველოს სანაპირო ზოლი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. მთავარ პარტნიორად თურქები და შედარებით იშვიათად კაზაკები გამოდიოდნენ. ვაჭრობას ხელს უშლიდა თურქული ხომალდების ძარცვა. იყო შემთხვევები, როცა ნაპირზე დანთებული ცეცხლით მოტყუებული თურქები სანაპიროსკენ წამოსულან, სადაც ყაჩაღთა მსხვერპლნი ხდებოდნენ.

კიდევ უფრო მტკივნეული პრობლემა ადამიანებით ვაჭრობა იყო, რომლის მასშტაბები მოსახლეობას ფიზიკური განადგურებით ემუქრებოდა. ცნობილი ფრანგი მოგზაურის შარდენის ინფორმაციით, XVII საუკუნეში ყოველწლიურად სამეგრელოდან, რომელიც აფხაზეთის ნაწილსაც მოიცავდა, საშუალოდ 12000 კაცი მონად იყიდებოდა.

საქართველოს სათანადო საზღვაო ძალა რომ ჰქონოდა, უპირველესად, ალბათ, მეკობრეებს შეებრძოლებოდა და ადამიანებით ვაჭრობას აღკვეთდა, დაიცავდა სავაჭრო ხომალდებს და ქვეყნის ეკონომიკურ მომძლავრებას ხელს შეუწყობდა.

*თემურ ჩაჩანიძე*

**სახომალდო ზარბაზნების პირველი ნიმუშები**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1939 წლის 1 სექტემბერი — ომის დაწყების ნამდვილი თარიღი

დაუფარავად გეტყვით, რომ „არსენალი“ მკითხველის ყურადღებით (წერილებითა და სატელეფონო ზარებით) საკმაოდ განებივრებულია. ამ ნომერში გვინდა შემოგთავაზოთ ერთ-ერთი, ალბათ ყველაზე ერთგული მკითხველის წერილი, რომელიც გასაგები მიზეზების გამო შემოკლებით იბეჭდება. სანამ მის ციტირებას დავიწყებდეთ, გვინდა თავად მკითხველზე მოგითხროთ: ბატონი ვალერი ფრანგიშვილი აგერ უკვე წელიწადზე მეტია შესაშური პუნქტუალობით ეცნობა „არსენალის“ ახალ ნომრებს და გამოსვლიდან მეორე ან მესამე დღეს ვრცელ რეცენზიებსა და კრიტიკულ წერილებს გვიგზავნის ხოლმე. მისი გზავნილები ყოველთვის საქმიანი და კონკრეტულია, ის შეცდომებზე (სამწუხაროდ...) მიგვითითებს და ხშირად საქმიან რჩევებსაც გვაძლევს... ამჯერად მან მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებით გამოგვიგზავნა წერილი, რომელიც ვფიქრობთ ჩვენ მკითხველსაც დააინტერესებს...

## ჟურნალ „არსენალის“ რედაქციას

*დღეს, როცა მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან 67, ხოლო დამთავრებიდან 61 წელიწადი გავიდა, საქართველოში არ არსებობს არც ერთი ობიექტური და უტყუარი ნაშრომი ან წიგნი, რომელშიც ასახული იქნებოდა იმ დღეების საშინელებანი.*

*დღემდე ვრცელდება საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცებული თეზისები „დიდი სამამულო ომის შესახებ“, ნახევარი საუკუნის წინ შეთითხნილ სიცრუეს დღემდე ასწავლიან ჩვენს ახალგაზრდებს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.*

*თქვენი ჟურნალი საკმაოდ პოპულარულია საქართველოში და, მგონი, ცუდი არ იქნებოდა, თუ „არსენალის“ ფურცლებზე გამოაქვეყნებდით ბოლო დროს გახმაურებულ ინფორმაციას „დიდ სამამულო ომად“ წოდებულ დიდ მსოფლიო ომზე.*

მეორე მსოფლიო ომი 1939 წლის 1-ლ სექტემბერს დაიწყო. ნაცისტური („ფაშისტური“, საბჭოთა ტერმინოლოგიით) გერმანია თავს დაესხა პოლონეთს. 3 სექტემბერს დიდმა ბრიტანეთმა (იმ დროს ინგლისს ჰყავდა მხოლოდ 2 (!) დივიზია) და საფრანგეთმა ომი გამოუცხადეს გერმანიას, ხოლო 17 სექტემბერს საბჭოთა არმია აღმოსავლეთიდან შეიჭრა პოლონეთში, რასაც „განმათავისუფლებელი ლაშქრობა“ ეწოდა რუსეთში.

ბრძოლები პოლონეთში 2 ოქტომბერს, 1 თვეში დამთავრდა.

პოლონეთის კამპანიაში გერმანიის შეიარაღებულმა ძალებმა (Wehrmacht) 45 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე დაკარგეს, მათ შორის, განადგურდა ათასამდე მსუბუქი ტანკი და ჯავშანმანქანა, 400 ქვემეხი, განადგურდა და დაზიანდა ათასზე მეტი თვითმფრინავი.

პოლონელების დანაკარგმა 200 ათასი ჯარისკაცი შეადგინა. ასიათასობით პოლონელი სამხედრო აღმოჩნდა გერმანულ და საბჭოთა ტყვეთა ბანაკებში...

1940 წლის აპრილში გერმანელებმა დესანტები გადმოსხეს ნორვეგია-დანიაში და დაიპყრეს ისინი.

10 მაისს გერმანიის 118-მა ქვეითმა და 17-მა სატანკო და მექანიზირებულმა დივიზიებმა დარტყმა მიაყენეს საფრანგეთის, ბრიტანეთის, ბელგიისა და ჰოლანდიის დივიზიებს.

გერმანელთა მიერ სწორად დაგეგმილი და ბრწყინვალედ შესრულებული დარტყმის შედეგად მოკავშირეთა ჯარები სასტიკად დამარცხდნენ. დანაკარგმა 150 ათასი გერმანელი და 390 ათასი მოკავშირეთა ჯარისკაცი (მოკლული და დაჭრილი) შეადგინა. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულ იქნა 1500 გერმანული, 1000 ბრიტანული და 500 ფრანგული თვითმფრინავი.

1940 წლის 10 ივნისს იტალიამ ომი გამოუცხადა საფრანგეთსა და ბრიტანეთს.

დაიწყო „ბრძოლა ბრიტანეთისთვის“. 1940 წლის აგვისტო-ნოემბერში გერმანულმა ავიაციამ (Luftwaffe) ინგლისის დაბომბვის დროს საჰაერო ბრძოლებში 1733 თვითმფრინავი დაკარგა, ბრიტანელებმა კი 915 გამანადგურებელი თვითმფრინავი.

1940-41 წლებში გერმანიამ დაიპყრო







იუგოსლავია, საბერძნეთი, საფრანგეთის ნაწილი, ბელგია და ჰოლანდია.

1941 წლის 20 მაისიდან 2 ივლისამდე საჰაერო დესანტების მეშვეობით დაიპყრეს კუნძული კრეტა. ამ ბრძოლებში მოკავშირეებმა — ინგლისელებმა, ახალზელანდიელებმა, ავსტრალიელებმა და ბერძნებმა — დაკარგეს 18 ათასი ჯარისკაცი, გერმანელებმა — 4 ათასამდე პარაშუტისტი და მფრინავი.

დაიწყო ბრძოლები ჩრდილო აფრიკაში, ერთი მხრივ, ბრიტანელებსა და მეორე მხრივ, იტალიისა და გერმანიის ჯარებს შორის.

საბჭოთა კავშირმა ჯერ კიდევ 1939 წლის აგვისტოში ხელი მოაწერა ხელშეკრულებას გერმანიასთან „ინტერესთა სფეროების" განაწილებაზე, მაგრამ ამავე დროს ინტენსიურად ემზადებოდა დიდი ომისთვის.

1939-40 წლებში, „ზამთრის ომის" დროს, როცა სსრკ ცდილობდა ფინეთის დაპყრობას, წითელი არმია სამარცხვინოდ დამარცხდა და ნახევარი მილიონი ჯარისკაცი დაკარგა. საბჭოთა კავშირი გააძევეს ერთა ლიგიდან.

1941 წლის 22 ივნისისთვის საბჭოთა კავშირს ჰყავდა 303 დივიზია, რომლებიც 14 აპრილიდან საომარ მდგომარეობაში გადაიყვანეს. 20-21 ივნისს სამხედრო ოლქების შტაბები „ფრონტებად" გარდაიქმნა. ამ დროისთვის საბჭოეთს ჰყავდა 23-108 ტანკი (მათ შორის 1225 „T-34" და 639 „KB"), 20,7 ათასი საბრძოლო თვითმფრინავი; 14,2 ათასი ტანკი და 17 ათასი თვითმფრინავი განლაგებული იყო დასავლეთის მიმართულებაზე — უკრაინის, ბელორუსიისა და ახალდაპყრობილ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ტერიტორიაზე.

წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო წითელი ფლოტის რიგებში 1941 წლის იანვრისთვის შედიოდა 5 მილიონამდე სამხედრო მოსამსახურე, 1941 წლის მაის-ივნისში კიდევ 800 ათასი რეზერვისტი გაიწვიეს. მზადდებოდა 10 ავიასადესანტო და 30 სატანკო კორპუსი!

1940 წლის დეკემბერში ჰიტლერმა ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირზე თავდასხმის (Fall „Barbarossa") გეგმას.

საბჭოთა კავშირზე თავდასხმისთვის გერმანელებს სულ 152 დივიზია, 3,7 ათასი ტანკი (მათ შორის — 400 „საშუალო", დანარჩენი — მსუბუქი) და თვითმავალი ქვემეხი, 2880 სამხედრო თვითმფრინავი (მათ შორის 920 გამანადგურებელი) ჰყავდა.

საომარი მოქმედება მოსკოვის დროით დილის 4 საათზე დაიწყო. შეტევაზე 102 გერმანული დივიზია გადავიდა. წითელი არმიის გარდა საზღვართან განლაგებული იყო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (სამინისტროს) სასაზღვრო ნაწილები და შინაგანი ჯარი.

პირველივე დღეს გერმანიის ავიაციამ საჰაერო ბრძოლებსა და აეროდრომებზე 1811 საბჭოთა თვითმფრინავი გაანადგურა; დაკარგა 32 თვითმფრინავი; დაიბომბა 66 (150-დან) სამხედრო აეროდრომი, საარტილერიო პოზიციები, ნავსადგურები.

ჯერ კიდევ 1939-41 წლებში საბჭოეთისგან გერმანიამ 1 მლნ ტონა ნავთობი, 3 წლის მარაგი ხორბალი, ხეტყე, სტრატეგიული მასალები, მათ შორის, მანგანუმი მიიღო. ამის საფასურად კი საბჭოთა კავშირს გადასცა მძიმე კრეისერი („Lutzow"), ტანკებისა და ყველა საბრძოლო თვითმფრინავების ნიმუშები, სამხედრო ტექნოლოგიები და საბრძოლო ტექნიკის ნახაზები.

საბჭოთა კავშირში საყოველთაო მობილიზაცია გამოცხადდა. 1941 წლის 28 ივნისისთვის წითელი შეიარაღებული ძალების რიგებში 12,8 მლნ კაცი ჰყავდათ, იქმნებოდა პარტიზანული, მუშათა და სხვა რაზმები, ბატალიონები.

მოგვიანებით რაიხის სატელიტებმა აღმოსავლეთის ფრონტზე მცირერიცხოვანი დამხმარე შენაერთები — რუმინული, უნგრული, იტალიური და სლოვაკური დივიზიები და ბრიგადები — გაგზავნეს, ესპანეთის ერთი, ე. წ. „ცისფერი" დივიზია კი რუსეთში იყო. ფინელებმა ივნისის ბოლოს 1940 წლის მარტში წართმეული ტერიტორია დაიბრუნეს, 1939 წლის დროინდელ საზღვარზე გაჩერდნენ და ამით იხსნეს ლენინგრადი სრული ბლოკადისგან.

დაიწყო წითელი არმიის განუწყვეტელი უკუქცევა. 1941 წლის ბოლოს გერმანელთა სამხედრო შენაერთები რუსეთის დედაქალაქამდე მივიდნენ.

წლის ბოლომდე სსრკ-მ კიდევ 400-მდე დივიზია და 33 ე. წ. „სახალხო ლაშქრის" ნაკლებად ბრძოლისუნარიანი დივიზია შექმნა.

1941 წლის 22 ივნისიდან 31 დეკემბრამდე გერმანელთა დანაკარგმა 760 ათასი კაცი შეადგინა, წითელმა არმიამ კი 5 მილიონამდე სამხედრო მოსამსახურე დაკარგა, 3335000 წითელარმიელი და მეთაური ტყვედ ჩაბარდა; განადგურდა 20500 ტანკი, 101100 ქვემეხი, 17900 თვითმფრინავი, 6,35 მლნ ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი (რევოლვერებისა და პისტოლეტების გარდა) და ეს მხოლოდ ომის პირველივე თვეებში.

1941 წლის ივლისში 120-მა გერმანულმა ბომბდამშენმა რამდენიმეჯერ დაბომბა მოსკოვი. ბოლშევიკურ დედაქალაქს მაშინ საბჭოთა ჰაერსაწინააღმდეგო ძალების საზენიტო არტილერიის 40 პროცენტი და 783 თვითმფრინავი-გამანადგურებელი იცავდა; იმ დღეებში სულ 4 გერმანული თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

ამ დროისათვის გერმანელთა არმია დასუსტებული იყო, არ ჰყოფნიდა ტყვიაწამალი, საკვები და ტრანსპორტი. დაიწყო საშინელი რუსული ზამთარიც (უკვე ნოემბერში იყო -25°C). სტალინმა მოსკოვთან ციმბირიდან, მონღოლეთიდან და შუა აზიიდან ახალი დივიზიები გადმოისროლა. სასტიკი ბრძოლების შემდეგ გერმანელთა შეტევა დროებით, 1942 წლის ზაფხულამდე, შეჩერდა.

მოსკოვის დაცვის დროს საბჭოთა არმიამ დაკარგა 927 ათასი ჯარისკაცი, გერმანელთა დანაკარგი კი ამ ბრძოლაში 330 ათას კაცს შეადგენდა.

მსოფლიოში განთქმული სტალინგრადის ბრძოლის დროს გერმანელებმა დაკარგეს 147 ათასი ჯარისკაცი, 91 ათასი კი ტყვედ ჩავარდა.

სტალინგრადთან ბრძოლას 1,2 მილიონზე მეტი წითელარმიელი შეეწირა, აქედან რამდენიმე ათასი „სმერშის" (უშიშროების) და სამხედრო ტრიბუნალების თანამშრომლებმა დახვრიტეს.

1943 წლის ზაფხულში ცნობილი კურსკის ბრძოლა გაიმართა. წითელი არმიის სარდლობამ რამდენიმე თვით ადრე იცოდა გერმანელთა გეგმის (ოპერაცია „ციტადელი") შესახებ და მსოფლიოში არნახული თავდაცვის უზარმაზარი ზონა მოამზადა — 550კმ სიგანეზე და 250-300 კმ სიღრმეში. გათხრილი ჰქონდათ ათასობითკილომეტრიანი სანგრები, ტანკსაწინაღო თხრილი, ჩაიდო 2,4 მლნ ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი, მომზადდა ათასობით საცეცხლე „წერტილი", სულ 6 მოგერიების ზოლი. ამ მონაკვეთს 3,3 მლნ საბჭოთა სამხედრო მოსამსახურე, 36500 ქვემეხი, უამრავი ტანკი და ავიაცია იცავდა.

გერმანელებმა ამ ოპერაციისთვის თავი მოუყარეს 570 ათასამდე ჯარისკაცსა და ოფიცერს, 2200 ტანკს (აქედან 336 მოძველებული და 208 გაფუჭებული), 500 თვითმავალ ქვემეხს, მათ შორის 88 ცალი მრისხანე „ELEFANT"-ი, 141 ც. Pz.VIH „TIGER", 183 ც. Pz.VD „PFNTHER"; 1850 თვითმფრინავს, მოგვიანებით მათ დაემატა კიდევ 200 „FW-190".

ცხადია, რომ ძალები არათანაბარი იყო, თან საბჭოთა ძალები წინასწარ იყვნენ მომზადებული. ამ ბრძოლის შედეგად განადგურდა 8800 საბჭოთა ტანკი და 1500 ერთეული გერმანელთა ჯავშანტექნიკა.





1941 წლის ივნისში დიდმა ბრიტანეთმა და აშშ-მ სსრკ-ს მხარდაჭერა გამოუცხადეს და ამავე წლის სექტემბრიდან დაიწყეს „ლენდ-ლიზად“ ცნობილი რეალური დახმარება. ნოემბრისთვის მოსკოვთან იყო ბრიტანული 57მმ Mk.I ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები, კარგად შეჯავშნული ტანკები „ვალენტაინი“ და „მატილდა“ დიზელის ძრავით, თვითმფრინავები „ჰარიკეინი“, „კიტიჰოუკი“ და „ერკობრა“.

მოკავშირეებმა საბჭოთა კავშირს მიაწოდეს 12 ათასი ტანკი, 18,7 ათასი თვითმფრინავი, 427 ათასი სამხედრო დანიშნულების ავტომობილი, 520 გემი, ჯავშანმანქანები, ქვემეხები, რადიოლოკატორები, 2,9 მლნ ტონა ნავთობნაწარმი, საკვები, დაზგა-დანადგარები, ვაგონები, ფერადი ლითონები, კაუჩუკი, მილიონობით სამხედრო ტანსაცმელი და ფეხსაცმელი და ა.შ.

1941 წლის 7 დეკემბერს იაპონიის სამხედრო გემებმა გემბანის ავიაციით დარტყმა მიაყენეს აშშ-ის სამხედრო ფლოტის ბაზას ჰავაის კუნძულებზე, მწყობრიდან გამოიყვანეს 8 დიდი საბრძოლო ხომალდი (BATTLESHIP, სახაზო გემი) და კიდევ რამდენიმე სამხედრო გემი.

ამერიკის შეერთებული შტატები ომში ჩათრეული აღმოჩნდა. დასრულდა 1935 წელს გამოცხადებული ნეიტრალიტეტი და სწრაფი ტემპებით დაიწყო შეიარაღებული ძალების შექმნა, უამრავი სამხედრო ტექნიკისა და აღჭურვილობის მზადება.

1942-45 წლებში აშშ-ში დამზადდა 3,2 მლნ ავტომანქანა, 99 ათასი ტანკი, 113 ათასი ჯავშანმანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი, ასიათასობით თვითმფრინავი და მილიონობით ცეცხლსასროლი იარაღი.

1942 წლიდან აშშ-ის ჯარებმა საბრძოლო მოქმედებები დაიწყეს ჩრდილო აფრიკაში, 1943 წელს – იტალიაში, 1944 წლის ივნისში – საფრანგეთში; ბრძოლები იყო წყნარი ოკეანის რეგიონშიც. აშშ-მ 10 მლნ-ზე მეტი ჯარისკაცი და მეზღვაური გაგზავნა ბრძოლებში წყნარ ოკეანეზე, აზიაში, აფრიკასა და ევროპაში.

1943 წლიდან გერმანელებმა დაიწყეს ინგლისის V-1 ფრთოსანი რაკეტებით დაბომბვა, 1944 წლიდან კი „V-2“ (ფაუ-2) ტიპის ბალისტიკური რაკეტებით.

1944 წელს გერმანიას აღარ ჰქონდა ძალა და საშუალება, მოეგერიებინა მსოფლიოში უდიდესი ქვეყნების – აშშ, რუსეთისა და ბრიტანული იმპერიების მასირებული დარტყმები.

რადგან „ლეგენდარული“ T-34 ვერ ერეოდა გერმანულ ტანკებს, 1944 წლიდან მას დაუყენეს ახალი, უფრო დიდი კოშკურა 85მმ ქვემეხით, იმავე წელს შეიარაღებაში მიიღეს 100მმ ტანსაწინააღმდეგო ქვემეხი, აგრეთვე 122 მმ და 152 მმ თვითმავალი ქვემეხები ტანკ „ИС“-ს ბაზაზე, მოდერნიზებული თვითმფრინავები Як-9, Як-3, Ла-5, ახალი ტყვიამფრქვევი СГ.

1944 წელს აღმოსავლეთის (საბჭოთა-გერმანიის) ფრონტზე ნაცისტებს შეიარაღებული ძალების მხოლოდ 37 პროცენტი დარჩათ. გერმანიას აღარ ჰქონდა არც ცოცხალი ძალის, არც იარაღ-აღჭურვილობის, არც სურსათის მარაგი.

1944 წლის შემოდგომაზე აჯანყდა 5 წლის განმავლობაში ნაცისტების მიერ ოკუპირებული ვარშავის მოსახლეობა. სტალინმა შეგნებულად შეაჩერა თავისი არმიები მდ. ვისლაზე, რათა არ დახმარებოდნენ აჯანყებულ პოლონელებს; სურდა, წითელი არმია პოლონეთის დედაქალაქში შესულიყო როგორც განმათავისუფლებელი და არა როგორც დამხმარე ძალა (რაც შეასრულა, და არა მარტო პოლონეთში).

1943-44 წლებში იტალია და ფინეთი გამოვიდნენ ომიდან, ბულგარეთი და რუმინეთი გამარჯვებულთა მხარეს გადავიდნენ და თავიანთი ჯარები ყოფილი მოკავშირის – გერმანიის წინააღმდეგ გაგზავნეს. ამით შეწყდა გერმანიისათვის ნავთობის წყარო, – სინთეზური ბენზინის ქარხნები ამერიკელებმა დაბომბეს. გერმანია სრულ ბლოკადაში აღმოჩნდა, მას ერთადერთი მოკავშირე დარჩა – უნგრეთი.

წყნარი ოკეანის რეგიონში კი გრძელდებოდა საზღვაო თუ სახმელეთო ბრძოლები იაპონიასთან, რომელსაც 1945 წლისთვის ჯერ კიდევ ჰყავდა 7,2-მილიონიანი არმია და ძლიერი ფლოტი.

თურქეთი, რომელსაც ჯერ კიდევ 1939 წელს მეგობრული ხელშეკრულება ჰქონდა დადებული ბრიტანეთთან, ომში არ ერეოდა. ირანი ოკუპირებული იყო საბჭოთა და ბრიტანული ჯარების მიერ. ჩინეთში მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი; მიუხედავად იმისა, რომ დიდი ტერიტორია დაპყრობილი ჰქონდათ იაპონელებს, ჩინელი მაოისტები ჩან-კაიშის ნაციონალისტებს ეომებოდნენ.

1945 წლის აპრილში ამერიკულ ჯარებს საშუალება ჰქონდათ, აეღოთ ბერლინი, მაგრამ გენერალმა დუაიტ აიზენჰაუერმა შეასრულა სტალინ-რუზველტის მოლაპარაკებისას დადებული პირობა – ბერლინი უნდა აეღოთ რუსებს – და შეაჩერა თავისი არმიები.

„ფაშისტური ბუნაგის“ აოხრება სტალინმა დაავალა რუს მარშალ გ. ჟუკოვს, მარშალი კ. როკოსოვსკი კი, რაკი პოლონელი იყო, დამხმარე მიმართულებით გადააადგილა.

ამერიკელებმა ბერლინის დაბომბვა 1945 წლის აპრილის დასაწყისში შეწყვიტეს, ქალაქის 75 პროცენტი განადგურებული იყო. ბერლინის ასაღებად გამოყოფილ იქნა წითელი არმიის დაჯგუფება, რომელშიც 2,5 მლნ ჯარისკაცი, 6200 ტანკი და 7500 თვითმფრინავი შედიოდა.

ბერლინს 200 ათასი კაცი იცავდა,

ძირითადად, „ფოლქშტურმი“ (სახალხო ლაშქარი); ჰყავდათ 10 ტანკი, ჰქონდათ საერიშო ქვემეხები და დიდი ოდენობით „ფაუსტპატრონი“ – რეაქტიული ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნი კუმულაციური ქობინით.

1945 წლის 2 მაისს გერმანელებმა კაპიტულაცია გამოაცხადეს. ბერლინში ბრძოლის დროს დაიღუპა და დაიჭრა 49,7 ათასი გერმანელი, 79 ათასი კი ტყვედ ჩაბარდა.

წითელი არმიის დანაკარგმა 360 ათასი წითელარმიელი, აგრეთვე 8,9 ათასი პოლონელი ჯარისკაცი შეადგინა. დაიწვა 2,2 ათასზე მეტი საბჭოთა „ლეგენდარული“ ტანკი Т-34 და ИС.

რაიხსტაგზე (გერმანიის პარლამენტის შენობაზე) დროშის აღსამართავად საბჭოთა ჯარების პოლიტგანყოფილებამ 9 ცალი წითელი დროშა მოამზადებინა, გამოიყო 9 ჯგუფი; ცხრავემ დავალება 30 აპრილს შეასრულა, მაგრამ გმირის წოდება და ქებადიდება მხოლოდ ეგოროვსა და ქანთარიას ერგოთ.

მარშალმა ჟუკოვმა თავის ინტერნაციონალისტ ჯარისკაცებს ბერლინის გასაძარცვად 3 დღე-ღამე მისცა და თავის „წილზეც“ იზრუნა – მან გერმანიიდან წამოიღო 8 ავეჯის გარნიტური, 4 ათასი მეტრი ნაირ-ნაირი ქსოვილი, ფარდები, ოქროვერცხლი, ვერცხლის დანა-ჩანგალი, სერვიზები, 143 ფერწერული ტილო გერმანიის მუზეუმებიდან, ძვირფასი წიგნები (თან თვითონ გერმანული ენა არ იცოდა!..) და ა.შ.

გერმანიის სრული და საბოლოო კაპიტულაცია ორჯერ გაფორმდა – ჯერ 7 მაისს ქალაქ რეიმსში, და მეორედ, სტალინის თხოვნით, 8 მაისს ბერლინში, სამხედროსაინჟინრო სასწავლებლის სასადილოში. ცერემონია რომ დასრულდა, მოსკოვის დროით უკვე 9 მაისი იდგა.

იმავე დღეს დაიწყო აჯანყება პრაღაში, სადაც ჯერ კიდევ იყო გერმანელთა გარნიზონი. ჩეხეთის დედაქალაქის მოსახლეობის დასახმარებლად პრაღაში შევიდა „რუსული განმათავისუფლებელი არმიის“ გენერალ ვლასოვის დივიზია, მაგრამ მალე წითელი არმიის სატანკო არმიები გამოჩნდნენ, ვლასოვი აიყვანეს და დახვრიტეს. სიკვდილით დასჯა თუ არა, ციხე და საკონცენტრაციო ბანაკები ელოდებოდა არა მარტო მოღალატეებს, თითქმის ყველას, ვინც ყოფილა გერმანელთა ტყვეობაში ან სამუშაოდ გერმანიაში.

კაპიტულაციის შედეგად ამერიკელებს ტყვედ ჩაბარდა 2057138 გერმანელი სამხედრო მოსამსახურე, წითელ არმიას – 1,2 მლნ გერმანელი.

მიუხედავად დიდი ზარალისა და მსხვერპლისა, საბჭოთა მთავრობამ, თავისი ზეგავლენის გავრცელების მიზნით, 1945 წლის აგვისტოსთვის 1,6-მილიონიანი ჯარი გადაისროლა შორეულ აღმოსავლეთში, რათა ჩინეთი, მანჯურია და კორეა ამერიკელთა ხელში არ აღმოჩენილიყო, „მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს“ კურილის კუნძულებიც სჭირდებოდა. ამან წითელ არმიას კიდევ 36,6-ათასიანი მსხვერპლი მოუტანა.

იაპონიას არ სურდა ომი რუსეთთან. ატომური ბომბების აფეთქებისა და მოკავშირეებთან ბრძოლაში 2,5 მლნ ჯარისკაცისა და მეზღვაურის დაღუპვის შემდეგ, მას აღარ ჰქონდა ბრძოლის უნარი და საშუალება. ამიტომ როგორც კი ამერიკის სარდლობა დათანხმდა იაპონიის მიკადოს (იმპერატორი) ძალაუფლების ფორმალურად შენარჩუნებაზე, ყველაფერი მოგვარდა და 1945 წლის 2 სექტემბერს ტოკიოს ყურეში ამერიკული უზარმაზარი საბრძოლო ხომალდის „მისურის“ გემბანზე ხელი მოეწერა კაპიტულაციას. მეორე მსოფლიო ომი დასრულდა.

პოლიტბიუროსა და პირადად ამხანაგ სტალინს ჰქონდათ საფუძველი სიხარულისთვის – სსრკ-მ მიისაკუთრა აღმოსავლეთ პრუსია (კალინინგრადი, ამჟამად – კენიგსბერგი) და კურილის კუნძულები, შექმნა „სოციალისტური ბანაკი“ აღმოსავლეთ ევროპაში.

სამხედრო ნადავლის სახით საბჭოეთმა მიიღო გერმანული რეაქტიული თვითმფრინავების 15 სხვადასხვა ტიპი, ფრთოსანი და ბალისტიკური რაკეტები, უმართავი და თვითმართვადი რეაქტიული იარაღი, ინფრაწითელი ხელსაწყოები, უამრავი სხვა სამხედრო და სამოქალაქო ტექნიკის ნიმუში.



რუსეთში გადაყვანილ იქნა მთელი საავიაციო, საავტომობილო და სხვა ქარხნები, დაზგა-დანადგარების გარდა გერმანელი ინჟინერ-კონსტრუქტორები და მუშა-სპეციალისტებიც წაიყვანეს რუსეთში.

P. S. სულ მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობდა 72 სახელმწიფო, საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა 40 ქვეყნის ტერიტორიაზე; მსოფლიო მასშტაბით, შეიარაღებულ ძალებში გაწვეული იყო 110 მლნ კაცი. 1939-1945 წ.წ. დაიღუპა 55 მლნ-ზე მეტი ადამიანი...

გერმანიაში 1939 წ. 1 სექტემბრიდან ომის დასასრულამდე დაიღუპა 3,3 მლნ მშვიდობიანი მოსახლეობა და 4,2 მლნ ეროვნებით გერმანელი ჯარისკაცი. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე 1941 წლის 22 ივნისიდან 1945 წლის მაისამდე დაიღუპა 1,7 მლნ გერმანელი, და კიდევ 0,5 მლნ გერმანელი მოკვდა საბჭოთა ტყვეობაში.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში 1941-45 წ.წ. გაწვეულ იქნა 34,4 მლნ ადამიანი. 1945 წლის მაისისთვის გადარჩა 11,2 მლნ.

საერთო დანაკარგი საბჭოეთში 1941-1945 წ.წ. – 27 მლნ-ზე მეტი მამაკაცი და ქალი...

დიდი მსხვერპლი აქვს აგრეთვე პოლონეთს – 6 მლნ ადამიანი, იუგოსლავიას – 1,7 მლნ ადამიანი. საფრანგეთში დაიღუპა 600 ათასი კაცი, ინგლისში – 370 ათასი.

აშშ-ის სამხედრო ძალებს აქვს შედარებით მცირე დანაკარგი – 412 ათასი ჯარისკაცი.

მეორე მსოფლიო ომის დროს გამოშვებული იქნა დიდძალი იარაღი: გერმანიაში 1941-45 წ.წ. გამოშვებულია 22891 ტანკი, 102 ათასი ქვემეხი, 68 ათასი ნაღმსატყორცნი, 930 ათასი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი, 7 მლნ შაშხანა.

ამავე პერიოდში სსრკ-ში დამზადებულია 102500 ტანკი, 142 ათასი თვითმფრინავი, 482200 ქვემეხი, 351800 ნაღმსატყორცნი, 12,3 მლნ შაშხანა და 6,2 მლნ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი; 4 წლის განმავლობაში დაიხარჯა 10 მლნ ტონა საბრძოლო მასალა, მათ შორის 21 მილიარდი მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღის ვაზნა.

1941 წ. 22 ივნისიდან 1945 წლის მაისამდე საბჭოთა არმიებმა სამუდამოდ დაკარგეს 15,47 მლნ ერთეული მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღი (პისტოლეტებისა და რევოლვერების გარეშე), 96500 ტანკი, 88300 თვითმფრინავი, 317500 ერთეული არტილერია...

*ვალერი ფრანგიშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვალიფიციური რჩევები

**„არსენალი" აგრძელებს რუბრიკას, რომელშიც კვალიფიციურ პასუხს გაგცემთ ყველა დაინტერესებულ პირს მათთვის საინტერესო საკითხებზე. კითხვებზე უპასუხებს ასოციაცია „სამართალი და თავისუფლება", რომელიც უფასო იურიდიულ მომსახურებას სთავაზობს წვევამდელებსა და სამხედრო მოსამსახურეებს. საკონტაქტო ტელეფონი: 95-89-80**

**— სამხედრო-საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურის მოსამსახურეების მიერ ჩადენილი რა ქმედებები ისჯება საქართველოს სამხედრო ძალების საჯარისო სადისციპლინო წესდების მიხედვით?**

*— საქართველოს სამხედრო ძალების საჯარო წესდების მიხედვით, სამხედრო-საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურის შემადგენლობის მიერ ისჯება შემდეგი ქმედებები:*

## ყარაულის მიერ საგუშაგოზე დისციპლინური გადაცდომის ჩადენა

ყარაულის მიერ საგუშაგოზე დისციპლინური გადაცდომის ჩადენა, ე. ი. ქმედება, რომელიც არ შეიცავს სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ არღვევს სამხედრო წესდებებს, გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — ხელფასიდან 20 პროცენტის დაქვითვას სამი თვის ვადით.

## ფუნქციონალური მოვალეობის შეუსრულებლობა

1. ფუნქციონალური მოვალეობის შეუსრულებლობა, ე. ი. სამხედრო-საკონტრაქტო (პროფესიულ) სამსახურში მყოფი პირის მხრიდან მისთვის განსაზღვრული ფუნქციონალური მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — საყვედურს;

2. იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — ხელფასიდან 25 პროცენტის დაქვითვას სამ თვის ვადით.

## ბრძანების შეუსრულებლობის მცდელობა

1. ბრძანების დაუმორჩილებლობა, ე. ი. დადგენილი წესით მიღებული ბრძანების შეუსრულებლობა სამხედრო-საკონტრაქტო (პროფესიულ) სამსახურში მყოფი პირის მიერ, რაც არ შეიცავს სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ნიშნებს, გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — ხელფასიდან 30 პროცენტის დაქვითვას 6 თვის ვადით;

2. იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — ადმინისტრაციულ პატიმრობას.

## მეთაურის (უფროსის) მოტყუება

1. მეთაურის (უფროსის) მოტყუება, ე. ი. სამხედრო-საკონტრაქტო (პროფესიულ) სამსახურში მყოფი პირის მიერ მეთაურისათვის ცრუინფორმაციის მიწოდება, როგორც პირად, ასევე სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით, რამაც არსებითად არ დააზიანა სამხედრო სამსახურის ინტერესები, გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — ხელფასიდან 20 პროცენტის დაქვითვას 6 თვის ვადით;

2. იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — ადმინისტრაციულ პატიმრობას.

შენიშვნა: პირადი ხასიათის ინფორმაციად ჩაითვლება ინფორმაცია, რომლის მიწოდებამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს სამხედრო სამსახურთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

## მხედრული მისალმების წესის დარღვევა

1. მხედრული მისალმების წესის დარღვევა, ე. ი. სამხედრო-საკონტრაქტო (პროფესიულ) სამსახურში მყოფი პირის მიერ მხედრული სალამის არმიცემა ან სალამის მიცემის დადგენილი წესების დარღვევა გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — საყვედურს;

2. იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — ადმინისტრაციულ პატიმრობას.

## მეთაურის (უფროსის) შემოსვლის დროს კომანდა „სმენა"-ს გაუცემლობა

მეთაურის (უფროსის) შემოსვლის დროს კომანდა „სმენა"-ს გაუცემლობა, ე. ი. სამხედრო-საკონტრაქტო (პროფესიულ) სამსახურში მყოფი პირის მიერ სამხედრო წესდებებით გათვალისწინებული შესაბამისი მოქმედების შეუსრულებლობა გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — საყვედურს.

## საზღვაო კომანდების დარღვევა

საზღვაო კომანდების დარღვევა გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — საყვედურს.

## სიმულაცია

სიმულაცია, ე. ი. სამხედრო-საკონტრაქტო (პროფესიულ) სამსახურში მყოფი პირის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ცრუმოქმედებები, აგრეთვე საკუთარი სხეულის დაზიანება განზრახი ქმედებებით, გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — ადმინისტრაციულ პატიმრობას.

## სიმთვრალე

1. სიმთვრალე, ე. ი. სამხედრო-საკონტრაქტო (პროფესიულ) სამსახურში მყოფი პირის სამსახურში ყოფნისას ალკოჰოლური სასმელის ზემოქმედების ქვეშ ყოფნა გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — ადმინისტრაციულ პატიმრობას;

2. იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — სამსახურიდან დათხოვნას.

## ჩხუბი

1. ჩხუბი, ე. ი. სამხედრო-საკონტრაქტო (პროფესიულ) სამსახურში მყოფი პირის მონაწილეობა ჩხუბში სამხედრო ტერიტორიაზე გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — ადმინისტრაციულ პატიმრობას;

2. იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — სამსახურიდან დათხოვნას. შეუფერებლობით.

## სამსახურებრივი ინვენტარის დაკარგვა-დაზიანება

სამსახურებრივი ინვენტარის დაკარგვა-დაზიანება, რაც არ შეიცავს სისხლის სამართლის ნიშნებს, გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — დაკარგული დაზიანებული ინვენტარის ღირებულების ანაზღაურებას.

## პირადი ეკიპირების დაკარგვა-დაზიანება

პირადი ეკიპირების დაკარგვა-დაზიანება, რაც არ შეიცავს სისხლის სამართლის ნიშნებს, გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — დაკარგული დაზიანებული ეკიპირების ღირებულების ანაზღაურებას.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# არსენალვორდი



**თარაზულად:** 1. ჯარების განლაგება ქვეყნის ტერიტორიაზე; 5. იარაღის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 7. საქართველოს თავდაცვის მინისტრი; 8. ავსტრიული პისტოლეტი; 11. მუხლებს ქვემოთ შემოჭერილი, ხოლო ზემოთ ძალიან განიერი სამხედრო შარვალი; 14. გერმანული პისტოლეტი; 15. ქალაქი, სადაც იწარმოება ფრანგული პისტოლეტი MAB PA15; 16. ავსტრიული რევოლვერი; 17. ჰომეროსის პოემა, რომელშიც მოთხრობილია ტროას ომის დამთავრების შემდეგ სამშობლოში მიმავალი ოდისევსის თავგადასავალი; 19. ამერიკული პისტოლეტი; 20. ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობა კვადრატის ან სწორკუთხედის ფორმის რომელსაც იყენებდნენ ძველად კავალერიის შეტევის მოსაგერიებლად; 22. სამართალდამცავი ორგანო; 23. ფულის გამოძალვა; 26. ფოლადის ფურცლები, რომლითაც ფარავენ ტანკებს, სამხედრო გემებისა და ავტომობილების ზედაპირს; 28. ამერიკული სატრანსპორტო-სადესანტო ვერტმფრენი; 29. ცხედარი, გვამი; 30. იტალიური რევოლვერი. **შვეულად:** 1. იტალიური 40მმ-იანი სახომალდო-საზენიტო საარტილერიო კომპლექსი; 2. პრივილეგიური სამხედრო წოდების წარმომადგენელი ფეოდალურ იაპონიაში; 3. იგივეა რაც პლანეტა; 4. უდანაშაულობის საბუთი; 6. პატარა ძაღლი ფინია 8. ჰიტლერის ნამდვილი გვარი; 9. სინდისი; 10. ისლანდიის დედაქალაქი; 11. ესპანური პისტოლეტი; 12. ამერიკული რევოლვერის, კოლტის მოდელი; 13. სამშობლოდან სხვა ქვეყანაში გაძევება ან გადასახლება; 18. „ნასა“-ს ერთ-ერთი „შატლი“, რომელმაც ოთხმოციანებში კატასტროფა განიცადა; 21. სამაგიეროს გადახდა ბრძოლაში დამარცხებისთვის; 24. ესპანური პისტოლეტის „გრან პრეცისიონის“ მოდელი; 25. ბრინჯის არაყი; 27. ქალაქი საქართველოში.

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალვორდის“ პასუხები:* **თარაზულად:** 1. გარდემარინი; 6. ხმალი; 7. ტროფეი; 8. ბერსა; 9. პლატინი; 10. ლეო; 13. რუგერი; 16. რაშიდი; 17. ლეი; 18. იანკი; 19. სამბო; 20. ოლიფა; 21. რეტი; 23. გარნიზონი; 25. ვერაკრუსი; 27. კაპელანი; 28. ვეტო; 29. ბალატონი; 30. რუ; 31. პარტიზანი. **შვეულად:** 1. გესტაპო; 2. რეტოლასა; 3. ეიფელი; 4. რომსე; 5. ნილოსი; 8. ბილი; 11. ოლიმპიკო; 12. პილოტაჟი; 13. რაიჰსრევოლვერი; 14. განგსტერი; 15. რკინა; 19. სუომი; 22. ბუცეფალი; 23. გისასოლა; 24. რეციდივი; 26. კია; 27. კობრა.

**„არსენალი“ გთავაზობთ სექტემბრის თვეში მომხდარი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი და საინტერესო ისტორიული მოვლენების ჩამონათვალს.**

# არსენალის სექტემბრის კალენდარი

**1 სექტემბერი**

1752 წელი — ყაზახ-შამშადილის საზღვარზე, თულქითეფეს ველზე (ახლანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე) გაიმართა ბრძოლა ქართლ-კახეთის ჯარსა და შაქის სახანოს ლაშქარს შორის. ქართველთა ჯარმა ერეკლე II-ს სარდლობით მტერს სამაგიერო მიუზღო იმავე წლის მარტში განჯის ომში დამარცხებისთვის — სასტიკად დამარცხა და დიდად დაზარალებული განდევნა საქართველოს საზღვარს მიღმა.

1939 წელი — ფაშისტური გერმანიის არმია ჰიტლერის ბრძანებით ომის გამოუცხადებლად გადავიდა პოლონეთის საზღვარზე და გამთენიისას ქალაქი ვარშავა დაბომბა.

**2 სექტემბერი**

1191 წელი — მუსლიმანმა სულთანმა სალადინმა შეაჩერა ქალაქ იერუსალიმზე მიმართული ინგლისის მეფის, რიჩარდ I-ის შეტევა (მესამე ჯვაროსნული ომის დროს).

1945 წელი — დამთავრდა II მსოფლიო ომი (გაგრძელდა ზუსტად 6 წელიწადს, მონაწილეობდა 61 სახელმწიფო, დედამიწის მოსახლეობის 80 პროცენტი).

1945 წელი — საბჭოთა ჯარებმა დაასრულეს იაპონიის კვანტუნის არმიის განადგურება.

**3 სექტემბერი**

1939 წელი — ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა, რომლებიც პოლონეთთან დაკავშირებული იყვნენ ურთიერთდახმარების პაქტით, ომი გამოუცხადეს გერმანიას.

1987 წელი — გარდაიცვალა ალექსანდრე ნადირაძე — ინჟინერ-გენერალ-ლეიტენანტი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქე (1984 წ.), აკადემიკოსი, სსრკ სარაკეტო ტექნიკის მთავარი კონსტრუქტორი, საბჭოთა ბალისტიკური რაკეტების შემქმნელი.

**5 სექტემბერი**

1914 წელი — 5-9 სექტემბრის პერიოდში, პარიზსა და ვერდენს შორის, მდ. მარნასთან, გაიმართა ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზული ბრძოლა ინგლის-საფრანგეთის მე-6 და გერმანიის მე-5 არმიებს შორის (მარნას ბრძოლაში მონაწილეობდა 100-ზე მეტი ქვეითი და ცხენოსანი დივიზია, თითქმის 2 მილიონი კაცი. ეს იყო გადამწყვეტი მომენტი I მსოფლიო ომში. ანტანტის ქვეყნების ოპერაციით დასამარდა კაიზერული გერმანიის მოკლევადიანი ომის გეგმები).

1919 წელი — რუსეთის სამოქალაქო ომის გამორჩეულად კოლორიტული ფიგურა ვასილ ჩაპაევი დაიღუპა მდ. ურალის გადაცურვის დროს.

**7 სექტემბერი**

1831 წელი — რუსეთ-პოლონეთის ომის (1830-31) დროს რუსეთის არმიამ ფელდმარშალ ივანე პასკევიჩის სარდლობით 36-საათიანი შტურმით აიღო ქალაქი ვარშავა.

**8 სექტემბერი**

1157 წელი — დაიბადა რიჩარდ I ლომგული — ინგლისის მეფე, შუა საუკუნეების დიდი მხედართმთავარი.

1621 წელი — დაიბადა ლუი II დე ბურბონი კონდე — ფრანგი მხედართმთავარი („სისხლისმიერი პრინცი“).

1795 წელი — თბილისთან ახლოს, სოღანლუღთან, მეფე ერეკლე II-ის მიერ დაზვერვაზე გაგზავნილი 12 მხედარი მტრის ლაშქარს შეეფეთა და მამაცურად შეაკვდა (გადარჩა მხოლოდ ერთი — გორჯასპი ნათალიშვილი, რომელიც მის მიერვე მოკლული თურქმანის სწრაფმავალ ცხენს შეახტა და მოხუც მეფეს შეატყობინა დედაქალაქთან მტრის მიახლოება).

**9 სექტემბერი**

1087 წელი — გარდაიცვალა ვილჰელმ დამპყრობელი — ინგლისის მეფე (მის მიერ 1066 წელს მოგებულმა ჰასტინგსის ბრძოლამ მოვლენათა მსვლელობა შეცვალა მსოფლიოში).

**11 სექტემბერი**

1790 წელი — რუსთა ესკადრამ ადმირალ უშაკოვის მეთაურობით ტენდრას კონცხთან დაამარცხა თურქების საზღვაო შენაერთი.

1795 წელი — გაიმართა კრწანისის ბრძოლა (წინა დღეებში ქართველებმა სძლიეს აღა-მაჰმად-ხანის მოლაშქრეებს, მაგრამ ამ ჯერზე, ღალატის გამო, ქართული ჯარი დასამარცხებლად განწირული აღმოჩნდა).

1802 წელი — საქართველოს მთავარმართებლად დაინიშნა პავლე ციციანოვი (ციციშვილი) და თანამდებობასთან ერთად ებოძა გენერალ-ლეიტენანტის ჩინი.

1862 წელი — დაიბადა დავით კლდიაშვილი — მწერალი და ოფიცერი.

1973 წელი — ჩილეში მოხდა სამხედრო გადატრიალება — ქვეყნის ხელისუფლების სათავეში მოექცა გენერალი პინოჩეტი.

2001 წელი — აშშ-ში, ქალაქ ნიუიორკში მოხდა ტერორისტული აქტი — უდიდესი რეზონანსის მოვლენა მსოფლიოში. ტერორისტებმა გაიტაცეს 4 თვითმფრინავი, ორი მათგანი დაეჯახა მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შენობას და დაანგრია იგი, ერთი კი დაეჯახა პენტაგონის შენობას...

**12 სექტემბერი**

1795 წელი — შავი დღე თბილისის ისტორიაში — ქალაქი აღა-მაჰმად-ხანის ხელში ჩავარდა (ქალაქის დატოვება მან მხოლოდ ათდღიანი თარეშის, აოხრების, აკლებისა და გადაბუგვის შემდეგ ინება).

1801 წელი — დასრულდა ქართლ-კახეთის სამეფოს ლიკვიდაცია: რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე I მანიფესტის საფუძველზე ცარიზმის იმპერიის გუბერნიად გამოცხადდა.

1812 წელი — გარდაიცვალა ბოროდინოს ბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრილი პეტრე ბაგრატიონი — ინფანტერიის გენერალი, არმიების სარდალი (17-ში დაკრძალეს სოფელ სიმის ეკლესიაში, სადაც განისვენებდა 1839 წლამდე).


აბრაამ ლინკოლნი


ადმირალი ნელსონი

**13 სექტემბერი**

1826 წელი — რუსეთ-ირანის ომის (1826-28) მსვლელობისას მოხდა დიდი ბრძოლა განჯისათვის (რუსთა გამარჯვებაში ლომის წილი დაიდეს ქართველმა მეომრებმა).

1860 წელი — დაიბადა ჯონ ჯოზეფ პერშინგი — აშშ არმიის გენერალი, XX საუკუნის I ნახევრის დიდი მხედართმთავარი.

1942 წელი — ქალაქ სტალინგრადის ქუჩებში დაიწყო თავდაცვითი ბრძოლები.

**14 სექტემბერი**

1829 წელი — ანდრიანოპოლის ზავით (რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ) საქართველოს დაუბრუნდა ქალაქები: ახალქალაქი, ახალციხე, ფოთი.

**15 სექტემბერი**

1615 წელი — კახეთში დაიწყო აჯანყება ყიზილბაშების წინააღმდეგ დავით ჯანდიერის ხელმძღვანელობით (ქართველ „მლოცველთა" დიდი რაზმი, საეკლესიო დღესასწაულის საბაბით, ალავერდის ტაძრის ეზოში შევიდა... იქიდან ავარდნილი ამბოხის ალი მთელ კახეთს გადასწვდა).

1916 წელი — I მსოფლიო ომის პერიოდში მდ. სომზე ჩატარებული ოპერაციის დროს ინგლისის ჯარმა ბრძოლაში პირველად გამოიყენა ტანკები.

**16 სექტემბერი**

1939 წელი — გერმანიის ჯავშანსატანკო ჯარებმა (მთავარსარდალი ჰაინც გუდერიანი) 16-დღიანი ბრძოლების შემდეგ დაიპყრეს პოლონეთი.

1955 წელი — რუსეთში დაიწყეს საზღვაო ბაზირების სტრატეგიული რაკეტების გამოცდა.

**17 სექტემბერი**

1785 წელი — ომარ-ხანმა საქართველოში დიდი ლაშქრობისთვის ხელსაყრელი ვითარებით ისარგებლა და 11 (ზოგი ცნობით — 20) ათასი მეომრით შემდგარი რჩეული ჯარით მდ. ალაზანი გადალახა და მდ. იორიც უკან მოიტოვა, რითაც ქალაქ სიღნაღში თავმოყრილ ქართველთა ჯარს ზურგიდან მოექცა.

**18 სექტემბერი**

1662 წელი — სპარსეთში საშინელი წამებით დახოცეს შაჰის კარზე მისული და პატიებანათხოვი ქართველები — ირანელთა ბატონობის მოსპობის მიზნით კახეთში 1659 წელს მომხდარი სახალხო აჯანყების მეთაურები ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ერისთავები (ეეროპელმა კათოლიკეებმა პირველი ფარულად დაკრძალეს, სხვათა ცხედრები კი რამდენიმე ხნის შემდეგ გმირების ქვრივებმა საქართველოში ჩამოასვენეს და სოფელ იკორთაში დაკრძალეს ერისთავების საგვარეულო ტაძარში) — საქართველოსთვის წამებული რაინდები ქართულმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა.



რიჩარდ I ლომგული

**19 სექტემბერი**

1356 წელი — 100-წლიანი ომის (1397-1453) დროს უელსელი პრინცის, ედუარდის, სარდლობით ინგლისის არმიამ სასტიკად დაამარცხა ფრანგთა ჯარი და დაატყვევა მათი მეფე იოანე II კეთილი.

1992 წელი — საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავებმა ფრენაში გამოსცადეს და ჩაიბარეს ქართული წარმოების სუ-25 ტიპის თვითმფრინავები. პირველი გაფრენები შეასრულეს იზანი ცერცვაძემ და ვალერი ნაყოფიამ, მეორე დღეს კი ვიაჩესლავ ჭაბუამ და დავით ყიზილაშვილმა (19.09 საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების შექმნის დღედ დადგინდა 1995 წლიდან).

**20 სექტემბერი**

1902 წელი — დაიბადა ვასილ მჟავანაძე — გენერალ-ლეიტენანტი (1944). საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი (1972 წელს გავიდა პენსიაზე).

**21 სექტემბერი**

1380 წელი — გაიმართა კულიკოვოს ბრძოლა.

1589 წელი — ჰენრი ნავარელის ჯარმა დაამარცხა კათოლიკური ლიგის არმია.

**22 სექტემბერი**

1862 წელი — აშშ პრეზიდენტმა აბრაამ ლინკოლნმა გამოსცა ბრძანება მონების განთავისუფლების შესახებ (გადაწყვეტილება ნაკარნახები იყო სამხედრო მოსაზრებით: შავკანიანებმა მიიღეს ჩრდილოელთა არმიაში სამსახურის უფლება. მართლაც, არმიაში დამატებით 186 ათასი კაცი შევიდა).

1980 წელი — დაიწყო ირან-ერაყის ომი (9 წლის შემდეგ ზავით დამთავრდა, ორივე მხრიდან დაიღუპა მილიონობით ადამიანი).

**23 სექტემბერი**

1943 წელი — გენერალ შარლ დე გოლის



გენერალი ჰეინც გუდერიანი

მეთაურობით ფრანგული არმიის ნაწილები კუნძულ კორსიკაზე გადასხდნენ.

1999 წელი — რუსეთის სამხედრო ავიაციამ დაიწყო ქალაქ გროზნოს მასირებული დაბომბვა.

**27 სექტემბერი**

1993 წელი — დაეცა ქალაქი სოხუმი.

1998 წელი — სამხედრო წოდება „გენერალ-ლეიტენანტი" მიენიჭათ საქართველოს თავდაცვის მინისტრს დავით თევზაძესა და საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ვალერი ჩხეიძეს.

**28 სექტემბერი**

1785 წელი — ქალაქ პარიზის სამხედრო სკოლა დაამთავრა და არტილერიის უმცროსი ლეიტენანტის წოდება მიიღო ნაპოლეონ ბონაპარტმა.

**29 სექტემბერი**

1619 წელი — ირანმა განახლებული ზავით ახალციხე ოსმალეთს დაუთმო (სინამდვილეში შაჰ-აბასი ფარისევლობდა, დროს იგებდა, ძალებს იკრებდა და ოსმალეთთან გადამწყვეტი შეტევისთვის ემზადებოდა).

1758 წელი — დაიბადა ჰორაციო ნელსონი — ინგლისელი ადმირალი, დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გმირი, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პიროვნება მსოფლიო ზღვაოსანთა შორის (ბრძოლებში დაკარგა ცალი თვალი და ცალი ხელი).

**30 სექტემბერი**

1453 წელი — დაიწყო პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა.

1954 წელი — საბჭოთა კავშირში გაიმართა პირველი მსხვილი სამხედრო სწავლება ატომური ბომბის აფეთქებით.

*შეადგინა*
*ამირან ტალახაძემ*




# JEEP GRAND CHEROKEE

პოსტსაბჭოურ სივრცეში Jeep CHEROKEE ერთ-ერთი პირველი ჯიპი იყო, რომელიც „ჟიგულიზებულ“ გზებზე გამოჩნდა და საწყალი საბჭოთა ადამიანების წარმოდგენა ავტომობილის შესახებ თავდაყირა დააყენა. ძარის მრისხანე ნაპობი ფორმები, ფართო ცხვირი, რადიატორის ვერტიკალური ხარიხები და სხვა უცნაური ატრიბუტები დამთრგუნველად მოქმედებდა „ვოლგების“, „ჟიგულების“ და „მოსკვიჩების“ მრავლისმნახველ მძღოლებზე. „ზაპოროჟეცის“ პატრონები ხომ, მიწა გაგვისკდეს და ჩვენი მანქანებიანად თან ჩაგვიტანოსო, ნატრობდნენ. „ჩეროკი“ გამოჩენისთანავე ყურადღებას იპყრობდა, მანქანები გზას უთმობდნენ, ერიდებოდნენ და იგიც ლაღად დაქროდა. თავიდან მოძრაობის წესებს არ დაგიდევდა, რადგან იცოდა, ვერავინ გააჩერებდა და ვერც შედავებას გაუბედავდა. თვით საბჭოთა გზების მებაჟე-ფეოდალები, ჩაკურატებული ულვაშა ავტოინსპექტორებიც კი ვერ ბედავდნენ მის გაჩერებას, მათი დანახვა წესრიგის „დამცველებში“ მსუბუქ შოკისებრ დაბნეულობას იწვევდა, — უცებ გახევდებოდნენ და მუშაობით გადახურებული „სვისტოკები“ ტუჩებზე უცივდებოდათ. „ჯიპ ჩეროკი“ ჩაიქროლებდა და ასობით შურიან თვალს გაიყოლებდა თან, ნირწამხდარი ავტოინსპექტორები კი ნაღვლიანად გადახედავდნენ თავიანთ ქრთამით ნაყიდ „ჟიგულებს“...

10-15 წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა, შეიცვალა „ჩეროკიც“, რა თქმა უნდა, უკეთესობისაკენ. იგი პატივისცემას კი არ გაიძულებს, როგორც პრემიუმ-სეგმენტის ავტომობილთა უმრავლესობა, არამედ კეთილად განგაწყობთ მის მიმართ. რა მშვენივრად გამოიყურება „გრანდის“ ინტერიერი, როცა Ghrysler-ის უკანასკნელი მოდელებისთვის დამახასიათებელი ლურჯ-მწვანე სანათურითაა განათებული. სიმშვიდე და სიმყუდროვეა მასში ჩაბუდებული.



ნუ შეგეშინდებათ, თუ ჭრილში გასაღების მოთავსებისთანავე ოდნავ გასაგონი ზუზუნი მოგესმებათ და თქვენი სავარძელი საჭისკენ მიიწევა. ეს იმას ნიშნავს, რომ მუშაობს სისტემა „Easy Entry“, რომელსაც მძღოლის მანქანაში ჩაჯდომა-გადმოსვლის გაიოლება ევალება (ტანსრული მძღოლებისთვის მისწრებაა). გადააბრუნებთ გასაღებს და დიზელის ძრავის დამახასიათებელი რახრახის ნაცვლად კაპოტიდან ბენზინის მოტორის კეთილშობილი, ძლივსგასაგონი... ძლდაუტანებელი გუგუნი შემოგესმებათ. თავიდან ჯიპი მოძრაობისას თითქოს ცხვირს იჩნევს, მაგრამ საქმეში სტაბილიზაციის სისტემა ერთვება და 2169-კილოგრამიანი მასის სხეული წინ თავდაჯერებულად მიექანება. ზამთრის „შუქნიშნების მარათონში“ Ggrand Cherokee მხოლოდ მსუბუქ სრულამძრავიან ჯიპს თუ ჩამორჩება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საწვავის ხარჯი ქალაქური ციკლისთვის 15 ლიტრია ას კილომეტრზე, რაც ამხელა მასის მქონე ავტომობილისთვის მშვენიერი მონაცემია. სამი ლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა





ტრის მოცულობის, ექვსცილინდრიან მოტორს, რომელიც „გრანდს“ Daimler-Chrysler-ის გერმანელი პარტნიორებისგან ერგო, უზარმაზარი ბრუნვითი მომენტი — 510 ნიუტონ-მეტრი აქვს, რომელიც წუთში 1600 ბრუნვით მიიღწევა.

„გრანდის“ მზის საჩრდილობლებზე გაკეთებული წარწერები გვაფრთხილებს: „ამ ავტომობილს გადაბრუნების მაღალი ალბათობა აქვს, ნუ გარისკავთ! ერიდეთ დიდ სიჩქარესა და მკვეთრ მანევრებს!“ მიუხედავად ამისა, „გრანდის“ მფლობელები არც დიდ სიჩქარეს და არც მკვეთრ მანევრებს არ გაურბიან, გადაბრუნებული Grand Cherokee-ც,მგონი,არავის უნახავს. ჯიპი ასფალტზე (უგზოობის ავტომობილის კვალობაზე) მშვენიერ თვისებებს ავლენს. საკმაოდ სწრაფად, მინიმალური დაგვიანებით რეაგირებს საჭის მოძრაობაზე. ის ერთ-ერთია იმ ავტომობილთაგან, რომელიც მოლიპულ გზაზე უფრო სწრაფად ამუხრუჭებს, ვიდრე მძღოლი მოელის. გზატკეცილზე ჯიპი ადვილად აღწევს კრეისერულ 150-160 კილომეტრ სიჩქარეს და არც მაქსიმალური — 200 კმ/სთ-ის მიღწევა უჭირს.

რაც უნდა იყოს, ჯიპი მაინც უგზოობის ავტომობილია, როგორ იქცევა ის უასფალტო გზაზე? ახალი Grand Cherokee-ს შემქმნელები ეცადნენ მისი მართვა უფრო მსუბუქი და მოსახერხებელი ყოფილიყო, რასაც მათ უდავოდ მიაღწიეს. ამასთან,ისე,რომ ჯიპის მთავარი თვისება, — უგზოობის პირობებში შეუფერხებელი მოძრაობა, — არ დაქვეითებულა.

დიზელისძრავიან „გრანდს“ ყველაზე საუკეთესო ტრანსმისია — Quadra Drivell აქვს. „გრანდის“ კლირენსი არცთუ მაღალია, სამაგიეროდ, ტრანსმისია და ძრავა ქვემოდან საუკეთესოდაა დაცული. ამიტომაც მუცელზე გაწოლა მისთვის საშიში არ არის.

თუ ზემოთ ნათქვამს შევაჯამებთ, უნდა ვთქვათ, რომ Grand Cherokee არის კომფორტული და მოხერხებული „დრაივერული“ ავტომობილი. სწორედ „დრაივერული“, რადგან მისი მართვისას შედარებით მეტ სიამოვნებას იღებ, ვიდრე სხვა რომელიმე მსუბუქი ავტომობილის ტარებისას, მათ შორის სწრაფისა და ძვირად ღირებულებისა. „გრანდის“ კოზირებია: ჰაეროვანი სვლა, მოხერხებული სავარძლები და მძლავრი და ეკონომიური ძრავა. მიუხედავად დიდი გაბარიტისა, „გრანდის“ სალონი არცთუ დიდი მოგეჩვენებათ. მძღოლისა და წინ მჯდომი მგზავრის თავზე დაბალი სივრცეა, უკანა ნაწილში კი საქმე გაცილებით რთულადაა. გარდა იმისა, რომ თავზემოთ სივრცე ძალზე მცირეა, იატაკის სიმაღლე მგზავრს მოხერხებულად დაჯდომის საშუალებას არ აძლევს.

მიუხედავად იმისა, რომ უგზოობის ავტომობილები, ანუ „ასფალტის ჯიპები“ საკმაოდ მომრავლდა, სპეციალისტების აზრით, Grand Cherokee-ს ცოტა თუ გაუწევს კონკურენციას, რადგან ერთნი მას გამავლობით ჩამორჩებიან, მეორენი გზატკეცილზე მანევრირებით, მესამენი კი ძალზე ძვირად ფასობენ.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# უკვდავი კომანდანტე

მოკლე ინფორმაცია: ფიდელ კასტრო რუსი; 2006 წლის 13 აგვისტოს დაბადებიდან მე-80 წლისთავი იზეიმა

კასტრომ დაამთავრა კათოლიკური კოლეჯი, ჰავანის (კუბა) უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და ასპირანტურა (აქვს სამართლის დოქტორის ხარისხი), არის რამდენიმე ქვეყნის, მათ შორის რუსეთის, წამყვანი უნივერსიტეტების იურიდიული მეცნიერების საპატიო დოქტორი; სახელმწიფო ოფიციალური პოსტები: კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი (1962-65 წლებში იყო გაერთიანებული რევოლუციური ორგანიზაციების ნაციონალური ხელმძღვანელობის პირველი მდივანი, 1965 წლიდან კი პარტიამ სახელი შეიცვალა და ეწოდა „კუბის კომუნისტური პარტია“), სახელმწიფო საბჭოსა და კუბის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე (არჩეულ იქნა 1976 წლის დეკემბერში), კუბის რევოლუციური შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი; სამხედრო წოდება – რევოლუციის კომანდანტე; საერთაშორისო პრემიები და ჯილდოები – „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისთვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი (1960 წ.), პოლიო-კიურის სახელობის მშვიდობის ოქროს მედალი (1972 წ.); გამოცემები და თხზულებანი: ავტორია წიგნისა „ომისა და რევოლუციის ათი წელი“, ასევე, სტატიებისა და სიტყვათა რამდენიმე კრებულისა; ოჯახური მდგომარეობა: მისი ქორწინება უმკაცრესად გასაიდუმლოებულია; ქონებრივი საკუთრება: ათეული წლების წინ პირად საკუთრებაში ფლობდა 32 სახლს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, თვით დედაქალაქში 3 სახლსა და 2 მიწისქვეშა ბუნკერს (სადაც შეუძლია თავშეფარება 60-მდე გენერლიანი ამალის თანხლებით); პირადი დაცვა: 9700 შეიარაღებული პირი ქვეყნის მასშტაბით და 2800 კაცი დედაქალაქში. „პირველი კუბელის“ დაცვა ევალება შინაგან საქმეთა სამინისტროს, „მეორე კუბელისა“ (ძმის, რაულისა) კი შეიარაღებული ძალების სამინისტროს.



## როგორ იქმნებოდა კომანდანტე

კუბელი მდიდარი ლატიფუნდისტის შთამომავალმა და შაქრის პლანტაციის მფლობელი მშობლების შვილმა, რომელსაც ის-ის იყო, 20 წელი შესრულებოდა და საუნივერსიტეტო განათლების წყაროც არ ამოეშრო, პირველად ჩახედა თვალებში სიკვდილს. დიახ, უმწიფარი ადვოკატი სიკვდილს პირველად ცურვით გაუსხლტა: მდევრებისგან თავდასაღწევად ფიდელი იარაღიანად გადაეშვა ზღვის მორევში, ცურვით გადალახა ნიპეს სრუტე და მშვიდობიანად დაბრუნდა ჰავანაში, მისი თანამზრახველები კი დააპატიმრეს – ეს მოხდა 1947 წელს კუბის ახლო კუნძულზე, დომინიკის რესპუბლიკაში, სადაც სოციალური სამართლიანობის ახალგაზრდა მაძიებლებთან ერთად არალეგალურად შეაღწია, იქაური დიქტატორის გენერალ რაფაელ ტრუხილიოს რეჟიმის დამხობის მსურველთა დახმარების მიზნით...

როგორც დამწყები ორთოდოქს-მარქსისტი, უცხო მიწაზე იწრთობოდა და ყალიბდებოდა. დომინიკური ექსპედიციის მომდევნო წელსვე ჯერაც სტუდენტი ფიდელი დახმარების ხელს კოლუმბიელებს უწვდის, სადაც მოკლეს ლიბერალური პარტიის პოპულარული ლიდერი ჰაიტანი (1948 წლის აპრილში); სტუდენტური ლიდერის რანგში გაემგზავრა ლათინური ამერიკის სტუდენტთა ანტიიმპერიალისტურ და ანტიკოლონიურ კონგრესზე და ბოგოტაში პროგრესული ძალების საპროტესტო მოძრაობაში მონაწილეობდა. წიგნისთვის როდისღა იცლიდა, ძნელია სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ უნივერსიტეტში სწავლა მოითავა, დიპლომი ჯიბეში დაიგულა და ერთხანს საადვოკატო პრაქტიკასაც კუთვნილი მიაგო – ღარიბ-უქონელ თანამემამულეთა საქმეებს უფასოდ უძღვებოდა. ზურგი რომ მოიმაგრა კოლუმბიურ მთებში პარტიზანული ომის გამოცდილებით, ფიდელმა უკვე კუბაზე უწინამძღვრა ახალგაზრდა თანამზრახველებს – შექმნა იატაკქვეშა სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია და იერიში მიიტანა სანტიაგო-დე-კუბაში მონკადოს ყაზარმაზე. მის დამცველებზე რიცხობრივად ლამის 5-ჯერ ნაკლებ პატრიოტებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, თვით შეიარაღებული თავდასხმის მოთავე კი ციხის გისოსებს მიღმა აღმოჩნდა 15-წლიანი პატიმრობის ვადით. მაშინ ფიდელი მგზნებარე სიტყვით გამოვიდა მარცხიანი შტურმის მონაწილეთა სასამართლოზე. „ისტორია მე გამამართლებს“, – ბრძანა შორსმჭვრეტელმა ადვოკატმა-მეამბოხემ. მისი სიტყვა კუბაზე სახალხო-დემოკრატიული, ანტიიმპერიალისტური, აგრარული რევოლუციის პროგრამად გადაიქცა და საფუძვლად დაედო „26 ივლისის მოძრაობის“ შექმნას (მონკადის ყაზარმის საიერიშო თარიღის სამახსოვროდ). თუმცა მანამდე იყო ერთეულთა საკანი კუნძულ პინოსის კუნძულზე და... 1955 წლის მაისის ამნისტია. უკვე ივლისში კი ყოფილმა პატიმარმა მექსიკას მიაშურა, სადაც უფრო საგულდაგულოდ გააგრძელა „26 ივლისის მოძრაობის“ განმტკიცებისათვის მუშაობა და გენერალ ბატისტას დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლა. მათი გზები საბედისწეროდ რამდენჯერმე გადაიკვეთა – ან ერთი უნდა დარჩენილიყო კუნძულზე, ან – მეორე.

...სამი წლის შემდეგ, 1956 წლის 2 დეკემბერს, მექსიკის სანაპიროებიდან ნავოტისოდენა იახტით მალული საზღვაო გზით კუბაზე გადავიდა 82 პატრიოტი, მაგრამ „გრანმას“ მგზავრთა რაზმიდან სანაპიროზევე სამთავრობო ჯართან შეტაკებისას ცოცხალი გადარჩა მხოლოდ 12 მებრძოლი, მათ მთებში შეაფარეს თავი და პარტიზანული ომი გააჩაღეს. აჯანყებულთა ძირითადმა ბირთვმა ფიდელის გარშემო ისევ შემოიკრიბა ახალი ძალები. ახალგაზრდა მეთაური, მუდამ რისკიანი და დაუდგრომელი, დღენიადაგ მაღალ და ნათელ მიზნებს ისახავდა – ყველგან უნდა მოეშთო დიქტატურის მსახვრალი ხელი და მალე ფიდელი ლათინურამერიკული გერილიის ლიდერად და, ბოლოს, მისსავე პატრიარქად გადაიქცა. ისტორიკოსებმა შენიშნეს, რომ ფიდელ კასტრომ ქრისტეს ასაკში მიაღწია თავისი ცხოვრების უმთავრეს გამარჯვებას – ამჯერად მშობლიურ კუნძულზე: 1959 წლის პირველ იანვარს გენერალ ბატისტას რეჟიმი დაემხო! ის კუბიდან გაიქცა. კასტრომ დედაქალაქი დაიკავა და თავი რევოლუციური მთავრობის პრემიერად გამოაცხ-





ფიდელს ძალიან ბევრი ნაცნობი და მეგობარი ჰყავს... მარადონასთან და იოანე პავლე II-სთან ერთად...

ადა, პოლიტიკური ლიდერის მოვალეობანი იკისრა და ქვეყნის გამგებლობის სადავეები ხელში აიღო. სამხედრო ფორმა, როგორც საკუთარი და ქვეყნის სამხედრო-რევოლუციური წარსულის სიმბოლო, აღარ გაიხადა. შეინარჩუნა ლეგენდარული წვერიც, მან ხომ ჯერ კიდევ სანტა-მაესტროს მთებში სხვა „ბარბუდოსებთან“ ერთად დადო ფიცი, წვერი არ მოეპარსა მტრებზე საბოლოო გამარჯვებამდე. სამხედრო უნიფორმაზე ახალი რეგალიები დაიმატა და უფრო მეტად ემოციური და გულმხურვალე გახდა პუბლიკის წინაშე. სიტყვით გამოსვლისას ოპონენტებს ანადგურებდა, ხოლო მომხრეთა აღფრთოვანებას იწვევდა.

ყველა წვრილმანი, რაც კი მის პირად ცხოვრებას, ანდა პარტიულ-სახელმწიფო ელიტის საქმიანობას შეეხება, შეუვალი ფარდით არის გამიჯნული და უმკაცრესად გასაიდუმლოებული, მაგრამ ხომ გსმენიათ ანდაზა: ნემსი თივაში არ დაიმალებაო და დროის კვალობაზე ბევრი რამ გაცხადდა.

ფიდელის პირველი ცოლი, ხუანა დიას ბალარტი, რომელსაც კარგა ხნის წინ გაეყარა, რევოლუციის გამარჯვებისთანავე ემიგრაციაში გაიქცა და ესპანეთში ცხოვრობდა. იმ ქორწინებიდან კომანდანტეს ერთი ვაჟი შემორჩა – მამის სეხნია, რომელიც კუბის ატომური ენერგეტიკის უწყებას განაგებდა და მისი ახალგაზრდობის ასლი იყო გარეგნულად. ჭაბუკობაში ფიდელიტო საბჭოელ ქალზე დაქორწინდა, მეორედ კუბელს დაუკავშირა ცხოვრება, მესამედ კი ესპანელ არისტოკრატთა ქალიშვილს დაადგა თვალი...

ფიდელ კასტროს ერთ-ერთი მეუღლე (სავარაუდოდ, მეორე) კუბის ოკეანოგრაფიის ინსტიტუტში მუშაობდა და მან ხუთი ვაჟიშვილი აჩუქა კუნძულის მამა-მარჩენალს. ხუთივეს სახელები ასო „ა“-ზეა შერჩეულ-გაწყობილი: აოინი, ალექსი, ანატოლიო და ა.შ. ისინი საბჭოთა კავშირში სწავლობდნენ ინკოგნიტოდ. მათთან ერთად იყვნენ დედ-მამის ორეულები — სახუშიშროების მუშაკები, რომლებიც მათ მშობლებს განასახიერებდნენ.

ფიდელს ორი ძმა და და ჰყავდა. უფროსი ძმა, რამონი, კუბაზე ცხოვრობდა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საცდელ მეურნეობას განაგებდა ჰავანიდან არცთუ მოშორებით... უმცროსი, რაული — შუათანა ძმასავით ცნობილი კაცია კუბაზე, ახალგაზრდობიდანვე მის გვერდით მყოფი, მებრძოლი, გაპოლიტიკოსებული, ქვეყნის სადავეების მართვის გამნაწილებელი, ოღონდ იმითაც კმაყოფილი, რომ მუდამ მეორე კაცის როლს თამაშობს კუნძულის იერარქიულ სცენაზე...

კასტროთა უმცროსმა დამ, მათი ცხოვრების თარგზე ვერგამოჭრილმა და ვერმორგებულმა, შეერთებულ შტატებს შეაფარა თავი. რევოლუციონერი ძმების დაუძინებელი მტერი შემთხვევას არ უშვებდა, რომ ორივე დაედანაშაულებინა „კომუნისტებისთვის ქვეყნის მიყიდვაში“.

წერილის შესავალში მოხმობილი მონაცემები „პირველი კუბელის“ პირადი დაცვის თაობაზე არაფერია იმასთან შედარებით, რა ძალებიც მაშინ ამოქმედდებოდა ხოლმე, როცა კომანდანტე რომელიმე პროვინციას ეწვეოდა. მაშინვე აფუსფუსდებოდნენ იმ რეგიონში განლაგებული შინაგანი ჯარების ქვეგანყოფილებები და შეიარაღებული ძალების ყველა ნაწილი. მეტიც, თუკი კუბური რევოლუციის ლიდერი მოიწადინებდა ბანაობას, კუთვნილი რამდენიმე იახტიდან ერთ-ერთით გასეირნებას ან წყალქვეშა ნადირობას, მაშინ ხომ საბრძოლო მზადყოფნა ცხადდებოდა სამხედრო-საზღვაო ძალებშიც, ხოლო სპეცდანიშნულების ჯგუფის 122 მყვინთავი მტკაველ-მტკაველ ჩხრეკდა ზღვის ფსკერს.



...კასტრო კუნძულის ისტორიაში დარჩება იმ ლეგენდარულ პიროვნებად, ვინც კუნძულელებს ჰპირდებოდა მმართველობის დემოკრატიული ფორმის შექმნას, სიტყვისა და პრესის თავისუფლებას, პიროვნულ უფლებებს და კერძო საკუთრებას. მან კი დანაპირების სანაცვლოდ დასაჯა ათასობით ბატისტას მომხრე და თავისი მოწინააღმდეგე, დაიწყო კუბური ეკონომიკის ნაციონალიზაცია, კონფისკაცია გაუკეთა მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების ამერიკულ ქონებას და ეს გაამართლა „იანკების იმპერიალიზმზე“ შეტევით...

XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს კასტრო რევოლუციური იდეების ექსპორტსაც შეეცადა. პირველი მცდელობა ბოლივიაში 1967 წელს მარცხითა და ძველი მეგობრის ჩე გევარას სიკვდილით დასრულდა. საბჭოური იარაღით შეიარაღებული კუბელები 70-იან წლებში მხარში edgნენ მარქსისტულ გამოსვლებს სამხრეთ ამერიკასა და აფრიკაში... ყველაფერ ამას კასტრო ამართლებდა კომუნისტების მხარდაჭერის აუცილებლობით, თუმცა მისთვის უმთავრესი იყო ყველა კუბელის შეკავშირება საერთო მტრის წინააღმდეგ.

და მაინც, მან კუბა ვერ ააყვავა, ვერ გადააქცია სანუკვარ ბაღნარად. საბჭოთა კავშირის კრახის შემდეგ კი, როცა „უფროსი მეგობარი ქვეყნისგან“ ეკონომიკური დახმარების წყარო დაიშრიტა, კუნძულზე ეკონომიკური მდგომარეობა თანდათან გაუარესდა და უკუსვლა დღესაც გრძელდება. თვით კასტრომ ხელისუფლება მხოლოდ მკაცრი მმართველობის გამოისობით შეინარჩუნა...

დაინტერესებული მკითხველი შენიშნავდა, რომ კასტროს შესახებ საუბარი წარსულ დროში მოგვიხდა. ასეა, „კასტროს ერა“ მთავრდება (თუ უკვე არ დასრულებულა). არენაზე გამოდის ახალი კასტროული ძალა, მაგრამ არავინ იცის, უმცროსი ძმა — რაულ კასტრო რუსი — მასზე უარესი იქნება თუ კარგი. ცხადი ის არის, რომ „კასტროს ეპოქას“ ისევ „კასტროს ეპოქა“ ენაცვლება.

მოამზადა
ამირან ტალახაძემ

# MP5 ტერორისტების რისხვა

## ანტიტერორისტული სპეცსამსახურები 40 წელია ამ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევს ირჩევენ

როგორც ებრაული პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი UZI გახდა ათასი ჯურის ტერორისტის სიმბოლური იარაღი, ისე გერმანული MP5 თითქმის ნახევარი საუკუნეა, მსოფლიოს ყველა კუთხეში ანტიტერორისტული დანაყოფების უსაყვარლეს ინსტრუმენტად იქცა ტერორისტების განადგურების საქმეში. უახლესი მაგალითი ინგლისის დედაქალაქში განვითარებული მოვლენებია: ვინც გადმოცემულ ტელესიუჟეტებში ლონდონის ჰიტროუს აეროპორტში მოქმედ სპეცსამსახურების თანამშრომლებს დააკვირდებოდა, ადვილად შეამჩნევდა მათ ხელში ამ ადვილად საცნობ, ლეგენდარულ გერმანულ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევს.

„არსენალმა“ MP5 თბილისში, ერთ-ერთ დახურულ პოლიგონზე გამოსცადა. მიუხედავად ჩვენი დიდი სურვილისა, გასაგები მიზეზის გამო ვერ გავამხელთ ვერც პოლიგონის ადგილმდებარეობასა და ვერც იმ სპეცდანაყოფს, ვის შეიარაღებაშიცაა ეს ძალზე საინტერესო იარაღი.

**ჩვენი დოსიე:** MP5-ის სიგრძე 68სმ-ია, აქედან ლულაზე 22,5სმ მოდის; ვაზნების გარეშე 2,54კგ-ს იწონის; მჭიდში 30 ცალი 9X19PAR ტიპის ვაზნა ეტევა.



MP5-დან სროლისას გრძნობ, რომ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი თითქოს სპეციალურადაა შექმნილი იმ მებრძოლებისთვის, ვისაც ქალაქის ქუჩებში და მით უმეტეს შენობაში უწევს მცირე მანძილზე უზუსტესი გასროლა.

იარაღი კარგადაა დაბალანსებული. გასროლისას წარმოქმნილი უკუდარტყმის ძალა უმნიშვნელოა. მარცხენა მხარეს მოთავსებული დამცველით (რომელიც ერთჯერად და ავტომატურ გასროლსაც არეგულირებს) ისე შეიძლება სროლის ტემპის შეცვლა, რომ მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი სასხლეტს არ მოაცილო. პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი დახურული ჩამკეტიდან ისვრის, ანუ „კალაშნიკოვისგან“ განსხვავებით ყოველი გასროლისას ჩამკეტი არ მოძრაობს და წინა მდგომარეობაში რჩება. ეს სროლის სიზუსტესა და სიბურჯღლეს ზრდის, მაგრამ ამასთან, იზრდება იმის საშიშროებაც, რომ ვაზნის კაფსული თვითაალდეს. რადგან დახურული ჩამკეტი ხელს უშლის იარაღის შიგნით სასროლი მექანიზმის განიავებას. თუმცა კონსტრუქტორებმა ეს მომენტი გაითვალისწინეს. ინტენსიური სროლის დროს მებრძოლს შეუძლია ჩამკეტი უკანა პოზიციაში ხელით გადაიყვანოს და დააფიქსიროს; ასეთ დროს გადახურების საშიშროება მცირდება. განსაკუთრებით მოსახერხებელია დასამიზნებელი მოწყობილობა. უკანა დიოპტრულ სამიზნეს სხვადასხვა ზომის ნახვრეტები აქვს, რომლებიც სხვადასხვა მანძილზე სროლის შესაბამისად უნდა დააყენო.

„არსენალის“ მიერ გამოცდილ MP5-ს ლულის ქვეშ ტაქტიკური ფარანი ჰქონდა, რაც აუცილებელია ჩაბნელებულ შე-



ნობაში სპეცოპერაციის ჩატარებისას. მოწონებას იმსახურებს ძალზე მოხერხებული ტელესკოპური დასაკეცი კონდახიც.

MP5-ის ისტორია 1964 წლიდან იწყება, როდესაც ცნობილმა გერმანულმა საიარაღო ფირმამ Heckler und Koch-მა თავისივე ავტომატური შაშხანის G3-ის ბაზაზე კომპაქტური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი შექმნა.

საცემ-სასხლეტი მექანიზმი ნახევრად თავისუფალ ჩამკეტს წარმოადგენს, რომლის უკუსვლას ორი გორგოლაჭი ანელებს. ეს მექანიზმი შაშხანიდან პისტოლეტ-ტყვიამფრქვევზე თითქმის უცვლელადაა გადმოტანილი. ფაქტობრივად, რაც 1964 წელს გერმანელებმა გააკეთეს, 15 წლის შემდეგ კალაშნიკოვმა გაიმეორა, როდესაც AK-74-ის დამოკლებული ვარიანტი AKC-74У გამოუშვა. თუმცა დამოკლებული „კალაშნიკოვიც“ მცირეიმპულსიანი ავტომატის ტყვიებზე იყო გათვლილი, ხოლო MP5-ში კი პისტოლეტის ვაზნებს ხმარობდნენ. მხოლოდ ახლახან შექმნეს რუსეთში AKC-74У-ის ის ვარიანტები, რომლებიც „მაკაროვისა“ და „პარაბელუმის“ ვაზნებზეა გათვლილი.

დღემდე გამოშვებულია MP5-ის რამდენიმე მოდიფიკაცია – MP5A2 ფიქსირებული პლასტიკური კონდახით, MP5A3 გამოსაწევი ტელესკოპური კონდახით, MP5SD3 ინტეგრირებული მაყუჩით და MP5N – თანამედროვე ვარიანტი, რომელიც სპეციალურად ამერიკელი „სელაპებისთვის“ შეიქმნა, აგრეთვე ძალზე დამოკლებული MP5K მალულად სატარებლად. ცოტა ხანს გერმანელები თვითდამტენ MP5-ებს უშვებდნენ ამერიკის იარაღის მაღაზიებში გასაყიდად. ვერ გეტყვით, ამერიკაში რა ფასი ედო ამ ლეგენდარულ იარაღს, მაგრამ ჩვენთან ის არ გაყიდულა.

*ირაკლი ალადაშვილი*





ზედა ფოტოზე: MP-5-ის არასრული დაშლა



MP-5K



MP-5SD3


MP-5
არსენალი